

გეორგიკა

8

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წ ი გ ნ ი XXII

გეორგიკა ტ. VIII

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
источников о Грузии

Институт
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ГЕОРГИКА
СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VIII

Греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил
С. Г. Каучишвили

—
GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA
AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VIII

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ – 1970

SUMPTIBUS „MECNIEREBA“
TIBILISIIS, MCMLXX

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მერვე

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო
სიმონ ყაუხჩიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი – 1970

მთავარი რედაქცია:

ი. აბულაძე,	ვლ. ფუთურიძე,
-------------	---------------

 ს. ყაუხჩიშვილი
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი

ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

VIII ტომისა

წინასიტყვაობა	VII
ვესტათი თესალონიკელი	1
ქალაქი ადა 1. – სიტყვა მას 4. – იასონი 10. – აისონი და იასონი 11. – არგონავტები 11. – მედეა 11. – აქილევსი და კ. სკიროსი 12. – იბერიის ქალაქი „ოდისეია“ 13. – იბერები ბიზანტიის ჯარში 14. – იბერული ქუდი ხურავს წარჩინებულ ბიზანტიელს 15. – ლაზური თავსაბურავი 16.	
თეოდორე ბალსამონი	17
იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია 17.	
ღუკა	21
თურქთა თარეში. სკვითები და აბაზგები 25. – თემურხანმა შეკრიბა ჯიქები და აბაზგები 26. – ლაზების მეზობელი ყარაიულუკი 27. – უზუნ-ჰასანი კოლხეთში 29. – ლაშქრობა სინოპში, არმენიაში, კავკასიაში, ფაზისზე 29. – ლაშქრობა ვლახეთში 33.	
გიორგი სფრანძესი	36
შესავალი 38. – სფრანძესის ტექსტის ახალი გამოცემა 44. – გიორგი სფრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში 49. – ბიზანტიის კეისრის მოციქული იბერიაში 63. – გიორგი სფრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში 74.	
ლაონიკე ხალკოკონდილე	89
ცნობები იბერიის ისტორიიდან 91. – ტრაპიზონის მეფის ძმა დავითი 93. – სკვითები და პელაზგები 100. – სკვითები, ჩერქეზები და მეგრელები 102. – იბერიის სპილენძი 106. – კოლხეთი-ტრაპიზონის სამეფო 106. – თემურლენგი იბერიაში 108. – კოლხეთი-ტრაპიზონის სამეფო 100. – კავკასია 118. – არაბეთი და მისი საზღვრები 118.	
მათე ბლასტარესი	119
იბერთა ეკლესია 119.	

ათონის ივერთა მონასტრის აქტები (ხრისობულები, სიგელ- გუჯრები, პრაქტიკონები) X – XIV საუკუნეებისა	122
დამატება: ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექ- სიკონი	271
სამიებლები	311
საკუთარ სახელთა სამიებელი 311. – ტერმინებისა და საგანთა სამიე- ბელი 340.	

წინასიტყვაობა

„გეორგიკის“ VIII ტომში მოთავსებულია, ისევე როგორც VII ტომში, XII – XV საუკუნეთა მასალები. ამ მასალებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გიორგი სფრანძესის „ისტორიაში“ არსებული ცნობები საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობათა შესახებ. იშვიათ შემთხვევად ჩანს, რომ წარჩინებული ბიზანტიელი მოხელე (გიორგი სფრანძესი), რომელიც ამავე დროს ბრწყინვალე მწერალი იყო. იგზავნება საქართველოში (როგორც ძირითად „დიდ“ საქართველოში, ისე ტრაპიზონის იმპერიაში) სერიოზული პოლიტიკური დავალებებით.

*

* *

ამავე ტომში მოვითავსეთ X – XIV საუკუნეთა აქტები „ათონის ივერთა მონასტრისა“ (ხრისობულები, სიგელ-გუჯრები, პრაქტიკონები). ქვემოთ, თავის ალაგას, მკითხველი გაეცნობა ამ აქტების მოპოვების ისტორიას და დარწმუნდება ამ აქტების მნიშვნელობაში, როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე ბიზანტიის რიგი სამიწათმფლობელო საკითხების გარკვევისათვის. აქ ვათავსებთ ჩვენ მხოლოდ ამ აქტების ერთ ნაწილს როგორც ნიმუშს. განზრახული გვაქვს ცალკე ტომად გამოვაქვეყნოთ ეს მასალები, შეძლებისდაგვარად სრულად.

* *

*

მსგავსად VII ტომისა, ეს VIII ტომიც შეიცავს დამატების სახით „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ გაგრძელებას.

სიჩ. ყაუხჩიშვილი

ევსტათი თესალონიკელი

ევსტათი 1175 წელს იყო თესალონიკის მიტროპოლიტი. გარდაიცვალა 1194 წელს. მისი სამწერლო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო:

1) მან დასწერა კომენტარები ანტიკური ბერძნული ნაწარმოებების შესახებ: პირველ რიგში ცნობილია მისი კომენტარები „ილიადისა“ და „ოდესეისათვის“.

2) მას ეკუთვნის რიგი თეოლოგიური ტრაქტატისა, წერილები, სიტყვები.

3) მას ეკუთვნის ერთი ისტორიული შრომა: ქალაქ თესალონიკის ნორმანების მიერ 1185 წელს დაპყრობის ისტორია

და ზოგიერთი სხვა თხზულებაც (მაგ., დიონისე პერიეგეტის პოემის სქოლიოები...).

სხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ ევსტათის კომენტარები „ილიადისა“ და „ოდესეისათვის“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა მათგანმა. აი, მაგალითად:

ქალაქი აა

Τὸ δὲ ἦς γαίης, ἦς πατρί-
δος εἶπεν ἡποκατιῶν¹. Κίρκη δὲ
νῦν μὲν συνήϋας κίρκιον ὄνομα,
ἐξ ἦς πους καὶ Κίρκαιον πεδίον.
“Ὅτι δὲ καὶ ἔρηνιθις ὄνομα ἦ
κίρκη² δηλοῦσιν οἱ παλαιοί. Ὡν
καὶ ὁ Αἰλιανός. Ἄλλο δὲ τι ἦ
τοιαύτη παρὰ τὸν κίρκιον.

ამით ამბობს პოეტი: თავის ქვეყანაში, თავის სამშობლოში შეუმჩნევლად მივიდეს, ხოლო კირკე, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელია, საიდანაც არის „კირკეს დაბლობი“. მფრინვლის სახელიც არის „კირკე“, მოწმობენ ძველები. ამათ შორის აგრეთვე ელიანე. ხოლო ეს (*ე. ი. კირკე*) სხვა არის ვიდრე „კირკოს“.

¹ ეს, ალბათ, ეხება ჰომეროსის სიტყვებს (Od. 5,26): *ἦν πατρίδα γαίαν ἰκη-
ται* „თავის მშობლიურ ქვეყანაში მივიდეს“.

² *Κίρκη* „ein Vogel: Ael. H. A. 4,5 u. 9. 594 (Pape), ხოლო *κίρκος* „ძერა“ (თუ „შევარდენი“).

Τὸ δὲ Αἰαίη, ἀντὶ τοῦ Κολ-
χικῆ κατὰ ἐπωνυμίαν τοπικῆν.
Αἶα γὰρ πόλις Κολχίδος παρὰ
τε ἄλλοις καὶ παρὰ Λυκόφρονι.
Ἦς ὁ πολίτης Αἰαῖος. Καὶ ἡ
πολίτις Αἰαία. Καὶ ἡ νῆσος δὲ
τῆς Κίρκης Αἰαία, διὰ τὴν τοι-
αύτην Κίρκην.

Ἄλλως γὰρ εἶπερ πρωτο-
τυπίαν ἔχει ἡ Αἰαία νῆσος διὰ
τῶν δύο αἰ, ὧφειλεν ἡ ἀπ' αὐτῆς
Κίρκη ἔχειν καὶ τρίτον αἰ, ἵνα
ἦν Αἰαία, ὅπερ οὐκ ἔστι διὰ
τε τὸ κακόφωνον καὶ διὰ τὴν
ῥηθεῖσαν ὀμωνυμίαν.

Ὁ δὲ γεωγράφος Αἶαν εἰπὼν
πόλιν περὶ τὸν Φᾶσιν λέγει καὶ
ὅτι περὶ τὴν τοιαύτην Κολχικῆν
Αἶαν καὶ Αἰαίη νῆσος ἡ τῆς
Κίρκης. Ὅτι δὲ καὶ Αἰήτης ὁ
ἦρως ἀπὸ τῆς τοιαύτης Αἶας
ἐκλήθη, δηλοῦσιν οἱ παλαιοί
(Eust. Comm. in Odysseam I
[1825], 1614; გვ. 321),

ამ პასაჟში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შემდეგ
ადგილს: Τό δέ Αἰαία ἀντὶ τοῦ Κολχικῆ κατὰ ἐπωνυμίαν τοπικῆν –
„ხოლო «ა ა ა ე» კოლხიკეს ნაცვლად ადგილობრივი სახე-
ლის მიხედვით“;

მაშასადამე, ჩვენი ავტორი ფიქრობს, რომ Αἰαίη არის ნახმარი
ნაცვლად Κολχικῆ-სი.

ეს გეოგრაფიული სახელი სამ ადგილას არის ნახმარი „ოდი-
სეაში“:

10,135: Αἰαίην δ' ἐς νήσον ἀφικόμεθ' მოვედით კუნძულ
ა ა ა ა შ ი.

11,70: νήσον ἐς Αἰαίην σχήσεις νῆα კუნძულ აააეში
დაბრუნდები კარგად გამოყვანილი ხომალდით

ხოლო „ა ა ა ე“ კოლხი-
კეს ნაცვლად ადგილობრივი
სახელის მიხედვით. ა ა ა ხომ
კოლხიდის ქალაქია. სხვებთანაც
და ლიკოფრონთანაც მის მოქა-
ლაქეს ჰქვია აიელი, ხოლო ქალს
ჰქვია ა ი ა ი ა. ხოლო კირკეს
კუნძულს „აიაა“ იმავე კირკეს
გამო.

სხვათა შორის, თუ ძირეული
სიტყვაა კუნძული „აიაა“ ორი
აი-ს გამო, მისგან „კირკეს“ უნდა
ჰქონდეს აგრეთვე მესამე აი, რა-
თა იყოს „აიაიაიე“, რაც არ არის
მისი არაკეთილხმოვანების გამო
და ხსენებული თანასახელის გამო.

ხოლო გეოგრაფოსი რომ ამ-
ბობს „აია“ ქალაქიან ფასის-
თან, ამით იმას ამბობს, რომ
ამ კოლხური აიას მახლობლად
არის აგრეთვე კირკეს კუნძული
„აიაიე“. გმირი აიეტეც ამავე
აიასგან იწოდება ამ სახელითო,
ამტკიცებენ ძველები.

12,3: ...ἀπὸ δ' ἵκετο κύμα θαλάσσης ἐρυσπύριοις νήσον τ' Αἰαίην ... ფართოდ სავალი ზღვის პირას მივედით და კუნძულ ა ა ა ე ზ ე.

აი, ამ აჰაჰეზე ამბობს ევსტათი, რომ ის „კოლხიკეს“ ნაცვლად არის ნახმარი. ესე იგი: ევსტათი იცნობს ამ ქვეყანას Κολλική-ს სახელწოდებით, ხოლო ჰომეროსი „კოლხიკეს“ ნაცვლად ხმარობს ა ი ა-სო.

ევსტათის ეს მსჯელობა, რომელსაც მე ყურადღება მივაქციე ამ ბოლო ხანებში, როდესაც „გეორგიკის“ VII ტომში შესატან მასალად ვამზადებდი ევსტათის ნაწერებს, შესანიშნავად ადასტურებს წინათ ჰიპოთეზურად გამოთქმულ აზრს. სახელდობრ, წამოყენებული იყო ასეთი სქემა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველი ტომები: კოლხები, ლაზები, აბაზგები, აფსილები, ჰენიოხები, სანიგები, სანები || ჭანები და სხვები. დასავლეთ საქართველოს ჯერ, ისტორიულ ხანაში, ეწოდებოდა „კოლხეთი“ (Κολχίς Κολλική), როდესაც ქვეყნის სათავეში, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდნენ კოლხები. შემდეგ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დაწინაურდნენ ლაზები დაახლოებით ახ. წ. I საუკუნიდან (შესაძლებელია უფრო გვიანაც) და იმ დროიდან ბერძნები დასავლეთ საქართველოს უწოდებენ ლაზეთს, Λαζική, მაგრამ მაშინაც ახსოვთ ბერძნებს, რომ ამ ქვეყანას Κολλική ეწოდებოდა და მცხოვრებლებს, ე. ი. ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს კოლხები. VI საუკუნის მწერალი იოანე ლიდე ამბობს: «კოლხიკე, რომელიც საცახლა ლაზიკეს ეძახიან» – Κολλική, ἢ νῦν πρὸς αὐτοὺς Ἀλαζικήν (გეორგიკა II, 242). იგივე იოანე ლიდე წერს: კოლხეთს «ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგან» (ἔξ ἡγεμόνος). ცხადია, ეს მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: „კოლხიდას“ (Κολχίδος) იმიტომ ჰქვია ამჟამად „ლაზიკე“, რომ ამ ქვეყანაში ჰეგემონობა ლაზებს მოეპოვებათ (გეორგიკა II, 236).

VIII საუკუნიდან ჰეგემონობა მოიპოვეს აბაზგებმა და ამიტომ მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდება „აფხაზთა სამეფო“ ან ბერძნულად Ἀβασγία, მის მმართველს Ἀβασγός და მოქალაქეებს Ἀβασγοί. ასეთ სქემას რომ ვადგენდით: Κολλική, Λαζική, Ἀβασγία, თანვე ვსვამდით საკითხს, რა ეწოდებოდა ამ ქვეყანას მანამდე, სანამ კოლხები მოიპოვებდნენ ჰეგემონობას და ამ ქვეყანას დაერქმეოდა Κολλική, Κολλίς. ამ კითხვას ვსვამდით და ამავე დროს ვიგონებდით იმას, რომ ჰომეროსმა არ იცის სახელი Κολλική, მაგ-

რამ ჰომეროსი იცნობს Αἴητης (აიეტს), იცნობს მის დას Κίρκη-ს, აიელ დედოფალს. და აქედან ჰიპოთეზურად ვასკვნიდით, რომ მთელ ქვეყანას ერქვა Αἴα, მისი მეფე იყო „აიელი“ (Αἴητης), მისი დედოფალიც იყო Αἴαίη („აიელი“).

ახლა ევსტათი თესალონიკელის სქოლიოების გაცნობა ამ ჩვენს ძველ ჰიპოთეზას ხორცს ასხამს და ამბობს: Τό δέ Αἴαίη ἀντί τοῦ Κολχική κατὰ ἐπωνυμίαν τοπικήν.

* *
*

ევსტათის „კომენტარებში“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობა სიტყვის შესახებ მალს.

სიტყვა XXX

Ὅτι πολλά εἰσι δῶνυμα παρὰ τῷ ποιητῇ, τουτέστι θυσῖν ὀνόμασι καλούμενα· καὶ τῶν τοιούτων ὀνομάτων τὸ μὲν ὁ ποιητῆς εἰς θεοὺς ἀναφέρει, τὸ δὲ ἀνθρώποις ἀπονέμει, δηλῶν ὅτι μουσοτραφῆς ὢν οἶδε καὶ τὰ θεῖα καὶ τῆς τῶν θεῶν ἐπαίει¹ διαλέκτου. Παρασημειοῦνται δὲ οἱ παλαιοὶ ὅτι τὸ μὲν ἕλως κρείττον τῶν ὀνομάτων θεοὺς δῖδωσιν ἢ ποιήσας ὡς θεϊότερον, τὸ δὲ μὴ τοιοῦτον ἀνθρώποις· ὡς περ ἐνταῦθα τὸ Βριάρεως εὐγενέστερον τοῦ Αἰγαίου ἐστὶ καὶ σεμνότερον, ἔτι δὲ καὶ ὀγκηρότερον εἰς φωνήν. Διὸ καὶ εἰς θεοὺς ὡς θεῖον τι ἀνάγεται.

ბევრ ორმაგ სახელს ვხვდებით პოეტთან, ესე იგი ორი სახელით წოდებულს. და ასეთ სახელთაგან ზოგს პოეტი ღმერთებს მიაკუთვნებს, ზოგს კიდეც ადამიანებს მიაწერს და ამით ცხადყოფს, რომ იგი მუზეების მიერაა გაწვრთხილი და იცის ღვთაებრივი რამეებიც და ესმის კიდეც ღმერთების ენა. ძველებივე აღნიშნავენ, რომ სახელთაგან სრულიად ძლიერს ღმერთებს აძლევს პოეზია როგორც უფრო ღვთაებრივ, ხოლო არა ასეთს – ადამიანებს: ასე, აქ² სიტყვა „ბრიარეოს“ უფრო კეთილშობილია და უფრო სათნო, ვიდრე სიტყვა „აიგაიონ“, მოსასმენადაც ხომ

უფრო ზვიადია. ამიტომ ღმერთებამდისაც აღვალს როგორც რაღაც ღვთაებრივი.

¹ ზმნისაგან αἴα (აქედან ἑπ-αἴω) „მესმის“, „ვერკვევი“.

² აქ: იგულისხმებ „ილიადა“ 1,404, სადაც სწერია: „შენ ოლიმპოზე მოიხმე ასხელა დევი, რომელსაც ღმერთები ეძახიან Βριάρεως, ხოლო ადამიანები – Αἰγαίων.

Ὅντω καὶ ἐν τοῖς ἐξῆς Ἐάν-
 ϑιον μὲν τινα ποταμὸν καλοῦσι
 θεοί, ἄνδρες δὲ Σκάμανδρον· καὶ
 ὄρνιν τινὰ θεοὶ μὲν χαλκίδα κικ-
 λήσκουσιν, ἄνδρες δὲ κύμινδιν·
 ἐν δὲ Ὀδυσσεΐᾳ τὸ μᾶλς θεοὶ
 μόνοι οὕτω καλοῦσιν, ἄνθρωποις
 δὲ οὕτε ἔγνωσται οὕτε ὠνόμασ-
 ται (Eustathii Commentarii ad
 Iliadem I, Lipsiae 1828, p. 103;
 124,31).

ასევე ქვემოთ მოყვანილ სი-
 ტყვებშიც: ერთ მდინარეს ქსან-
 თოსს უწოდებენ ღმერთები, ხო-
 ლო ადამიანები სკამანდროსს;
 ერთ ფრინველს [ძურას] ღმერ-
 თები უწოდებენ χαλκίς, ხოლო
 ადამიანები κύμινδის; „ოდისეაში“
 კი მხოლოდ ღმერთები ასე ეძა-
 ხიან μάλς-ს, ხოლო ადამიანების-
 თვის ეს არც ცნობილია და არც
 სახელი იციან მისი.

* *
 *

„ოდისეის“ X სიმღერაში მოთხრობილია დედოფალ კირკეს მიერ ოდისევსის ამხანაგების ღორებად გადაქცევის შესახებ. როგორც კი ოდისევსმა გაიგო ევრილოხესაგან ეს ამბავი, მაშინვე გაემართა ამხანაგების გამოსახსნელად.

გზად შემოხვდა ჰერმესი, რომელმაც არ ურჩია კირკეს სასახლეში მისვლა

«გინდა რომ ისინი იხსნა? შენ თვითონაც მგონია ვეღარ
 «დაბრუნდე იქიდან საღი, იქ დარჩები როგორც რომ სხვები!
 ἢ τοὺς λυσόμενος δεῦρ' ἔρχεαι; οὐδέ σέ φημι

285. αὐτόν νοστήσειν, μενέεις δέ σὺ γ' ἐνθα περ ἄλλοι.

რახან ოდისევსმა ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე, ჰერმესმა გადაწყვიტა დახმარებოდა მას. მან ურჩია, მე მოგცემ შენ წამალსო: როგორც კი კირკე გაგიმასპინძლდება და შემდეგ თავის ჯადო კვერთხს მოიქნევს შენს დასალუპავად, იმიშვლე მახვილი და ეცი ვითომ მოსაკლავად, მიშით მუხლები ჩაეკეცება და მოგიხმობს საწოლისაკენ. შენ უარი არ უთხრა, ხოლო ფიცი ჩამოართვი, რომ ცუდს არაფერს მოგაწევს. ასე უთხრა და გადასცა იქვე მოწყვეტილი ბალახი, რომლის ბუნებაც აუხსნა: ძირი შავი ჰქონდა, ფერით რძესავით თეთრი იყო; მას უკვდავნი ეძახიან μάλς.

ρίζη μὲν μέλαν ἔσκε, γάλακτι δὲ εἶκελον ἄνθος

305. μάλς δέ μιν καλέουσι θεοί.

«ძირში ეს ბალახი შავი, შესახედად რძესავით თეთრი,
 «ღმერთები მას არქმევენ μάλς

* შდრ. Lycophr. 679.

რას ამბობს მეცნიერება ამ სიტყვის შესახებ?

1) ვეისმანის ლექსიკონი: μάλυ, σοϛ, τό чудодейственный
цветок (полагают: allium nigrum, чеснок? Od. 10,305.

2) Pepe-ს ლექსიკონში ვკითხულობთ: μάλυ hiess nach Homer
in der Sprache der Goitter ein fabelhaftes Kraut mit schwarzer
Wurzel u. weisser Bluthe, mit gehemer Zauberkraft... – მერმე

სწერია, რომ თეოფრასტე და დიოსკორიდე ამ სიტყვით გამოხატავენ
ბიორს (Knoblauth).

სხვაგანაც რამდენჯერმე უბრუნდება ვესტათი μάλυ-ს საკითხს და
ყველგან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა თუ სახელი
უცნობია:

Ἄλέξανδρος δὲ ὁ Πάριος μυ-
θολογεί, Πικύλοισιν ἓνα τῶν Γι-
γάντων φυγόντα τὸν κατὰ Διὸς
πόλεμον τὴν τῆς Κίρκης νῆσον
καταλαβεῖν, καὶ πειρᾶσθαι ἐκβα-
λεῖν αὐτήν. Τὸν πατέρα δὲ Ἥλιον
ὑπερασπίζοντα τῆς θυγατρὸς ἀνε-
λεῖν αὐτὸν καὶ τοῦ αἵματος ῥύεν-
τος εἰς γῆν φῦλαι βοτάνην, καὶ
κλήθηται αὐτήν μᾶλυ διὰ τὸν
μῦθον¹ ἦτοι πόλεμον ἐν ᾧ ἔπε-
σεν ὁ ῥήθεις Γίγας. Εἶναι δὲ
αὐτῆ ἀνήθος ἔκλειον γάλακτι διὰ
τὸν ἀνελόντα λευκὸν Ἥλιον, ῥί-
ζαν δὲ μέλαιναν διὰ τὸ τοῦ Γι-
γαντος μέλαν αἷμα, ἢ καὶ διὰ τὸ
μὴν Κίρκην φοβηθεῖσαν ἀχρια-
σαι. Οὐ λέγει δὲ ὁ ποιητὴς καὶ
πῶς οἱ ἄνθρωποι καλοῦσι τὸ
μάλυ, ἐπειδὴ ἄγνωστὸν ἔστιν
αὐτοῖς (Eustathii Commentarii
ad Odysseam I (1825), 33-
381).

ალექსანდრე პაფიელი მოგვი-
თხრობს, რომ ერთი გიგანტთა-
განი პიკოლოოსი ზევსის წინა-
აღმდეგ ომს რომ გაექცა, კირკეს
კუნძული დაიკავა და ცდილობდა
იგი (ე. ო. კირკე) იქიდან გაეგდო,
მოგვითხრობს, რომ მამა ჰელიოსი
გამოექომაგა ქალიშვილს და იგი
(ე. ო. გიგანტი) მოკლა და, სისხლი
რომ მიწაზე დაიღვარა, აღმო-
ცენდა ბალახი, რომელსაც ეწოდა
მოლკა „მოლოსის“¹ ანუ ბრძო-
ლის გამო, რომელშიც ხსენებუ-
ლი გიგანტი დაეცა. მას რძის
მსგავსი ყვავილი აქვს თეთრი
(ე. ო. მზრწყინავი) ჰელიოსის გა-
მო, რომელმაც მოკლა გიგანტი,
ხოლო ძირი შავი გიგანტის შავი
სისხლის გამო, ანუ კირკეს გამო,
რომელიც შიშისაგან გაფითრდა.
არ ამბობს პოეტი, თუ ად ა-
მიანები რას ეძახიან
„მოლკა“, რადგან ეს მათ-
თვის უცნობია.

¹ μάλος ნიშნავს „ბრძოლას“, „ომს“.

სტეფანუსის ლექსიკონში ვკითხულობთ (H. Stephanus, The saurus linguae Graecae. Vol. V, 1849 – 1845, Sp. 1330):

Mōly, Moly [Secta, Gl.]: herba de qua Diosc. 3,54, Plin. 25,4: Laudatissima herbarum est Homero, quam vocari a diis putat Moly, et inventionem eius Mercurio assignat, contraque summa veneficia demonstrat. Nasci eam hodie circa Pheneum et in Cyllene Arcadiae tradunt, specie illa Homericam radice rotunda nigraque, magnitudine caepae, folio scillae: effodi autem difficulter [Haec ex Theophrasto H. Pl. 9,15,7] Graeci auctores florem eius luteum pinxere, quum Homerus candidum scripserit. Locus Homeri est Od. K, [305] ubi Ulysses dicit sibi contra Circeos veneficia a Mercurio datum pharmacum ex terra effossum, declarata simul eius natura, subjungens:

*Ῥίζη μὲν μέλαν ἔσκει, γάλακτι
δὲ εἰκελὸν ἀνθος.
Μῶλυ δὲ μιν καλέουσι θεοί
χαλεπὸν δὲ τ' ὀρέσσειν
Ἀνδράσι γε θνητοῖσι.*

[Producta secund, Lycoph. 679: Ἄλλα νῦν βλάβης μῶλυ σαφῶς ὄψεται, ubi est var. μῶλος et ἡ μῶλος ponitur ab schol. «V. Olympiodor. In Alcibiad. I, sect. 27, ibique annot.» Creuzer, Philostr. Her. p. 665: λόγου τε καὶ απουδησ' τουτι γὰρ ἡγεῖσθαι προσήκει τὸ μῶλυ.

ლექსიკოგრაფები აღნიშნავენ, რომ სიტყვისაგან მალს აწარმოეს ზმნა მალსნა. სტეფანუსი წერს [იქვე, V ტომში):

Μαλόνω sive *Μαλύω*, a *μῶλυς* s. *μῶλυξ*, significat Hebetō, Remissionem facio: ut Etym, quoque

Μάλυ, Moly: ბალახი, რომლის შესახებ იხ. Diosc. 3,54; Plin. 25,4: ბალახებს შორის ყველაზე უფრო შექებულია ჰომეროსთან ღმერთების მიერ – ფიქრობს ის – წოდებულია Moly და მის მოპოვებას მიაწერს მერკურის (ე. ი. ჰერმესს). დღეს ის იზრდება, როგორც გადმოგვცემენ, არკადიის ფენეის გარშემო და კვილენეში, ჰომეროსის დახასიათების მიხედვით, მრგვალი და შავი ძირი აქვს, ხახვის ოდენა, ზღვის ხახვის ფოთლით: ამოგლეჯა კი ძნელია [ეს ამოღებულია თეოფრასტედან H. Pl. 9,15,7]. ბერძენი ავტორები მის ყვავილს აღწერენ როგორც ტალახიანს, იმ დროს როდესაც ჰომეროსს იგი ბრწყინვად აქვს აწერილი. ჰომეროსის ადგილია ოდისეა 10,305, სადაც ოდისეუსი ამბობს, რომ მას კირკეს საწამლავის საწინააღმდეგოდ მერკურიმ მისცა წამალი, რომელიც მიწიდან ამოგლიჯა, ამასთანავე ახსნილია მისი ბუნება: «ძირში ეს ბალასი შავი, შესახედად რძესავით თეთრი, ღმერთები მას არქმევენ მალს, მისი ამოგლეჯა ძნელია მოკვდავი კაცებისათვის» [ლიკოფრონის მიხედვით 679:

მაგრამ მას, ვნებისაგან იხსნის მალს-ს ძირი, სადაც არის ვარიანტი მალოს და ἡ მალს არის დადებული სქოლიასტის მიერ: «იხ, ოლიმპიოდორე, ალკიბიადეს მიმართ I, სექტ. 27, იქვე შენიშვნა» – (Creuzer, Philostr. Her. p. 665: „სიტყვისა და მნიშვნელობისთვის: სწორედ რომ საჭიროა ვიგულისხმოთ τὸ μάλυ...]

მალსნა ან მალსნა სიტყვისაგან მალს ან მალსჯ, აღნიშნავს „ვასუსტებ“, „ვაქარწყლებ“: Etym. [Mag-

μωλύνειν exp. ἀμβλύνειν καὶ κωλύειν et μολύνειν, πρᾶννειν καὶ καταστέλλειν. Galen, quoque μολύσματα in Lex. Hipp. [p. 530] affert pro κατὰ βραχὺ ἀπομαραίνόμενα, Paulatim emarcescentia [Schol. Hom. Od. K, 305: Μῶλν, βοτάνης εἶδος παρὰ τὸ μολύνειν ὃ ἐστὶν ἀφανίζειν τὰ φάρμακα. Hesychios: Μωλύεται, γηράσκει. Μεμολυσμένη, παραιμένη]

num] წერს μάλυνειν იგივეა, რაც „შესუსტება“ და „დაბრკოლება“; და μάλσειν ესე იგი „მოთოკვა“, „შეჩერება“. გალენით აგრეთვე μάλσιμენα მოყვანილია „ჰიპოკრატეს ლექსიკონში“ (გვ. 530) ნაცვლად გამოთქმისა „თანდათან გამოშრობა“, ზოგჯერ „დამჭუნარი“ [სხოლოო ჰომეროსის „ოდისეა“ 10,305: μάλს ერთგვარი ბალახი სიტყვისაგან μάλσειν, რაც ნიშნავს „საწამლავის [ძალის] გაქარწყლებას“. ჰესიხი: μάλσεται „ბერდება“. Μεμάλσμένη „უგულებელყოფილი“]

ბევრი თანამედროვე ლექსიკოგრაფი ამ სიტყვის განმარტებისას, როგორც ჩანს, ემყარება XII საუკუნეში შედგენილ ე. წ. Etymologicum Magnum-ს. საჭიროდ მიმაჩნია მთლიანად მოვიყვანო ამ ლექსიკონში მოტანილი განმარტება.

Μῶλν, εἶδος βοτάνης, ὅπερ δέδοικεν Ὀδυσσεὺς τοῖς ἑταίροις αὐτοῦ, καὶ ἀπεκατέστησεν αὐτοὺς ἀνθρώπους ἀπὸ τῆς ἀλλοιώσεως τῆς Κίρκης· παρὰ τοῦ μολύνειν (τούτῃστι πρᾶννειν καὶ καταστέλλειν) τὰς φθοροποιούσας ἐννοίας. Μωλύνειν δέ ἐστι τὸ ἀμβλύναι καὶ κωλύσαι ἀπὸ τοῦ μὴ ὀλλύνειν, ἣ ἀπὸ τοῦ κωλύειν. Ἔχων μὲν ἐν τῇ χειρὶ μῶλν — ἀντιφάρμακον γὰρ δέδοται (Etymologicum Magnum ... opera Frederici Sylburgii veterani. Lipsiae 1816, გვ. 537).

„მოლვ“– ერთგვარი ბალახია, რომელიც ოდისევსმა მისცა თავის ამხანაგებს და აღადგინა ეს ადამიანები, რომლებიც კირკემ გადაასხვავებდა. წარმოებულია სიტყვისაგან μάλσειν (ესე იგი „მოთოკვა“ და „შეჩერება“) გამხრწნელი აზრებისა. Μάλσειν ნიშნავს „შესუსტებას“ და „დაბრკოლებას“ სიტყვისაგან „არ დალუპვა“, ან სიტყვისაგან „დაბრკოლება“. ხელში ეჭირა მალს და მისცა როგორც საწამლავის საწინააღმდეგო სავალეზა.

ზემომოყვანილი მასალიდან ნათელია, რომ, საყოველთაოდ მიღებული აზრით, მალს ნიშნავს „ბალახს“, რომელსაც ჯადო-ძალა აქვს: მისი შემწეობით შესაძლებელი ხდება საწამლავის ძალასთან შებრძოლება, საწამლავის გაქარწყლება.

რა აზრია ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ? Em. Boisacq თავის „ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ასეთ განმარტებას გვაძლევს: „მალს – მაგიური მცენარე (κ 305), ყვითელ-ყვავილიანი ნიორი (თეოფრ., დიოსკ.); ნათ. მალეად „ნიორი“; მალსζα (ერთი) თავი ნიორი (ჰიპოკრ.) > mōul, სანსკრ. mūlam, „ძირი“, შდრ. Mula = karma „მოჯადოება ძირების საშუალებით“ (ეს განმარტებები ემყარება

პ. კრემერის ნარკვევს KZ, 31,386). ი. ჰოფმანი (Etym. Wörterbuch, d. Griechischen, 1950) უფრო თავდაჭერით ამბობს: „შესაძლებელია სანსკ. mūlam-თან იყოს დაკავშირებული“.

რამდენადაც ამ ეტიმოლოგიებში მაინც-და-მაინც ინდოევროპულ სიტყვებთან კავშირი დამაჯერებლად არა ჩანს (წარმოდგენილ განმარტებებში ფონეტიკური კანონზომიერება არ დასტურდება), ამდენად ყურადღება უნდა მივაქციოთ ევსტათი თესალონიკელის განმარტებას: „ოდისეაში“ კი მხოლოდ ღმერთები ასე ეძახიან მალს-ს, ხოლო ადამიანებისთვის ეს არც ცნობილია და არც სახელი იცინა მისიო“. ესე იგი: ადამიანური ენით გაუგებარია ეს სიტყვაო; გაუგებარია იმიტომ, რომ იგი, მაშასადამე, ბერძნული სიტყვა არ არის. ამიტომ უთუოდ ანგარიშგასაწევია ის მოსაზრება, რომ მალს შეიძლება დაკავშირებული იყოს ქართულ სიტყვასთან „მოლი“ (ბალახის მნიშვნელობით): უნდა გვახსოვდეს, რომ ჰომეროსიც ამ სიტყვას ხმარობს კირკეს ეპიზოდში, იმ კირკესი, რომელიც თვითონაც ქართული სამყაროს პერსონაჟია (იგი არის კოლხეთის მეფის აეტის და, მედეას მამიდა).

*
* * *

სიტყვას „მოლი“ იცნობს „ვეფხისტყაოსანი“:

ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა:
„ესე წიგნი მიართვიო ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა (1276)

თეიმურაზ ბაგრატიონი („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 231, გ. იმედამვილის გამოცემა) წერს: «მოლი – მწვანე ღართსავით გრძნეულთა წამოსასხამი შელოცვილი».

ნ. ჩუბინაშვილის აზრით „მოლი შავი წამოსასხამი ღართით (ვეფხისტყაოსანი)“. იქვე „მოლი, მოლოქი ახალი ბალახი, ალერდი (ბალ.) (იოზ. 24,24) злак.

ამისდა კვალობაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებიც წერენ:

В плащ зеленый он облекся (კ. ბალმონტი)
Свой плащ зеленый обвивая (შ. ნუცუბიძე).

ჩვენ არ ვიცით, რას ემყარებიან „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორები, როდესაც სწერენ, რომ შიკრიკმა მწვანე წამოსასხამი მოიგდო ტანზე, ან შავი წამოსასხამი. ერთი კი ცხადია, რომ აქ „მოლი“ უკავშირდება გრძნეულებს და ჩანს ისეთ რამედ, რაც საშუალებას აძლევს შიკრიკს გადალახოს დაბრკოლება სწორედ ამ მოლის შემწეო-

ბით. ამიტომ ჩვენ ვაქცევთ ჟურადლებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ორ ნუსხაში EZ, (1646 წლისა და ოქსფორდისაში) ნაცვლად სიტყვისა „წამოისხა“ სწერია „წ ა მ ო ი ს ვ ა“ (იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. III, გვ. 782):

მან გრძნეულმან მოლი რამე წ ა მ ო ი ს ვ ა ზედა ტანსა

ე. ი. ტანზე წაისვა გრძნეული ბალახი მოლი-ო და ამის წყალობით გადალახა დაბრკოლება.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში, ძველსა და ახალში, ყველგან სწერია „წამოისხა“. მხოლოდ უკანასკნელს, ალ. ბარამიძისა და ა. შანიშის (1966) და პ. ინგოროყვას გამოცემაში (1969 წლისა) ვკითხულობთ:

მან გრძნეულმან მოლი რამე წ ა მ ო ი ს ვ ა ზედა ტანსა (ტ. 1198).

ი ა ს ო ნ ი

᾽Ορμένιον¹ δὲ πόλις Θεσσαλικῆ μεταξὺ, φασί, Φερῶν καὶ Λαρίσσης, ἔθιν ὁ Φοῖνιξ δοκεῖ τισὶ φυγεῖν εἰς Φθίαν, ὧς καὶ ἀλλαχοῦ ῥηθῆσεται. ᾽Ωνομάσθη δὲ ἀπὸ ᾽Ορμένου, πατρὸς ᾽Αμύντορος, οὗ παῖς Φοῖνιξ ὁ τοῦ ᾽Αχιλλέως τροφεὺς...

Ἰστέον δὲ ὅτι ἐγνεῖσθαι εἶναι δοκεῖ ὁ Θεσσαλὸς Ἰάσων ὁ γοῦν γεωγράφος ἱστορῶν τινὰς τῶν Ἰάσωνι μέχρι Κασπίας συμπλέσσαντες φησὶν ὅτι ἔθε ἦν ἐξ ᾽Ορμένου πόλεως τῶν περὶ Βοιβηΐδα λίμνην. (Eustathii Comm. ad Iliadem I Lipsiae 1827, p. 269) 332,12.

ორმენიონი თესალიური ქალაქია, ამბობენ, ფერესა და ლარისას შუა, საიდანაც, ზოგიერთები ფიქრობენ, ფონიქსი გაიქცა ფთიაში, როგორც ეს სხვაგანაც იქნება ნათქვამი. ასე ეწოდა მას ორმენოსისაგან, ამინტორის მამისაგან, რომლის შვილი ფონიქსი აქილევსის აღმზრდელი იყო.

საჭიროა ვიცოდეთ, რომ იქიდან არის, ჩანს, თესალიელი იასონი; გეოგრაფოსი ხომ მოგვითხრობს იასონთან ერთად კასპიამდე მცურავთა შესახებ და ამბობს, რომ ის იყო ორმენოსის ქალაქიდან იმათი რიცხვიდან, რომელნიც ბოძეიდის ტბის გარშემო ცხოვრობდნენ.

¹ ქალაქი თესალიის მაგნეზიაში.

ასონი და იასონი

Ἄναγρᾶμματισθεὶς γὰρ καὶ γυν ὁ χόλος τὸν λόχον ποιεῖ... Ἐν γοῦν Ὀδυσσεΐα πατήρ μὲν Αἴσων, Ἰάσων δὲ ὁ υἱὸς κατὰ διάλυσιν τῆς αἰ διφθόγγου καὶ μετάθεσιν τοῦ ι. Ἐνταῦθα δὲ Αἴμων μὲν πατήρ, Μαίων δὲ υἱὸς τεθείσῃς τῆς αἰ διφθόγγου ἐν τῇ ἀρχῇ· Μαίων γὰρ φησιν Αἰμονίδης (Eustathii Comm. ad Iliadem I Lipsiae 1827, p. 338) 488,23.

ასოების გადასმისას, მაშასადამე, χόλος-იდან მიიღება λ-ოც... ასევე ოდისეაში¹ მამა ხომ არის „ასონ“, ხოლო შვილი „იასონ“ მიიღება აი-დიფთონგის დაშლით და „იოტის“ გადასმით. იქვე (ე. ი. „ილიადაში“)² მამა არის Αἴμων, ხოლო შვილი Μαίων, თუ აი დიფთონგს დასდებ დასაწყისში, ამბობს: „მაფონ ჰაიმონიდესი“.

არგონავტები

Οὕτω ποτὲ καὶ οἱ Ἄργοναυταὶ διὰ τοῦ Ἑλλησπόντου εἰς Κολχίδα ἐξ Ἑλλάδος πλεύσαντες περιώδευσαν καὶ διὰ τοῦ Ἰστρου εἰς τὴν Ἀδριάδα διεκπεσόντες μόλις ἐπανεσώθησαν, φόβῳ τοῦ Αἰήτου μακρὰ πλανηθέντες (Eustathii Comm. ad Iliadem II, Lipsiae, 1828, p. 111; 642,64).

ასევე ერთხელ არგონავტებმაც ჰელესპონტის გზით კოლხიდაში რომ გაცურეს ელადიდან, გარე-შემოუარეს და ისტროსით ადრიაში გაჩნდნენ, ძლივს გამობრუნდნენ, იხეტიალეს რა შორს აიეტის შიშით.

მედეა

Ἰστέον δὲ καὶ ὅτι Νέστορος τοῦ τῶν ἱστοριῶν χορηγητοῦ τοῦ τῷ ποιητῇ τὴν Ἀγαμήδην πολυ-

საცოდნელია ისიც, რომ ჰოეტთან (ე. ი. ჰომეროსთან) თავისი თხრობებით სახელგანთქმუ-

¹ „ოდისეა“ 11,259:

τοὺς δ' ἐτέρους Κρηθῆϊ τέξεν βασιλεία γυναικῶν, Αἴσωνα τ' ἠδὲ Φέρετ' Ἀμυθιάονά θ' ἰππιόχαρμον.

„სხვებიც უშვა კრეთევს ქალთა დედოფალმა აასონიც და ფერეტიც, ცხენთ მხედნელი ამითაონიც“.

² ილიადა 4,394:

Μαίων Αἰμονίδης ἐπιείκελος ἀθανάτοισιν.

φάρμακον ἱστορήσαντος ὁ παλαιὸς λόγος τοιαύτην καὶ τὴν Μήδειαν παραδίδωσι καὶ τὴν Θῶνος γυναῖκα τὴν Αἴγυπτίαν, ἣς ἐν Ὀδυσσεΐᾳ Ὅμηρος μέμνηται¹.

Ὅτι δὲ πολυφάρμακος ἦ κατὰ τὴν Ἑλιδά χώρα, δηλοῖ ὁ εἰπὼν ὡς Μήδεια ἐξ Ἀθηγῶν φυγοῦσα Αἰγέως φόβῳ, διότι τῷ Θησεΐ αὐτῇ ἐκέρασε φάρμακον, οἰκήσασά τε τὴν πλησίον Ἑλιδος Ἐφυραν, ἐνθα πού καὶ ὁ Αὐγείας ἦν, πολυφάρμακα ἐποίησε τὰ ἐκεῖ.

Ἀρρίανος δὲ καὶ Κροκοδίκην τινὰ ἱστορεῖ² οὐδὲν ἦττον γυναῖκα γοητεύτριαν. Οὐκ ἀπέοικε δὲ τούτων οὐδὲ ἡ λογοποιουμένη Κίρκη. Ἐν δὲ τῷ, ἣ τόσα φάρμακα ἤδη ἔσα τρέφει χθόν, φάρμακα μὲν μέσως ἔφη τὰ τε ἀγαθὰ καὶ τὰ μὴ τοιαῦτα (Eustathii Comm. ad Iliadem III, p. 82; 881,59),

ლი ნესტორი რომ გვიყვება მრავალწამალთა მცოდნე აგამედეზე. ძველი გადმოცემა ასეთად მედეას თვლის და თონის მეუღლეს ეგვიპტიას, რომელსაც ჰომეროსი იხსენიებს „ოდისეაში“.

რომ მრავალწამალთა შემცველია ელიდის ქვეყანა, ნათელყოფს პოეტი და ამბობს, რომ მედეა ათენიდან გაიქცა ეგეოსის შიშით, რადგან მან (მედეამ) თეზევს საწამლავი ჩაურია, და დასახლდა ელიდის მახლობლად ეფირაში, სადაც იყო ავგიაც, და იქაც მრავალწამალნი აკეთა.

არიანეც გადმოგვცემს, რომ ვინმე კროკოდიკე ამაზე ნაკლები ჯადო ქალი არ იყო. არც თუ განსხვავებულია ამათგან ყბად-ალეზული კირკეც. ამ წიგნშიც თქვა: იმდენი წამალი იცოდა, რამდენსაც მიწა აღმოაგენებს, წამლები ზოგი სიკეთის მომტანია, ზოგიც არა ამნაირი.

აქილევსი და კ. სკიროსი

Περὶ δὲ τοῦ ἐν Σκύρῳ τὸν Νεοπτόλεμον τρέφεσθαι τοιαῦτα φασὶν οἱ παλαιοί· ὅτι Θέτις, οἷα πάνυ φιλόπαις, ἐκεῖ πρὸ τοῦ Τρωικοῦ πολέμου τὸν Ἀχιλλεῖα ἐξέθιτετο, ἐνθα καὶ γυναικιζόμενον

იმის შესახებ, რომ სკიროსზე იზრდებოდა ნეოპტოლემოსი, ძველები შემდეგს გადმოგვცემენ: რომ თეტიდამ, რადგან ძალიან უყვარდა შვილი, ტროადის ომის წინ იქ გახიზნა აქილევსი და

¹ „ოდისეა“ 4,229: აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ თონის მეუღლეს ეგვიპტიას მრავალწამალი წამალი ასწავლა მიწამ (*πλεῖστα φέρει ζείδωρος ἄρουρα φάρμακα*).

² როგორც Pape-ს ლექსიკონიდან (Eigenn.) ჩანს, არიანე ამბობს „ილიადის“ 11,839 სქოლიოში.

Ὅδυσσεὺς αὐτὸν ἤλεγξεν, ὡς καὶ ὁ Λυκόφρων ἱστορεῖ· καὶ ἐκεῖ τοῦ Λυκομήδους θυγατρὶ συγγενῶς πατήρ γίνεται Νεοπτολέμου τούτου δὲ τοῦ ἐν τῇ πατριδί Σκέρφῳ ἔτι ἐκτρεφομένου. (Eustathii Comm. ad Iliadem, IV, [1830], p. 131; 1187,13).

აქ აღმოაჩინა ოდისევსმა იგი ქალად ქცეული, როგორც ამას ლიკოფრონიც გვიამბობს: აქ იგი ლიკომედეს ასულს შეეუღლა და მამა გახდა ამ ნეოპტოლემოსისა, რომელიც მამეულ სკიროსში იზრდებოდა.

იბერიის ქალაქი „ოდისეია“

...Αὐτίκα τῆς Ὀδυσσεύας πλάτης τὸ πολὺ περὶ Σικελίαν γενέσθαι καὶ Ἰταλίαν καὶ ἐπέκεινα τεθρόλληται συμφώνως τῇ ποιητῇ. Καὶ τοῦτο δηλοῖ διότι πολλῶν ἄλλων, καὶ ὁ τῆς ἱστορίας Λατίνος, καὶ ὁ Ἀῦσαν, οἱ ἐξ Ὀδυσσεύας καὶ Κίρκης κατὰ τινάς. Οἱ καὶ τῆς ὁμωνύμου αὐτοῖς χώρας ἐκράτησαν, καὶ ἀφ' ἑαυτῶν τὰ ἔθνη ἐκάλεσαν. Ὁμολογεῖ δὲ τούτοις καὶ ἡ ἐν Ἰβηρίᾳ πόλις Ὀδύσσεια¹ (Eust. Comm. ad Odysseam I [1825] p. 1 (1379)).

მაგალითად, ოდისევსის ხეტიალის მეტი წილი ამბები ხდება სიკელიის და იტალიის გარშემო და ეს ყველაფერი (?) მოთხრობილია, თანახმად პოეტისა. და ამას ნათელყოფს, სხვა ყველაფრის გარდა, ისტორიის „ლათინოსი“, და „ავსონი“, ზოგიერთების მიხედვით ოდისევსისა და კირკეს შვილები. ამათ დაიპყრეს მათი თანამოსახელე ქვეყანა, და თავიანთი სახელების მიხედვით ხალხებსაც უწოდეს. ამათ ემოწმება აგრეთვე იბერიის ქალაქი „ოდისეია“¹.

DE THESSALONICA A LATINIS CARTA

ვესტატის ეს შრომა „თესლონიკის აღება ნორმანების მიერ 1185 წელს“ მოღწეულია ჩვეენამდე ერთადერთი ხელნაწერით XIII საუკუნისა: Basileensis 46[A. III. 20] f. 221^v-255^v. ამ ხელნაწერში ეს შრომა არის სულ ბოლოში; ამის წინ იქ მოთავსებულია

¹ ყველას მიერ აღიარებულია, რომ აქ იგულისხმება ისპანიის „იბერია“ (P a p e, Eigenn. „Stadt in Hisp. Baetina [Turditania]; Strabo 3,149, 157), მაგრამ, რადგან ვესტატი ამას იხსენიებს ოდისევსისა და კირკეს შვილებთან დაკავშირებით, იქნებ ეს საკითხი გადასინჯული უნდა იქნეს.

ევსტათის სხვა 24 ნარკვევი. ხელნაწერი XIII საუკუნისაა (ბომბიცინი), ხოლო ბოლო ფურცელი XVI საუკუნის ქალაქია (ახალი აღწერა ამ ნუსხისა იხ. A. M a r i c q, Le manuscrit d' Enstathe Thessalonique: La prise de Thessalonique en 1185: Byzantion 20 [1950] 81 – 87).

ჯერჯერობით ევსტათის ამ შრომის ხელმისაწვდომი გამოცემაა ი. ბეკერისა, რომელმაც იგი ლეონ გრამატიკოსის „ხრონოგრაფიის“ გამოცემას დაურთო:

Leonis Grammatici Chronographia. Ex recognitione Immanuelis Bekkeri, Accedit Eustathii De capta. Thessalonica liber. Bonnae 1842 (განმეორებულია M i g n e, PG 136). ახალი გამოცემისათვის მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა Maricq-მა იხ. აქვე ზემოთ).

სერიაში Byzantinische Geschichtsschreiber (ტ. III) 3. ჰუნგერმა დაბეჭდა ევსტათის ამ შრომის გერმანული თარგმანი და შენიშვნები დაურთო: Die Normannen in Thessalouice. Die Eroberung von Thessalonike durch die Normannen (1185 n. Chr.) in der Augenzengenschilderung des Bischofs Eustathios, übersetzt, eingeleitet und erklärt von Herbert Hunger, Graz-Wien-Köln. 1955, გვ. 163.

იბერები ბიზანტიის ჯარში

Καὶ ἄρτι μὲν ἡ κεφαλὴ τῆς πόλεως· τὸ δὲ γε λοιπὸν ἅπαν σῶμα πάντῃ διάφορον ἦν, ἐτεροιοῦμενον εἰς ἀγαθόν. Καὶ οἱ μὲν ἕξωθεν στρατεύσάμενοι οὐκ ἂν ἔχοι τις εἰπεῖν ὡς τὸ ἀρεῖκόν ἐψεύδοντο, οἷς ἐνέπρεπον καὶ οἱ ἐξ Ἑλλανῶν καὶ εἰς τινες Ἰβήρης. Οἱ δὲ τῆς πόλεως ἰθαγενεῖς, τὸ γνήσιον τηροῦντες φιλόπατρι, οὐ πολλοὶ μὲν ἦσαν τὸ γὰρ πλείον ἀνέμοις ἑαυτὸ ἐπιτρέψαν ἴχαιτο, καὶ μάλιστα τὸ προέχον κατὰ τὰ χεῖρα, ὡς ἐρρέθη, καὶ τὸ θύνασθαι τὸ ἐλέγχειν τὸν στρατηγόν

ასე იქცეოდა ქალაქის თავი: ხოლო მთელი დანარჩენი სხეული სულ სხვანაირად იყო განწყობილი, უკეთესობისაკენ. არავის არ შეუძლია თქვას, რომ **ქალაქის** გარეთ მყოფ მოლაშქრეებს გულადობა აკლდათ: მათ შორის გამოირჩეოდნენ ალანები და ზოგიერთი იბერები. ხოლო ქალაქის მკვიდრნი, **თესალონიკელები**, რომელთაც სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარული ჰქონდათ, ბევრნი არ იყვნენ; რამეთუ ქარის ქროლას გაჰყოლოდნენ მეტ წილად, და გან-

καὶ συμμετάγειν εἰς τὸ καλόν. საკუთრებით, როგორც ითქვა, (ed. Bonnae, p. 446, 3–11). ვისაც ხელი მარჯვე ჰქონდა და შეეძლოთ ემხილათ სტრატეგოსი და სიკეთისაკენ თანწყევანათ ¹.

იბერული ქუდი ხურავს წარჩინებულ ბიზანტიელს

Ὅμοιον ἡμέραι συχναί, αἱ μὲν πρὸς τοῦ σφοδροῦ πολέμου, αἱ δὲ κατὰ τὴν τούτου θάμην, καὶ οὐδεις ἐκείνον εἶδεν οὔτε ἐν ἄλλοις θεινοῖς δύναντα οὔτε ἵππου εὐγενοῦς ἐπιβάντα. Ἡμίονος δὲ ἄγει αὐτὸν ἀπὸ βράκκας καὶ πεδύλων νεωτερικῶν. Ἔσκαπε δὲ καὶ τὴν κεφαλὴν Ἰβηρικώτερον ἔκφυλος πῖλος ἐρυσπρός· βάρβαροι ἐκείνον καὶ τεχνῶνται καὶ καλοῦσιν ἢ φιλοῦσι, πολύπτυχον μὲν καὶ οὕτω συνεσταλμένον κάτω τὴν λοιπὴν περίθεσιν, τὰ δὲ περὶ πρόσωπον ἐρυσπρόμενον καὶ πρηγνέοντα ἀπολέγειτο τρυφερευόμενος ἀγγλίαστει (ed. Bonnae, p. 439–440).

ხშირი იყო დღეები, როგორც სასტიკი ომის წინ ისე ამ ომის უმწვერვალეს საფეხურზე, რომ იგი არავის უნახავს არც იარაღ-ასხმული და საომრად გამზადებული, არც ჯიშთან ცხენზე აღმხედრებული. ჯორი მიათრევდა მას ახლებურ შარვალში და სანდლებში გამოწყობილს. თავზე ეხურა იბერიულ ყაიდაზე უცხოური წითელი ქუდი: ის ხომ ბარბაროსებმა შეამზადეს და შეარქვეს, როგორც მოეწონათ, მრავალნაკეციანი და იმნაირად შენაოჭებული ქვევით, დანარჩენ ქობაზე (შემოვლებაზე), რომ სახის გარშემო ჩამოშვებული ნებიერად იცავს მზისაგან ².

¹ აქ ვესტატი გადმოგვცემს იმ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო 1185 წელს, სიცილიელი ნორმანების მიერ ალყაშემორტყმულ თესალონიკეში, როდესაც სტრატეგოსი დავით კომნენოსი («ქალაქის თავი»), ავტორის დახასიათებით, უნიჭო და სულელი, კეისარ ანდრონიკესადმი სიძულვილის გამო ქალაქის ინტერესებს დალატობდა, ხოლო ხალხი («მთელი დანარჩენი სხეული») სულ სხვანაირად იქცეოდა. ვესტატის ამ ცნობიდან ვტყობილობთ, რომ ამ დროს ბიზანტიის ჯარში ყოფილან ალანები და იბერები. და ეს მოულოდნელი არც იყო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სწორედ ამავე ხანებისათვის (XI – XII საუკუნისათვის) მიხეილ ატალიატეს და ნიკეტა ხონიატეს მიერ გადმოცემულია ცნობები იმის შესახებ, რომ ბიზანტიის ჯარში იბერები მხახურობდნენ. იხ. გეორგიკა, ტ. VI, გვ. გვ. 23, 127, 132.

² ამ ნაწყვეტში აღწერილია „იბერიულ ყაიდაზე“ დამზადებული ქუდი, რომელიც ხურავს ბიზანტიელ წარჩინებულს დავით კომნენოსს, თესალონიკის დაცვის (1185 წ.) მთავარ სარდალს. ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით იმით, რომ მივუთითებთ იბერიული ქუდის აღწერას, რომელიც გადმოცემული აქვს ისტორიკოს ნიკეტა ხონიატეს ანდრონიკე კომნენოსის ჩაცმულობის დახასიათების დროს (იხ. გეორგიკა, ტ. VI, გვ. 124 – 126). იქ ნათქვამია, რომ ქუდი იყო კვამლის ფერი (*καπνηρόν*), აქ კი იგი წითელია. გარდა ამისა ვესტატი თესალონიკელს დაწვრილებით აქვს აღწერილი ეს ქუდი, მთელი მისი ნაკეცებით, ნაოჭებით, ქობით და შემოსავლებით.

ლაზური თავსაბურავი

Καὶ τοῦ λοιποῦ, ἵνα μὴ τὴν κοσμητικὴν ἀηδίαν ἀδολεσχεῶ, γίνεται τῶν κακῶν δρόμος εἰς τὸν περιδοξὸν ναδὸν τοῦ σωτήρος Χριστοῦ τοῦ χαλκίτου, καὶ εὐφημία τοῦ Ἀνδρονίκου ἄκοντος εἰς βασιλεία, ὡς ἂν καὶ αὐτοὶ καὶ ἐκείνος εἴποιεν· εἶτα καὶ βία εἰς ἐκείνον, ὡς καὶ μὴ ἐθέλων ἀρχηγὸς ἡμῶν γενοῦ, καὶ περιφθεσις παρασήμων τῇ βασιλείᾳ πεδίλων, ἐκείνου μὴ κατιστῶντος τοὺς πόδας, καὶ περιδυσίς διαδήματος καὶ ῥίψις μὲν καπνικοῦ καλύμματος τοῦ περὶ κεφαλῆν, ὅπερ Λαζόθιν εἶχε τὴν ἀφορμὴν εἰς σύμβολον ὡς ἔμελλε καπνῶ φῦραι, κατεμπρῆσας τὸ πᾶν, ἀντιφύρησις δὲ ἐρυσίρου, αἰνιττομένη ὅσων κεφαλῶν καταψυφιεῖσθαι μέλλει ἀίματα (ed. Bonnæ, p. 410—411).

მაგიერ დაახურეს წითელი, რითაც მიუთითებდნენ, იმაზე, რომ სისხლით მორწყავს იქაურობას, მის შემდეგ რაც სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს ზევს¹.

სხვათა შორის, გული არ მიმიწევს ამქვეყნიურ უსიამოვნებაზე ვიყმედო. და ვიტყვი მხოლოდ რომ გაუბედურებულთა ბრბო ქრისტე-მაცხოვრის განთქმულ ტაძრისაკენ გაეშურა (ხალკეში რომ არის), და, ანდრონიკე მეფედ გამოაცხადა, მისი ნების წინააღმდეგ, როგორც ისინი და თვითონაც ამზობდნენ. შემდეგ ძალა დაატანეს მას და უთხრეს: „თუმც არ გინდოდეს, ჩვენი წინამძღოლი უნდა გახდეო“, ჩააცვეს მეფობის შესაფერისი წაღები, თუმცა მას არც კი გაუშვერია ფეხები, თავზე მოახვიეს დიადემა და მოგლიჯეს კვამლისფერი თავსაბურავი, რომელიც მას ლაზეთიდან მოეტანა იმის სანიშნოდ, რომ აპირებს კვამლში გაახვიოს, მის შემდეგ რაც გადასწვავს ყველაფერს, ხოლო ამის

¹ ევსტათი თესალონიკელის ეს ცნობა კვლავ ეხება წარჩინებულ ბიზანტიელთა თავსაბურავის საკითხს. ამის წინ მოტანილ ნაწყვეტშიც ლაპარაკი იყო „კვამლისფერ“ და „წითელ“ თავსაბურავზე. ნიკიტა ხონიატეს ცნობაში იმავე ანდრონიკეს თავსაბურავის შესახებ ნათქვამია, რომ მას ეხურა კვამლისფერი ქუდი (*καπιτωδὴν τὴν χροῖαν*), ხოლო მის შემდეგ, რაც იგი მეფედ გამოაცხადეს, «მოხადეს თავიდან კვამლისფერი პირამიდული ქუდი და მოახვიეს ცეცხლისფერი». ევსტათის ცნობაშიც იგივეა განმეორებული: «მოგლიჯეს კვამლისფერი თავსაბურავი... ხოლო ამის მაგიერ დაახურეს წითელი». იქაც და აქაც ეს ქუდი უცხოურად არის გამოცხადებული, ხოლო ევსტათი მასს „ლაზეთიდან“ მოტანილად აცხადებს, იმ დროს როდესაც ნიკიტა ხონიატეს ის „იბერიულად“ მიაჩნია (თუმცა *τῆς Ἰβηρικῆς ἰσθμῆς* ტანსაცმელს ეხება, მაგრამ რამდენადაც ამას მოსდევს თავსაბურავის აღწერა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქაც „იბერიულს“ გულისხმობს). თვით ევსტაოიც ხომ მეორე ნაწყვეტში ამ თავსაბურავს თვლის *Ἰβηρικώτερον*. იქნება „ლაზეთი“ და „იბერი“ ერთმანეთის საპირისპირო არც კი იყოს!

თეოდორე ბალსამონი

თეოდორე ბალსამონი (Θεόδωρος ὁ Βαλσαμών) არის სახელგანთქმული იურისტი XII საუკუნისა. იგი დაიბადა კონსტანტინეპოლში, აია-სოფიის ტაძრის დიაკონი იყო. მას ეკავა ნომოფილაქსის თანამდებობასთან ერთად ხარტოფილაქსობა და, მამასადამე, პატრიარქის მთავარი იურიდიული მრჩეველი იყო. დაახლოებით 1185 – 1191 წლებში ანტიოქიის პატრიარქი იყო. გარდაცვალების წელი უცნობია: 1195 წლის მაალდბელ ხანებში უნდა იყოს გარდაცვლილი.

თეოდორე ბალსამონის მთავარი ნაშრომია XIV ტიტულის «სჯულის კანონის» კომენტარი, რომელიც მან დაწერა კეისარ მანუილ I კომნენოსის (1143 – 1180) და პატრიარქ მიხეილ ანხილოსის (1169 – 1177) რჩევით და რომელსაც ის ამუშავებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამ კომენტარში ის განმარტავდა არა მარტო XV ტიტულს, არამედ აგრეთვე «სჯულის კანონთა» კრებულს, რაშიც ის იოანე ზონარას ემყარებოდა. თეოდორე ბალსამონის „კომენტარის“ მნიშვნელობა იმაშია, რომ ის მრავალ ისეთ საისტორიო საბუთს იყენებს (ზოგი სიტყვა-სიტყვით მოჰყავს, ზოგის მხოლოდ ნაწყვეტები), რომლებიც სხვაგან არსად არ მოიპოვება, ცნობილი არაა¹.

ლიტერატურა

Migne. PG 137, 138.

Gu. Moravcsik: Byzantion 8 (1933), 562 – 566.

Les registres des Actes du patriarchat de Constantinople, par V. Grumel. 1947.

იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია

კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების (383 წ.) მეორე კანონის განმარტების დროს თეოდორე ბალსამონი ლაპარაკობს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

¹ Hans Georg Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich. M. 1959, გვ. 657 – 658.

Εἰ δὲ καὶ ἑτέρας ἐκκλησίας αὐτοκεφάλους ἐνρίσχεις ὡς τὴν Βουλγαρίας, τὴν Κύπρου, τὴν Ἰβηρίας, μὴ θαυμασθῆς. Ἐὐὸν μὲν γὰρ ἀρχιεπίσκοπον Βουλγαρίας ἐτίμησεν ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανός. Καὶ ἀνάγνωθι τὴν ρλα' νεαρὰν αὐτοῦ κειμένην ἐν βιβλίῳ τῶν Βασιλικῶν ε', τίτλῳ γ', κεφ[άλαιον] α', καταστρωθεῖσαν εἰς τὴν ἐρμηγείαν τοῦ ε κεφ. τοῦ α' τίτλου τοῦ παρόντος συντάγματος· τὸν ἀρχιεπίσκοπον Κύπρου ἐτίμησεν ἡ γ' σύνοδος. Ἐὐὸν δὲ Ἰβηρίας ἐτίμησε διάγνωσις τῆς ἐν Ἀντιοχείᾳ συνόδου. Ἀέγετα ἰ γὰρ ὅτι ἐπὶ τῶν ἡμερῶν τοῦ ἀγιοπάτου πατριάρχου Φεσούπλεως μεγάλης Ἀντιοχείας, κυροῦ Πέτρου γέγονεν οἰκονομία συνοδική ἐλευθέραν εἶναι καὶ αὐτοκέφαλον τὴν ἐκκλησίαν τῆς Ἰβηρίας, ὑποκειμένην τότε τῷ πατριάρχῃ Ἀντιοχείας (PG, 137, 317—320).

სუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს.

თეოდორე ბალსამონის ტექსტით მოცემული ცნობა იბერიის ეკლესიის მიერ თავისუფლების მოპოვების შესახებ ჩვენს ისტორიაში უყურადღებოდ არ დარჩენილა, ჯერ კიდევ 1913 წელს სერგი გორ-

ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც, [მაგალითად], ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და ი ბ ე რ ი ი ს ა ს. ბულგარეთის არქიეპისკოპოსი – პატივში აიყვანა იუსტინიანე მეფემ. წავიკითხე მე-131-ე მისი ნოველა¹, რომელიც მოთავსებულია «ბასილიკების» მეხუთე წიგნში, მუხლი მესამე, თავი პირველი, რომელიც განკუთვნილია წინამდებარე თხზულების პირველი მუხლის მეხუთე თავის განმარტებისათვის. კვიპროსის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა მესამე (მსოფლიო) კრებამ. ხოლო ი ბ ე რ ი ი ს არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე², გამოტანილ იქმნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავი-

¹ იუსტინიანეს 131. ნოველის მეხუთე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული წმინდა ეკლესიებისათვის სრული თავისუფლების მინიჭების საჭიროება.

² ეს არის ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III (1053 – 1057 წწ.), თუმცა ე. ჰონიგმანს ეს საბოლოოდ დამტკიცებულად არ მიაჩნია; Ob er (ე. ი. ბალსამონი) damit Petros ὁ ἀναφεύς oder Petros III meint, last sich schwer entscheiden („ბალსამონი პეტრე მკაწრველს თუ პეტრე III-ს ჰგულისხმობს, ეს ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია“). იხ. E. H o n i g m a n n, Die Ostgrenze... გვ. 211.

გ ა ძ ე წერდა თავის „წერილებში საქართველოს ისტორიიდან“: „დღეს უკვე მრავალი ფაქტითა და ისტორიული საბუთით დამტკიცებულია, რომ ვალსამონის მოწმობა შეეხება... ანტიოქიის პატრიარქს... პეტრე III-ს (1053 – 1057), რომლის დროსაც საქართველოს ეკლესია სრულიად განთავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქთა დამოკიდებულებისაგან“ (ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება II, გვ. 76 – 77), ხოლო ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა „ძველი საქართველოს“ მომდევნო ტომში აღწერა „მარტვილის ხელნაწერები“, რომელთა შორის ერთ-ერთი არის „სიტყუჲს-გებაჲ ლათინთა მიმართ ჩ^ჲნ მართლ-მადიდებელთა მიერ“, სადაც ბოლოს იკითხება: «რამეთუ ესრეთ შესასწავლებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინეპოლისასა, ვითარმედ მას ჟამსა წმიდა მეექუსე კრებასა [680 წ.] კოსტანტინე პოლონატისასა [668 – 685 წ.წ.] და აღათონ რომთა პაპისსა [678 – 681 წ.წ.], გიორგი კოსტანტინეპოლისასა [678 – 683 წ.წ.] და თეოფანე ანტიოქელისასა [681 – 685 წ.წ.] და მათ თანა ასოცდაათთა მამათაგან გაპატოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამათმთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა. და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქისასა განთავისუფლდა და განპატოსნდა, რამეთუ არღარავისგან ხელქვემ არს, არამედ თავისუფალ და მამათმთავარი არს» (ძველი საქართველო, ტ. III, განყოფ. I, გვ. 117) ¹.

როგორც ჩანს, XI საუკუნის შუაწლებში ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს (1053 – 1057 წ.წ.) კვლავ აღძრულა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ და საკითხი გადაწყვეტილა ანტიოქიის კრებაზე საქართველოს სასარგებლოდ, რაც დასტურდება თეოდორე ბალსამონის ზემოთ მოყვანილი ცნობით.

* *
*

თეოდორე ბალსამონის ცნობას საგანგებო ყურადღება მიაქციეს 1906 წელს პეტერბურგში სინოდის სხდომაზე, სადაც დასმული იყო საკითხი „Об устройении церковных дел на Кавказе“ და სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ნ. მ ა რ ი (მთავარი მომხსენებელი), ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი, ი. ს ო კ ო ლ ო ვ ი და ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (იხ. Журналы заседаний II

¹ ყველა ეს ცნობა, როგორც ჩანს, ემყარება ეფრემ მცირის შრომას „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ (იხ. ქრონ. I 75 – 76), საიდანაც ჯუანშერის „ისტორიაშიც“ ჩაურთეს „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის რედაქტორებმა. იხ. ქ. ცხ. I (1955), გვ. გვ. 226 და 231.

Отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов (СПБ 1907, გვ. გვ. 1 – 318). კერძოდ, ამ სხდომაზე მითითებულ იქმნა ბალსამონის მიერ ნახმარ გამოთქმაზე λέγεται, რომელიც სხდომის ზოგიერთ მონაწილეს მიაჩნდა იმის საბუთად, რომ, მაშასადამე, ბალსამონს ხელთ ჰქონდა უტყუარი დოკუმენტიო; სხვების აზრით კი ამით მხოლოდ ზეპირთქმაზეა ლაპარაკი (გვ. 136), პროფ. ალ. ცაგარელმა მოითხოვა, ბოლოს და ბოლოს ელინისტებმა მოგვეცენ ბალსამონის ტექსტის სანდო თარგმანიო, ხოლო პროფ. ი. სოკოლოვმა ამის საპასუხო გამოსვლაში, სხვათა შორის, თქვა: „როგორადაც არ უნდა თარგმნოთ და განმარტოთ ბალსამონი, მისი ცნობიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს უარყოფითი პასუხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზეო“ (გვ. 148 – 149) ¹.

¹ საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებულ ცნობებს და სათანადო ლიტერატურას (თეოდორე ბალსამონის ჩათვლით) კარგად გადმოგვცემს ევ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 41 – 49.

დ უ კ ა

(ca. 1400 – 1470)

თვით დუკას (Δούκας) შრომიდან ირკვევა შემდეგი: ისტორიკოსი დუკა არის შვილიშვილი იმ მიხეილ დუკასი, რომელიც ნათესავი იყო დუკათა სამეფო ოჯახისა და რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იოანე VI კანტაკუზენის და იოანე V პალეოლოგოსს შორის ატეხილ დავაში და, როგორც თავგამოდებული დამცველი კანტაკუზენისა, ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, ე. ი. 1345 წლის ზაფხულიდან, იძულებული გახდა გაქცეულიყო კონსტანტინეპოლიდან და გადასახლებულიყო სამუდამოდ სელჯუკთა ემირთან ეფესოში.

დუკას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დაახლოვებით მაინც შეიძლება ითქვას: უნდა დაბადებულიყო იგი XIV საუკუნის ბოლოს, ან XV საუკუნის დასაწყისში და გარდაცვლილიყო 1462 წლის შემდეგ, ესე იგი იმ წლის შემდეგ, როდესაც თურქებმა აიღეს მიტილენე, სადაც ბოლოს ცხოვრობდა ჩვენი ისტორიკოსი.

არც გარდაცვალების თარიღის დადგენაა შესაძლებელი: თხზულება წყდება დაუმთავრებელ წინადადებაზე ¹, რომელიც ეხება თურქების მიერ წარმოებულ სამხედრო სამზადისს ქ. მიტილენის ასაღებად, და შემდეგ რა მოუვიდა დუკას: ქალაქის აღებისას მოჰკლეს, თუ ცოცხალი გადარჩა და გაქცევით თავს უშველა, სახელდობრ რომელ ქალაქს შეაფარა თავი, რამდენ ხანს იცოცხლა და სხვ., აი კითხვები, რომელთა შესახებ პასუხები ჯერჯერობით სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს.

ისტორიკოს დუკას მუდმივ უცხოვრია ფოკეაში, ყოფილა გენუის მთავრის მდივანი. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ დუკა ასრუ-

¹ ეს გაწყვეტილი წინადადება ასე იკითხება. *ἔβρισκεν ὄντ' ὁι ἔνδῳ* = იხილეს რა [ქალაქის] შიგნით მყოფებმა... (Duca, გვ. 346¹⁹).

ლებს ლესბოსის მმართველთა ბრძანებით დესპანის მოვალეობას და მოლაპარაკებას აწარმოებს სულტან მუჰამედ II-სთან (1430 – 1481) ლესბოსის მომავალი ბედის შესახებ. 1455 წელს ლესბოსის მთავრის დორინო გატელუციას სახელით ის მიესალმა ლესბოსში შესულ თურქეთის ფლოტის მხედართმთავარს – ხამზას და მიართვა ძალიან მდიდრული ძღვენი ადრიანოპოლში; იმავე დორინოს ბრძანებით მან ხამზასვე 1456 გაუმართა სადილი.

დუკას „ისტორიის“ შესავალი გადმოგვცემს მსოფლიო ისტორიას ადამიდან, ხოლო 1204 წლამდე კმაყოფილდება მეფეთა და მპყრობელთა ჩამოთვლით; 1204 – 1359 წლების ამბების თხრობის დროს კი განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ოსმალთა ბატონობის გავრცელებას. ისტორია 1391 წლამდე შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული. შემდეგ დაწვრილებით არის მოთხრობილი სამი უკანასკნელი კეისრის ისტორია: მანუილ II პალეოლოგოსისა (1391 – 1423), იოანე VII პალეოლოგოსისა (1423 – 1448) და კონსტანტინე XI პალეოლოგოსისა (1448 – 1453). თხრობა წყდება 1462 წელზე (კუნძულ ლესბოსის აღებაზე მუჰამედ II-ის მიერ).

ამბები 1421 წლამდე აღწერილი აქვს დუკას წერილობითი წყაროების მიხედვით (მისთვის ცნობილი არიან ნიკეტა ხონიატე, იოანე ანაგნოსტე და ნიკიფორე გრიგორასი).

ბერძნულის გარდა ის ფლობდა იტალიურსა და თურქულ ენებს, იმდენად კარგად სცოდნია მას თურქული ენა, რომ თურქულ სახელებს ზედმიწევნით გადმოგვცემს.

იმავე ეპოქის ამბებს აგვიწერენ, დუკას გარდა, გიორგი სფრანძესი და ლაონიკე ხალკონდილე. ამ სამ ავტორს შორის დუკა, მკვლევართა ერთიანი აღიარებით, დანარჩენებზე უფრო სანდო წყაროა, როგორც შინაარსის ისე ქრონოლოგიის მხრით (იხ. Dölger: BZ; 31,23).

ცალკე დგას დუკას უნიატობის საკითხი.

რომ დუკას „თავგამოდებული“ მართლმადიდებლები კი არ ეზიზღება, არამედ ებრალება, ეს კარგად ჩანს მისი თხზულების ერთი ადგილიდან: «დაკეტეს კარები საკეტებით, – წერს იგი აია სოფიაში თავმოყრილ ქრისტიანების შესახებ, – იდგნენ და ელოდნენ ხსნას. ოი, უბედურნო რომაელნო; ოი, საცოდავნო! ეკლესიას, რომელსაც გუშინ და გუშინწინ თქვენ ეძახდით მწვალებელთა ქვაბსა და სამსხვერპლოს და რომლის შიგნით არც ერთი თქვენგანი არ შედიოდა რომ არ წაბილწულიყო იმიტომ, რომ შიგნით წირავდნენ

უნის მომხრენი. ახლა, ღვთის რისხვის გამოჩენის გამო, თქვენ მასში თავისგადამრჩენ საშუალებას ეძებთ. მაგრამ, როცა მოვიდა სამართლიანი ღვთის რისხვა, თქვენი გულები მაინც ვერ აღძრა შესარიგებლად. ვინაიდან იმ დიდ საშიშროების დროსაც კი ანგელოზიც რომ ჩამოფრენილიყო ციდან და ეკითხა თქვენთვის: «თუ მიიღებთ უნიას და ეკლესიების მშვიდობიან მდგომარეობას, მე გავრეკავ მტრებს ქალაქიდანო», თქვენ, ალბათ, არ დასთანხმდებოდით, რომ გესურვებინათ შერიგება, შეიძლებოდა შერიგება. ეს იცინათ მათ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ამბობდნენ: «უმჯობესია თურქების ხელში ჩავცვივდეთ, ვიდრე ფრანგების ხელშიო» (XXXIX, 290).

ძველი შეხედულებით დ უ კ ა ითვლება პროლათინური ორიენტაციის ისტორიკოსად:

1) პ. დ. პოგოდინის აზრით¹ დუკას უნიატური პოზიცია გამოწვეული იყო იმით, რომ ის მტრულად იყო განწყობილი ბიზანტიისადმი და დასავლეთს სწყალობდა. ე. ჩერნოუსოვი კი ფიქრობს², რომ დუკა დასავლეთის ორიენტაციისა სრულიადაც არ ყოფილა, ხოლო მისი მომხრეობა რომთან უნიისა იმით იყო გამოწვეული, რომ ის დიდი პატრიოტი იყო და ეს პატრიოტიზმი უკარნახებდა მას რომთან უნიის გზით ეხსნა დალუპვის გზაზე შემდგარი ბიზანტია.

2) დღეს უფრო მეტად გაზიარებულია ის აზრი, რომ დუკა უნიის მომხრე იყო, ხოლო პოლიტიკური მოსაზრებებით³.

3) ამავე დროს ზოგიერთები პროლათინური ორიენტაციის ისტორიკოსად თვლიან, განსაკუთრებით საბჭოთა ბიზანტინისტები.

ს. კრასავინას დასკვნით, თუმცა დუკა გულახდილად გამოხატავს თავის პროლათინურ პოზიციას, მაგრამ ის სფრანძქესზე არა ნაკლები პატრიოტია და მართლმადიდებელი. უნიამ ვერ გადაარჩინა ბიზანტია: ეს მოხდა იმიტომ, რომ უნიამ დიდი განხეთქილება შემოიტანა კონსტანტინეპოლში და ამით შეასუსტა ქალაქის დამცველთა ძალები. ბიზანტიის კრიტიკულ მდგომარეობაში (თურქები ქალაქის კედლებს ემუქრებოდნენ უკვე) უნია მას (და სფრანძქესაც)

¹ П. Д. Погодин, Обзор источников по истории осады и взятия Византии турками в 1453 г.: ЖМНП, 1889 авг.

² Е. Черноусов, Дука, один из историков конца Византии: ВВр. XXI (1914), 216 – 220.

³ V. Grecu: Archives de l’Orient Chr. I. Bucarest 1948, 137 – 138.

მიაჩნდათ დასავლეთიდან სამხედრო დახმარების მიღების საშუალებად¹.

დუკა თავის „ისტორიაში“, სახელდობრ 21. თავში დაწვრილებით აგვიწერს 1416 – 1418 წლების აჯანყებას ბერკლიჯი-მუსტაფას მეთაურობით.

მართალია, დუკა არ გვირკვევს ამ აჯანყების მიზეზებს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ აჯანყების ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო გადასახადებისა და საგლეხო ბეგარების გაზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა მის შემდეგ, რაც მცირე აზიაში (კერძოდ, მცირე აზიის იონიაში) დამკვიდრდა მუჰამედი (Ducae Historia Byzantina: PG 157, 889 – 892).

დაახლოვებით ასევეა გადმოცემული ამ აჯანყების ამბავი ს ფ რ ა ნ ძ ე ს ი ს სახელით მოღწეულ Chronicon Maius-ში (PG 156, 709).

* *
*
*
*

დუკას „ისტორია“ მოღწეულია ორი ხელნაწერით: P (=Parisinus gr. 1310, XV საუნკუნისა), და F (= Parisinus gr. 1766, XVII საუნკუნისა). დადასტურებულია, რომ F არის გადმოწერილი P ნუსხიდან (იხ. M o r a v c s i k: BZ 29 (1929), 289, გუსტავ სოიტერის წიგნის „Byz. Geschichtsschreiber und Chronisten“ რეცენზიაში).

ლიტერატურა

Ducae Michaelis Ducae nepotis historia Byzantina, rec. I. Bekkerus Bonnae 1834 (განმეორებულია: PG 157).

Ducue Historia Turcobyzantina (1341 – 1462), ex recensione B a s i l i i G r e c u. 1958.

А. С. С т е п а н о в а, Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя: ВВр. VI (1953), 385 – 410 (Дука: гл. 35 – 40; 42).

Е. Ч е р н о у с о в, Дука, один из историков конца Византии; ВВр. 21 (1914), 171 – 221.

Gu. M o r a v c s i k: Byz. Zeitschrift 29 (1929), 289.

Gu. M o r a v c s i k, Byzantinoturcica² I (1953), 247 – 251.

Fr. D ö l g e r, Johannes VII, Kaiser der Rhomäer 1390 – 1408: BZ 31, (1931), 21 – 36. (ბევრგან არის მოცემული დუკას შეფასება როგორც საისტორიო წყაროსი).

¹ С. К. К р а с а в и н а, Дука и Сфрандзи об унии православной и католической церквей: ВВр. XXVII (1967), 149. ს. კ. კრასავინას (ყაზანი) დამზადებული აქვს დუკას „ისტორიის“ თარგმანი კომენტარებითა და ნარკვევით. იხ. ВВр. XXVIII (1968), გვ. 14.

თურქთა თარეში. სკვითები და აბაზგები

VIII. Οἱ δὲ Τούρκοι¹ τὸ πολε-
μεῖν ἀφέντες τὸ σκυλεύειν τὰς κώ-
μας κατέτρεχον, καὶ δὴ ἄνθρωποις
ἀναρπυμῆτους ἐξ ἀλύσειων ἀνθρώ-
πους συμπλέξαντες εἰς τὴν Κων-
σταντινοῦ ἀνδρᾶς τε καὶ γυναι-

ბრძოლის დამთავრების შემ-
დეგ, თურქები სამარცვავად შე-
ესივნენ დასახლებულ ადგილებს
და დაუსრულებელ ნაკადად მიე-
დინებოდნენ კონსტანტინეპოლში
შებორკილნი და ერთმანეთზე გა-

¹ ეს ამბავი მოთხრობილი აქვს დუკას 1344 წლის ქვეშ. ნათქვამია, რომ თურ-
ქები ბრძოლის დამთავრების შემდეგ (უმთავრესად მცირე აზიის დასავლეთ და
ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) სამარცვავად შეესივნენ დასახლებულ ადგილებს და
აქ შეპყრობილ ტყვეებს, შებორკილებს, აგზავნიდნენ კონსტანტინეპოლში გასასყიდად.
და აქ ჩვენი ავტორი, დუკა, ამბობს: «ცხვრებივით ხმირეკებოდნენ» გასასყიდად ისე,
როგორც სკვითებსა და აბაზგებსო» (ἀς Σκύθας ἢ Ἀβασγούς) ალბათ,
დუკას სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: თურქები ისევე ეპყრობოდნენ დამარცხებულ
და დამონებულ ბიზანტიელებს, როგორც სხვაგან და სხვა დროს ეპყრობოდნენ სკვი-
თებსა და აბაზგებსო, ე. ი. აბაზგებსაც აწიოკებდნენ, ატყვევებდნენ და მონებად
ჰყიდიდნენ. ვინ არიან ეს „აბაზგები“? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქ-
ესლჯუკთა თარეშს ჩვენს ქვეყანაში სრვა და დარბევა თანახლდა და რომ თურ-
ქები დაუნდობლად ჟლეტდნენ ჭაბუკებს და მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს, უნდა
მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ დუკასთვის ცნობილია თურქთა სიმხეცე დაპყრობილ
ქვეყნებში. თითქოს ერთნაირად აქვთ აღწერილი თურქთა თარეში: დუკას ბიზან-
ტიაში და ქართველ ისტორიკოსს – საქართველოში:

დ უ კ ა

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ის ტ ო რ ი კ ო ს ი

თურქები სამარცვავად შეესივნენ
დასახლებულ ადგილებს და დაუსრულე-
ბელ ნაკადად მიედინებოდნენ ... შებორ-
კილნი და ერთმანეთზე გადაბმული მა-
მაკაცები და დედაკაცები, ძუძუმწოვარი
ბავშვები და ნორჩი ჭაბუკები, მღვდლე-
ბი და ბერები.. ცხვრებივით მიერეკე-
ბოდნენ გასასყიდად.

თურქთა... მოჭამეს ქუეყანა და მოსწყ-
დეს... მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმ-
ნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმ-
ნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი
დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატა-
ცებული... მღდელნი რომელნიმე თვთ
შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპ-
ლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქნეს
(ქ. ცხ. I. 320).

მართალია, დუკას აღწერა ეხება XIV საუკუნის ამბებს, ხოლო დავით აღმაშე-
ნებლის ისტორიკოსის XI – XII საუკუნისას, მაგრამ ეხება, აქაც და იქაც, ერთსადა-
იმავე თურქებს (თურქ-სელჯუკებს და შემდეგ ოსმალოს თურქებს). და დუკა რომ
ამბობს «როგორც აბაზგებსო», რასაკვირველია ის ჰგულისხმობს „საქართველოს“,
„ქართველებს“ (და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებ „აბაზგებს“).

ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ XI და მომდევნო საუკუნეების ბიზანტიელი
ისტორიკოსები გაერთიანებულ საქართველოს უწოდებდნენ ხოლმე „აბაზგიას“ და
მის მეფეს – „აბაზგს“, ისევე როგორც, მაგალითად, იოანე პეტრიწი იოანე იტალო-
სისათვის იყო „აბაზგი გრამატიკოსი“ (ე. ი. „ქართველი გრამატიკოსი“).

κας, φηλάζοντα νήπια και ἐφή-
βους νέους, ἱερεῖς και μοναχοὺς,
ἅπαντας φέρδην ὡς πρόβιατα ἐν
τῇ λεωφόρῳ, ὡς Σικύθας ἢ
Ἄβασγοὺς ἀπειπολοῦντας ἐκό-
μιζον. Καὶ τὸ δεινότερον ὅτι εἰ
ἔτυχε μὴ παραχρήμα οὐχ εὐρίσ-
κετο ἀγοράζων, ἐν ταῖς ὄψεσι
τῶν Ῥωμαίων δεινῶς οἱ Ῥωμαῖοι
παρὰ τῶν βαρβάρων, ὃ τῆς ἀσπ-
λαγχίας, ἐμαστιζόντο. Οὐκ ἄλλο
τὸ πανουργεῖσθαι ἢ ὅτι καιμφ-
θέντες αὐτοὺς ἐξωνήσασιν. Τοὺς
δὲ μὴ ἐξωνουμένους παρεσθῆς
τὸν πορθῆν διὰβιβάζσαντες ἐν
τῇ Προσῆ και ἀνωτέρω τοῦτους
ἀπέπεμπον ἐν τοῖς Τούρκοις πι-
πραθησομένους. Καὶ ἦν ἰδεῖν θέ-
αμα ἐλεεινόν. Πανταχοῦ κλαυθμοί,
πανταχοῦ ὄδυρμοί, πανταχοῦ θά-
κρυα ἐν ὄψεσι τῶν Ῥωμαίων,
και ὁ ἐλεῶν οὐκ ἦν οὐθ' "Ἐλλην
οὔτε βάρβαρος (CB, 32,12 —
33,4).

დაბმულნი მამაკაცები და დედა-
კაცები, ძუძუმწოვარი ბავშვები
და ნორჩი ჭაბუკები, მღვდლები
და ბერები; ყველანი უწესრიგოდ
ერთმანეთში იყვნენ არეულნი და
ქუჩაში ცხვრებივით [*მიერეკებო-
დნენ*] გასასყიდად. ისე, როგორც
სკვითებს ან ა ბ ა ზ გ ე ბ ს. უსას-
ტიკესნი ხდებოდნენ [*თურქები*],
თუ კი მაშინვე მყიდველს ვერ იპო-
ვიდნენ; ბარბაროსების მიერ რო-
მაელები [*თვით*] რომაელთა თვალ-
წინ შეუბრალებლად იგვემებოდ-
ნენ, თუ რაიმე მოხერხებით
ან გამოსყიდვით არ შეიძლებუ-
ქებდნენ თავიანთ მდგომარეო-
ბას. ხოლო თავგამოუყიდველთ
გზავნიდნენ გასასყიდად პრუსა-
ში, ან უფრო ზემოთაც, – თურ-
ქეთის ბაზრებზე. შესაბრალისი
სანახაობა იყო: ყველგან ტირი-
ლი, ყველგან გოდება, ყველგან
ცრემლი რომაელთა თვალწინ და
არავინ იყო შემბრალებელი –
არც ელინი და არც ბარბაროსი.

თემურ-ხანმა შეკრიბა ჯიქები და აბაზგები

XVI. "Ἐαρος¹ δ' ἀρχαμένου ἰδού
και ὁ Τεμῦρ χάν ἐκ Περσίας πρὸς
τὰ τοῦ Ταναΐδος μέρη ἐλθὼν,
και τοὺς Ταυροσκύθας και Ζυκ-
χοὺς και Ἄβασγοὺς ἀθροί-
σας, και τὰ ἐν τῷ Βοσπόρῳ πο-
λίχνια κατασκάψας, διέβη πρὸς
τὰ τῆς Ἀρμενίας μέρη, και τὴν
Καππαδοκίαν διελθὼν σὺν πολλῇ

გაზაფხული რომ დადგა, თე-
მურ-ხანი სპარსეთიდან [*წამო-
სული*] ტანაისის მხარეს მივიდა
და ტავროსკვითები, ჯიქები და
ა ბ ა ზ გ ე ბ ი შეკრიბა, ბოსფორში
დაბები დაანგრია, გადავიდა
არმენიის მიწაწყალზე, კაპადო-
კის გაიარა დიდძალი ჯარით,
არმენიიდანაც ბევრი ჯარი შეი-

² ეს ამბავი დუკას მოთხრობილი აქვს 1400 წლის ქვეშ.

στρατιᾷ καὶ ἐκ τῶν Ἀρμενίων
οὐκ ὀλίγους παραλαβὼν πρὸς τὰ
τῶν Γαλατῶν μέρη ἀφίκετο,
στρατὸν ἔχων ὡς ὁ ποτὲ Ξέρξης
πολυαρίθμητον (CB p. 61,20—
62,4).

ერთა და, გალატიას როცა მიაღწია, მას ჰყავდა აურაცხელი ჯარი, ისევე როგორც ოდესღაც ქსერქსეს.

ლაზების მეზობელი ყარაიულუკი

XXII. Διαβὰς οὖν τὴν πρὸς τὸν
Αἰθίην ἀμεταστρεφῆ ὁδόν, κατέ-
λιπε τὸν πρῶτον τῶν σίνων αὐτοῦ
ἀρχηγὸν Τοῦρκων, τὸν καλοῦμενον
Μουράτ, τότε ἐν τοῖς ὁρίοις Ἀμα-
σειᾶς ἡγεμονεῦοντα. Καὶ γὰρ
ἐκεῖ τὰς ἀκρας ἐκείνας ἔλαχεν
αὐθιεντεύειν, ὀμφείσας παρὰ τῶ

რომ გადავიდა ¹ ადესში უკან შემოუქცევლად, მთავრად დატოვა თვისი უფროსი ძე, თურქთა მხედარმთავარი, რომელსაც სახელად მურატი ერქვა და რომელიც მაშინ ამასიის საზღვრების [დამცველი ჯარის] მხედარმთავარი იყო ². იგი (ე. ი. მურატი)

¹ ეს ამბავი მოთხრობილი აქვს დუკას 1421 წლის ქვეშ.

² აქ ნათქვამია, რომ მუჰამედ I-ის (1402 – 1421) გარდაცვალების შემდეგ სულტობა ერგო მის უფროს ძეს (πρῶτον τῶν σίνων αὐτοῦ) მურადს. ეს არის სულტანი მურად II (1421 – 1451), რომელიც მაშინ (გასულტნების წინ) ამასიის სასაზღვრო ჯარის სარდალი ყოფილა. აქვე ნათქვამია, რომ მას ჰქონდა მამისაგან მიცემული, დამოუკიდებელი გამგებლობისათვის (αὐθιεντεύειν) სპარს-თურქების საზღვარზე მდებარე მიჯნები (τὰς ἀκρας), იმ სპარს-თურქების, რომელთაც განაგებდა ყარაიულუკი. ლ ა ზ ე ბ ი ს ა და სპარსელების მეზობელი, ვინ არის ეს „ყარაიულუკი“? „ჯეჰან-შაჰის გაძლიერებას საზღვარი თეთრბატკნიანთა ტომის მთავრის ყარა-ეღლეკის შვილისშვილმა უზუნ-ჰასანმა (ე. ი. გრძელმა ჰასანმა) დაუდვა, რომელმაც უკვე 1449 წ. თავისი მეტომენი შეაერთა და გაძლიერება დაიწყო... ერთი სიტყვით, სპარსეთის მიწაწყალზე პოლიტიკური შეჯგუფება დაიწყო და სპარსეთის უდიდესი ნაწილის სათავეში ისეთი ძლიერი ნებისყოფისა, გამბედაობისა და შორსმჭვრეტელობის პატრონი ადამიანი მოექცა, როგორც უზუნ-ჰასანი იყო“ (ქ. ერის ისტ. IV, 63).

მამასადამე, ყარა-იულუკი (Καριαιουλοῦχ, ყარა-ეღლეკი) არის უზუნ-ჰასანის პაპა, რომელიც განაგებდა სპარს-თურქეთის (Περσῶντοურχοι უნდა გავიგოთ ისე, როგორც ანალოგიური ტერმინი Περσαρμενία) – განაგებდა სპარს-თურქეთის მხარეს და იყო ლაზების მეზობელი.

საჭიროა ამ ცნობასთან დაკავშირებით განვიხილოთ მომდევნო ნაწყვეტი „უზუნ-ჰასანი კოლხეთში“ (იხ. აქვე გვ. 29).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ უზუნ-ჰასანი, რომელიც არმენიის მხარეს განაგებდა, კოლხეთის მეზობლად იყო. არსად სხვაგან, გარდა დუკას ამ წყაროსი, უზუნ-ჰასანის კავშირი კოლხეთთან მოხსენიებული არაა. ამიტომ შესაძლებელია ამ ფაქტს, უზუნ-ჰასანის კავშირს კოლხეთთან, მიუთითებდეს ის ვარაუდი, რომელზედაც წერს

πατρι αὐτοῦ, ἕρια τυγχάνοντα τῶν Περσοτύρκων, οἷς ἦρχε Καραιοῦλοῦ χειρὶν ἁλῶν Ἀλέξου καὶ Πέρσας, ἕς καὶ θυσιατέραν Ἀλεξίου τοῦ Κομνηνοῦ βασιλείας Τραπεζούντων εἰς γάμον ἰγάγετο.. Καὶ γὰρ ἀτακτοῦντες πολ- λάκις οἱ τῆς Ἀμασειᾶς καὶ τοῦς Τουρκοπέρσας προσκαλοῦν- τες, ἐπεὶ ἴμογενεῖς καὶ ἴμοδίαι- τοι τυγχάνουσιν, εἰς ἀποστασίαν χωροῦντες ἐφαίνοντο (CB p. 124,19—125,5).

დამოუკიდებლად მართავდა მისაგან მისთვის გადაცემულ ადგილებს, სპარს-თურქების საზღვარზე მდებარეს, რომელსაც განაგებდა ყარაიულუკი, ლ ა ზ ე ბ ი ს ა და სპარსელების მეზობელი, მას (*ე. ი. ყარაიულუკს*) ცოლად ჰყავდა ტრაპიზონის მეფის, – ალექსი კომნენოსის ქალი და ხშირად ამასიისა და სპარს-თურქების მეამბოხენი იწვევდნენ თავიანთ ნათესავეებსა და მეზობლებს [*ტრაპიზონიდან*] და უკანასკნელნიც მეამბოხეთა მხარეზე დგებოდნენ.

ივ. ჯავახიშვილი. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი წერს (ქ. ერის ისტ. IV, 124, 1948 წლის გამოცემა): „ყუარყუარე ათაბაგის სამფლობელოზე უზუნ-ჰასანის გალაშქრების ამბავის შემდეგ იოს. ბარბაროს [ქუთაისისა და სკანდის ციხეების მდებარეობისა და მდგომარეობის შესახებაც აქვს ცნობები მოყვანილი, მაგრამ იყო თუ არა ლიხთიმე-რეთში თვით უზუნ-ჰასანი თავისი ლაშქრითურთ, გარკვევით არა ჩანს“.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იოს. ბარბაროს იმიტომ დასჭირდა ქუთაისისა და სკანდის ციხეების მდებარეობისა და მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი, რომ აპირებდა მოთხრობას უზუნ-ჰასანის ყოფნის შესახებ კოლხეთში, დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ასეთი ვარაუდი მცდარი იქნებოდა შემდეგი მიზეზებით: როდესაც ზემოთ მოყვანილ წყაროებში ლაპარაკია ყარა-იულუკის ან უზუნ-ჰასანის მოღვაწეობაზე, იგულისხმება მათი საქმიანობა არმენიის, სპარს-თურქეთის და ტრაპიზონის სამეფოს საზღვრებზე. „Султан османов Баязид I Илдириим завоевал Караман,Токат, Сивас, Самсун, дошёл до Черного моря, прогнал туркменскую «Белобаранную» (Ак-Коюнлу) орду эмира Османа Кара-Юлука за Евфрат и стал оседом Трапезунтского царства...“ (Ф. Успенский, История Византии, т. III. стр. 743). და, აი, როდესაც ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებში ნათქვამია: «ყარაიულუკი ლაზებისა და სპარსელების მეზობელია», «უზუნ-ჰასანი იყო განმგებელი არმენიის მხარისა და მეზობელ კოლხებისა» – აქ „ლაზები“ და „კოლხები“ არის სინონიმი „ტრაპიზონის სამეფოსი“ და არა დასავლეთ საქართველოს კოლხებისა ან ლაზებისა. ტრაპიზონის სამეფოს ისტორიკოსები ხომ ტრაპიზონის სამეფოს ეძახიან „კოლხთა და ლაზთა ქვეყანას“; ასე, მაგალითად:

«იოანე, ზემოხსენებული ალექსის შვილთაშვილი, იმ ალექსისა, რომელიც კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ კ ო ლ ხ თ ა და ლ ა ზ თ ა ქვეყანაში გაბატონდა» (ნიკიფორე გრიგორასი: გეორგიკა. VII, 134).

«იმავე წელს (1306 წ.) ლ ა ზ თ ა მთავარს, კეისრის ღვიძლი დის შვილს ალექსის (ალექსი III, 1297 – 1330 წ. წ.), რომელიც მეფურმა ბედმა დააზვეა და ტრაპიზონის ქალაქის მპყრობელი გახადა...» (გიორგი პახიმერი: გეორგიკა VII, 84 – 85).

უზუნ-ჰასანი კოლხეთში

XLV. Ἐν¹ δὲ τῷ ἔτει τούτῳ ἐστάλησαν ἀποκρισιάριοι παρὰ τῶν Κωμάνων, παρὰ τοῦ δεσπόζοντος τὰ μέρη τῆς Ἀρμενίας καὶ γειτνιαζόντος τοῖς Κόλχοις Οὐζὺν Χασάν, αἰτῶν παρ' αὐτοῦ τινα περιφρονήσεως πράγματα, λέγων κεχρεωσῆσθαι αὐτῷ τέλος ἐπέκεινα ἐτῶν ἕξ τοῦ θοῦναι κατ' ἔτος χίλια σαγίσματα διὰ τοὺς ἵππους αὐτοῦ καὶ χίλια ταγηστήρια καὶ χίλια κεφαλοδέσματα, ἅτινα ἔταξε τοῦ θοῦναι κατ' ἔτος ὁ πάππος αὐτοῦ πρὸς τὸν πάπον ἐκείνου. Ὁ δὲ ἀπεκρίνατο „ὑπάγετε ἐν εἰρήγῃ, καὶ γὰρ τῷ ὑπερχομένῳ ἔτει κομίσω ταῦτα σὺν ἐμοί, καὶ ἀποδώσω τὸ χρέος“ (CB p. 339,10—19).

იმავე წელს კომანელთაგან და უზუნ-ჰასანისაგან, რომელიც განაგებდა არმენიის მხარეს და რომელიც კოლხეთის მეზობლად იყო, ელჩები გაიგზავნენ (*მუჰამედთან*) და (*უზუნ-ჰასანი*) მოითხოვდა მისგან რაღაც უმნიშვნელო რამეებს და ეუბნებოდა, რომ მას მისი მართებს ხარკი 60 წლისაზე მეტი, წლიურად 1000 ჩული, მისი ცხენების გადასაფარებელი, 1000 ხალიჩა და 1000 დოლბანდი, რომელთაც, როგორც დაწესებული იყო და ყოველწლიურად უხდიდა ამისი (*მუჰამედის*) პაპა იმის (*უზუნ-ჰასანის*) პაპას. ხოლო იმან (*მუჰამედმა*) უპასუხა: „დამშვიდებული ბრძანდებოდეთ და მომავლ წელს ვიზრუნებ იმაზე და ვალს გადაგიხდით“.

ლაშქრობა სინოპში, არმენიაში, კავკასიაში, ფაზისზე

XLV. Ἐν δὲ τῷ „ϛ'ϛϛ'“ ἔτει ἐποίησε στόλον τριήρων καὶ διήρων μέχρι πού τὰ σ' καὶ νῆας ἰ. Αὐτὸς δὲ τῷ ἔαρι τὸν πορθιμὸν διαβάς ἦκεν εἰς Προῦσαν τῆς Βιθυνίας, μὴ ἐπισταμένου τινὸς μηδὲ νοήσαντος τὴν βουλήν. Εἶπα καὶ τι παράδοξον, Ὁ νομοδιδάσκαλος αὐτοῦ, ὃς καὶ κριτῆς κριτῶν ὑπῆρχε τῷ τότε καιρῷ, θαρρήσας ἄς πρὸς

6969 წელს (ქრისტეს აქეთ 1461) მოაწყო ლაშქრობა 200-ამდე სამნიჩბიანი და ორნიჩბიანი ნავით, და 10 სამხედრო ხომალდით; გადალახა სრუტე და შევიდა ბითვინიით პრუსაში ისე, რომ არავინ ამის შესახებ არაფერი იცოდა და არც არავის მოსვლია აზრად. ვიტყვი: სწორედ რომ საკვირველი იყო! რჯულის-მოძღვარი დესპოტისა, რო-

¹ ეს ამბავი დუკას მოთხრობილი აქვს 1457 წლის ქვეშ.

τὴν πλησιότητα ἦν ἐκείνητο πρὸς τὸν ἡγεμόνα καὶ ὁ ἡγεμὼν πάλιν ὡς πρὸς τὴν εὐλάβειαν ἦν ἐδείκνυε πρὸς τὸν διδάσκαλον, τολμήσας λέγει τῷ ἡγεμόνι ἔτι ὄντων αὐτῶν κατὰ μόνας „κύριε, τὴν παράταξιν ταύτην τὴν διὰ ξηρᾶς καὶ διὰ θαλάσσης ἐτοιμασθεῖσαν ποῦ κελεύεις φέρεσθαι;“. ὁ δὲ ὀργίλως πῶς ἐμβλέψας εἰς αὐτὸν ἔφη „ἴσθι, ὦ οὐτος, εἰ ᾗθειν ὅτι ἐκ τῶν τοῦ πώγωνός μου τριχῶν θριξὶ μία ἀπελάβετό μου τοῦ μυστηρίου, ἀποσπάσας ἂν αὐτὴν πυρὶ παρέδωκα“. Τοσοῦτον κρυψίνους ὁ ἀνὴρ καὶ ὀργίλος. Φοβηθέντες πάντες οἱ οἰκοῦντες ἔν τε τῷ Λυκοστομίῳ Βλάχοι, ἀλλὰ δὴ καὶ Καφᾶς Τραπεζοῦς καὶ Σινωπεῖς, αἱ τε νῆσοι τοῦ Αἰγαίου πελάγους, Ῥόδος καὶ τὰ πέριξ αὐτῆς νησιδία, Χίος καὶ Λέσβος, εἰ καὶ τελοῦντες ἦσαν, ἀλλὰ τὴν ἀκαταστασίαν αὐτοῦ γινώσκοντες ἐτρόμαξαν. Ὁ δὲ ἡγεμὼν ἀπάρως ἀπὸ Βιθυνίας ἤλθεν εἰς Ἀγκύραν τῆς Γαλατίας, κακεὶ τὰς σκητὰς πήξας, ὁ τῆς Σινώπειος ἡγεμὼν στείλας τὸν υἱὸν αὐτοῦ μετὰ πλείστης δωροφορίας, καὶ προὑπαντήσας αὐτῷ δουλικῶς προσεκύνησεν. Ὁ δὲ ὑπεδέξατο τοῦτον ἀσμένως, καὶ τὰ τῷ ἰδίῳ πατρὶ μῆνυθησόμενα τοῦτῃ ἀπήγγειλε, καὶ αὐτὸν ὡς ἄγγελον τῶν βῆθησομένων πάντα κατεῖπε, λέγων „ἀνάγγειλον τῷ πατρὶ σου ὅτι τὴν Σινώπην βούλομαι, καὶ

მელიც მაშინ მსაჯულთ-უხუცესის მოვალეობასაც ასრულებდა და [ამდენად] ფრიად დაახლოვებული პირი იყო მასთან და პატივისცემაც ჰქონდა რჯულის-მოძღვრისა, როცა დაიმართოხელა, გაკადნიერდა და ჰკითხა: «უფალო! მებრძოლი რაზმები ზღვისა და ხმელეთისაც უკვე მზად არიან, საით ბრძანებთ მათ გალაშქრებას? ხოლო მან თითქმის ბრაზმორეულმა გადახედა მას და უთხრა: «შენ უნდა იცოდე, რომ თუ კი ჩემი საიდუმლოება ყველასათვის გახდება ცნობილი, მაშინ მე წვერებს ისე დამაგლეჯენ, რომ ერთ თმასაც არ შემარჩენენ და ცეცხლსაც მივეცემიო!» ამდენად ქვეშ ქვეშა და ბრაზიანი კაცი იყო დესპოტი! შეშინდა მთელი მოსახლეობა: ლიკოსტომში ვლახები, კავას მცხოვრებნი, ტრაპიზონელები, სინოპელნი, ეგეოსის ზღვის კუნძულთა [მკვიდრნი], როდოსზე და მის ირგვლივ მდებარე კუნძულებზე, ქიოსზე ლესბოსზე; მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ, წინააღმდეგობის გაწევისა ეშინოდათ. სარდალი ბითვინიიდან გაიჭრა და შევიდა გალატიის ანკირაში და იქ დაბანაკდა. სინოპის მთავარმა გაუგზავნა მას მრავალი საჩუქარი თავისი ვაჟის ხელით, რომელიც მეფესთან წარდგა და მონურად თაყვანი სცა. ხოლო მან ძღვენი მიიღო რა სინარულით, დაავალა, რომ

εἰ μὲν ταύτην ἐλευθέρως παράσ-
 χοι, καὶ γὰρ χαριέντως ἀνταποδίδω
 αὐτῷ τὴν ἐπαρχίαν τῆς Φιλιπ-
 πουπόλεως, εἰ δὲ οὐ, ἔρχομαι
 ταχύ¹. Ὁ δὲ στόλος διὰ τῆς
 θαλάσσης τῆς Ποντικῆς ἐφθασεν
 ἐν Σινώπῃ. Ὁ υἱὸς δὲ τοῦ
 Ἰσμαήλ ἡγεμόνος τῆς Σινώπης
 ἦλθε πρὸς τὸν πατέρα αὐτοῦ,
 καὶ ἀνήγγειλεν αὐτῷ πάντα τὰ
 λαληθέντα παρὰ τοῦ τυράννου.
 Ὁ¹ τυράννος δὲ μαθὼν τὴν ἀνά-
 βασιν τοῦ στόλου γεγνησθαι ἐν
 Σινώπῃ, καὶ αὐτὸς διὰ ξηράς εἰς
 αὐτὴν ὤδευεν. Ὁ δ' Ἰσμαήλ
 ἀπορήσας ἐξῆλθε τῆς Σινώπης,
 καὶ προὔπαντήσας αὐτῷ καὶ δου-
 λικῶς προσκυνήσας, ἀσπασίως
 αὐτὸν ὁ τυράννος ὑπέδεξατο, κε-
 λέυσας πάντας τοὺς μισθοφόρους
 αὐτοῦ λαβεῖν καὶ ἵππους καὶ
 ἡμιόνους καὶ καμήλους, καὶ ἄλλο
 εἴ τι ἐν τοῖς αὐτοῦ ταμίαις
 ἐκέκτητο, καὶ μὴ προσψᾶσαι
 τίς τι τῶν αὐτοῦ. Τὴν Σινώπην
 οὖν καλῶς ἐγκαταστήσας καὶ
 ἡγεμόνα ἕνα τῶν δούλων αὐτοῦ
 χειροτονήσας αὐτὸς εἰς τὰ τῆς
 Ἀρμενίας ἐνδότερα ἐχώρει. Ὁ δὲ
 προρρηθεὶς Οὐζοβὸν Χασάν ἡγε-
 μὸν εἰς τὰ τῆς Περσίδος ἕρπια
 ἐπάνω δρέων σὺν τοῖς αὐτοῦ διέ-
 τριβε, μὴ ἔχων ἰσχὺν καταπροσ-
 ωπήσαι τῷ τυράννῳ. Περάσας δὲ
 τὴν Ἀρμενίαν καὶ διαβάς τὸν
 Φάσιδα ποταμὸν χώρας τὰς

თავის მამისათვის გადაეცა მისი
 ნათქვამი, როგორც მოციქულს
 უკლებლივ: «უთხარიო მამაშენს,
 რომ მე სინოპი მსურს და თუ
 ამას უბრძოლველად მივიღებ, მა-
 შინ სამაგიეროდ სიამოვნებით
 მივცემ მას ფილიპოპოლის მმარ-
 თველობას, და თუ მამაშენს ეს
 არ უნდა, დაუყოვნებლივ მოვა-
 ლო!» და ჯარი პონტოს ზღვით
 შეიყვანა სინოპში. სინოპის მთავ-
 რის, – ისმაელის, ძე მივიდა მა-
 მასთან და მოახსენა ყოველივე,
 რაც ტირანმა უთხრა. ხოლო
 როცა გაიგო ტირანმა სინოპში
 ლაშქრის მისვლის ამბავი, თავა-
 დაც გაემართა იქით ხმელეთით.
 ისმაელი შეშინდა და გამოვიდა
 სინოპიდან, წინ მიეგება და მო-
 ნურად თავყვანი სცა ტირანს,
 რომელმაც სიამოვნებით მიიღო
 იგი და ბრძანა მიეღოთ მისი
 საგანძურები, ცხენები, ჯორები,
 აქლემები და ყველაფერი, რაც
 ხაზინებში ინახებოდა, ხელუბ-
 რებლად დარჩენილიყო თურქთა-
 გან. კარგად განაგო რა სინოპის
 საქმეები და იქ მთავრად დანიშ-
 ნა რა ერთი თავისი მორჩილთა-
 განი, გაემართა შიდა არმენიისა-
 კენ. ზემოხსენებული უზუნ-ჰასანი,
 რომელიც მთავარი იყო სპარსე-
 თის მოსაზღვრე მთებისა და ოჯა-
 ხით ცხოვრობდა მთებში, უძლუ-
 რი აღმოჩნდა პირისპირ დადგო-
 მოდა ტირანს, [ამ უკანასკნელმა]

¹ O deest P.

μὲν εἶλε τὰς δὲ οὐ θυγηθεῖς πα-
 ρέδραμε, καὶ τὰ Καυκάσια
 ἔργη μετὰ πολλοῦ τοῦ κόπου καὶ
 τῆς ὑστερέσεως τῶν ἀναγκαίων
 ἀναβάς κατήλθεν εἰς Κόλχους.
 Καὶ δὴ εἰς Τραπεζοῦντα ἀνε-
 λθὼν πέμπει τῷ βασιλεῖ Τραπε-
 ζοῦντος ἐκ τῶν δύο ἐλέσθαι: τὸ
 κρεῖττον, ἢ παραδοῦναι: τὴν βασι-
 λείαν τῷ τυράνῳ ἄνευ ζημίας
 αὐτοῦ τινος ἐκ τῶν ὑπαρχόντων
 αὐτῷ φησαυρῶν, ἀργυροῦ χρυσοῦ
 χαλκοῦ καὶ παντοῖου εἴδους
 ἄλλου, δοῦλων τε καὶ δουλιῶν
 καὶ πάσης ἄλλης κινητῆς ὑποσ-
 τάσεως, ἢ σὺν τῇ βασιλείᾳ καὶ
 ταῦτα πάντα καὶ τὴν ζωὴν ἀφαι-
 ρεῖσθαι. Ἄκουσας δὲ ταῦτα ὁ
 βασιλεὺς ἐξελεῖσθαι προση-
 κύνησεν. Ἦν γὰρ ὁ στόλος πρὸ
 πολλῶν ἡμερῶν ἀπάρας ἀπὸ Σινώ-
 πης εἰς Τραπεζοῦντα, ἀλλὰ καὶ
 πολεμῶν κατ' ἐκάστην οὐδὲν
 ἦγευσεν, ἕως ὁ τυράννος διὰ ξηρα-
 κατήγησεν. Ἐξελεῖσθαι δὲ ὁ βασι-
 λεὺς σὺν γυναίκεϊ καὶ τέκνοις
 προσεκύνησεν: ἦν δὲ οὗτος Δαβὶδ
 ὁ Κομνηνός, υἱὸς Ἀλεξίου τοῦ
 Κομνηνοῦ καὶ ἀδελφὸς Ἰωάννου
 Κομνηνοῦ τοῦ προβεβασιλευκότος.
 Στείλας δὲ αὐτὸν ἐν Κωνσταντι-
 νουπόλει σὺν ταῖς τριήρεσι παγ-
 γενὶ μὲ ἑτέροισι¹ θείουσιν καὶ ἀνε-
 ψιούσιν αὐτοῦ, καὶ σὺν τοῖς ἄρχου-
 σιν καὶ εὐγενέσιν τοῦ παλατιοῦ,

განვლო. არმენია, გადალახა მდი-
 ნარე ფ ა ზ ი სი, ზოგიერთი ქვეყა-
 ნა [ბრძოლით] აიღო, ხოლო რომ-
 ლის [იარაღით დამორჩილება]
 შეუძლებელი იყო, გვერდი აუარა
 და დიდის შრომითა და სურსა-
 თის ნაკლებობით შევიდა კოლ-
 ხებში. მიაღწია თუ არა ტრაპი-
 ზონამდე, გაუგზავნა ტრაპიზო-
 ნის მეფეს თავისი ორი დიდე-
 ბული [და შეუთვალა] გადაეცა
 ტირანის ამ მთავრებისათვის სა-
 მეფო მშვიდობიანად: სალაროე-
 ბი, ოქროს, ვერცხლის, სპილენ-
 ძის და ყველა სხვა სახის [ქონე-
 ბა], მონები, მონა-ქალები და
 ყოველგვარი მოძრავი ქონება;
 წინააღმდეგ შემთხვევაში გამო-
 სალმებოდა როგორც მეფობას,
 ისე სიცოცხლესაც. რომ მოისმინა
 ყოველივე ეს ტრაპიზონის მეფემ,
 მთელი სახლობით გამოცხადდა
 ტირანთან და თაყვანი სცა. სი-
 ნოპიდან მოსული ლაშქარი დიდ-
 ხანს იდგა ტრაპიზონთან, მაგრამ
 ბრძოლები არც ერთი მხრიდან
 არ წარმოებდა, ვიდრე ხმელე-
 თით მოაღწევდა ტირანი. მეფემ
 თავისი ცოლითა და შვილებით
 თაყვანისცა მას; ეს იყო დავით
 კომნენოსი, ძე ალექსი კომნენო-
 სისა და ძმა იოანე კომნენოსისა,
 რომელიც ამის წინ მეფობდა
 ტრაპიზონში. ტირანმა ის და
 ყველა მისი ნათესავი სამნიჭიანი

¹ ἑτέροισιν] ἐκτροῦς Bullialdus. μὲ ἑτέροισιν θείουσιν ლათინურში გაგებულია
 μητέραθ θείουσιν და თარგმნილია „avunculis“-ით.

φέρων ὁ καθείς τὰ ὑπάρχοντα αὐτοῦ ἄνευ τῶν ἀκινήτων. Αὐτὸς δὲ τὰ τῆς Τραπεζοῦντος καλῶς διοικήσας ἐπανεστράφη, χρόνον τέλειον πληρώσας εἰς τὴν ἀποδημίαν αὐτῆν (340,22—343,18).

ზონის საქმეთა კარგად მოგვარების შემდეგ უკან გამობრუნდა: ამ უცხო ქვეყნებში მიმოსვლაში [საკმაოდ] დიდმა დრომ განვლო.

ლაშქრობა კახეთში

Ἐν δὲ τῷ ἑαυτοῦ πέμπτῳ πρὸς τὸν βοεβόδα Βλαχίας ἀποκρισιᾶριον μηνύων αὐτῷ τοῦ ἐλθεῖν ἐν τάχει εἰς προσκύνησιν, ἔχων καὶ φέρων σὺν αὐτῷ παιδῶν φ' καὶ τὸ κατ' ἔτος διδόμενον τέλος ἦγουν χρυσίνους χιλιάδας δέκα. Αὐτὸς δὲ ἀπεκρίνατο, τοὺς μὲν χρυσίνους ἐτοιμούς ἔχει τοῦ θύναται, τοὺς δὲ παιδῶν οὐ θύναται, τὸ δὲ αὐτὸς εἰς προσκύνησιν καὶ τοῦτο ἀδυνατώτερον. Ταῦτα ἀκούσας ὁ τύραννος ἠγγριώθη, καὶ στείλας ἕνα τῶν ἐπιφανῶν σὺν ἐνὶ τῶν γραμματέων αὐτοῦ εἶπεν «ἀγάγετέ μοι τοὺς φόρους, καὶ περὶ τῶν λοιπῶν ἐγὼ σκέψομαι». Οἱ δὲ ἐλθόντες καὶ τῷ Βλάχῳ τὰ μηνυθέντα δηλώσαντες, πρῶτον αὐτοὺς ἐν πάλοις καθίησιν θάνατον ἀνάθηρον ἀδυνατηρὸν καὶ ἀσχήμονα. Εἶτα περᾶσας σὺν θυνάμει κατέδραμεν ἐν τοῖς μέρεσι Δύστρας, καὶ πολλὸν λαὸν συρφετώδη λαβῶν, ἐν Βλαχίᾳ περᾶσας πάντας τὸν αὐτὸν θάνατον τῶν πάλων τὴν ζώην αὐτῶν ἐξεμέτρησε. Καὶ τῶν ἄκρων ἐκεί-

ნავებით გაგზავნა კონსტანტინეპოლში: ბიძებით, ბიძაშვილებით, მთავრებით, სასახლის დიდებულებით და თან წაიღო ყველა მათგანმა ყოველგვარი ქონება გარდა უძრავისა. ტრაპი-

6970 წელს (ქრისტეს აქეთ 1462) ვლახეთის მთავარს გაუგზავნა დესპანი და შეუთვალა სასწრაფოდ გამოცხადებულიყო იგი მასთან სათაყვანებლად და თან წამოეყვანა 500 ყრმა და ყოველწლიურად ეძლია გადასახადის სახით 10.000 ოქრო. ვლახეთის მთავარმა [პასუხად] შეუთვალა: ოქრო ახლაც მზადა მაქვს მისაცემად, ხოლო ყრმების მიცემა არ შემძლია და არც თაყვანის საცემლად მისვლაა შესაძლებელი ჩემ მიერ. მოისმინა რა მთავრის პასუხი დესპოტმა, იგი საშინლად გაბრაზდა და გაგზავნა ერთი წარჩინებულთაგანი, მწიგნობრის თანხლებით, და უთხრა: «მომართვით გადასახადი, ხოლო დანარჩენის შესახებ მე მოვიფიქრებო». ვლახეთში როცა მივიდნენ და დანაბარები გადასცეს, მან ისინი მარგილებზე ააგო და არაადამიანური, საშინელი, უმსგავსი მოწამებრივი სიკვდილით დახოცა. შემდეგ მთელი ძალე-ბით გადავიდა და თავს დაესხა დისტრას, ხელთ იგდო დიდძალი

νων εἰς ἀρχηγὸς τοῦ τυράννου
 φέλων δεῖξαι ἀριστείαν τινά, πε-
 ράσας εἰς Βλαχίαν σὺν χιλιάσι
 δέκα Τούρκων, καὶ συμβαλὼν
 αὐτοῖς ὁ Βλάχος οὓς μὲν ἐν πο-
 λέμῳ κτείνας ἔκτεινεν, οὓς δὲ
 ζῶντας ἤγρευσεν, πάντας τῇ τοῦ
 πάλου θανάτῳ, καὶ τὸν ἀρχηγὸν
 αὐτῶν Χαμζᾶν πικρῶς κατεδίκα-
 σεν. Τούτων ἰσθμῆς ὁ τύραννος
 καὶ πλήρης σκοτοδινίας καὶ ζά-
 λης τυχῶν, ἀπανταχοῦ συναθροί-
 σασ δύναμιν ὑπὲρ τὰς ῥν' χιλιά-
 δας, τῇ καιρῷ τοῦ ἔαρος ἐξελ-
 θὼν ἐκ τῆς Ἀδριανοῦ ἤλθεν εἰς
 Δάνουβιον κάκει τὰς σκηνάς πῆ-
 ξας ἔστη ἕως οὗ πᾶσα ἡ δύναμις
 εἰς ἓν σῶμα γένηται. Ὁ δὲ Βλά-
 χος καὶ αὐτὸς πάντας τοὺς ὑπ'
 αὐτὸν εἰς κλεισοῦρας καὶ θεν-
 δρώδεις τόπους μετοικίσσας, καὶ
 τοὺς κάμπους ἐρήμους ἀφείξας, καὶ
 ζῶων παντοίων τὰ γένη ἐν τοῖς
 ἐνδοτέροις ἐλάσας ὀρίοις τοῖς
 πρὸς Ἀλανοὺς καὶ Οὐννοὺς,
 αὐτὸς ἐν ὄχυροῖς ἄλσεσι καὶ θα-
 σέσι τόποις σὺν τῇ ὑπ' αὐτὸν
 στρατιᾷ διημέρευεν. Ὁ δὲ τύραν-
 νος περάσας τὸν Δάνουβιον καὶ
 ἐπέκεινα ζ' ἡμερῶν τόπον ἀνύσας
 οὐχ εὖρε τὸ σίνοσον, ἢ ἀνθρω-
 πον ἢ ζῷον τὸ τυχόν, ἢ τῶν
 τροφίμων τι ἢ ποτίμων. Φθιάσας
 οὖν ἐν τινι τόπῳ λιβαδιᾶν καὶ
 εὐθέτη ὄρᾳ πάλους πεψυτευμέ-
 νους μαυραρίθμους, βρῖθοντας
 ἀντὶ καρπῶν νεκρὰ σώματα, καὶ
 τὸν Χαμζᾶν ὃν προείπομεν, ἐν

მდაბიო ხალხი და როდესაც
 ვლახეთში მობრუნდა, ყველა მათ-
 განს მარგილზე აგებით მოუსპო
 სიცოცხლე. დესპოტის ერთმა
 მხედართმთავარმა, რომელიც იქ,
 სანაპირო ადგილას, იმყოფებო-
 და, მოისურვა თავის გამოჩენა
 და ამ მიზნით გადასცურა ვლა-
 ხეთისაკენ თურქთა 10.000 ჯა-
 რით, რომელთაგან ნაწილი ბრძო-
 ლაში ამოსწყვიტეს ვლახებმა,
 ხოლო რომლებიც ცოცხლად
 იგდეს ხელში, მარგილებზე ააგეს
 და მათი მხედართმთავარი ჰამ-
 ზაც [მათთან ერთად] სასტიკად
 დასაჯეს. გაიგო რა ეს ამბავი
 ტირანმა, სიბრაზით თვალთ და-
 უბნელდა და კანკალმა აიტანა;
 შეკრიბა ჯარი ყოველმხრიდან
 150.000-ზე მეტი, გაზაფხულზე
 გასცურა ადრიატიკის ზღვა, შე-
 ვიდა დანუბში და იქ იყო დაბა-
 ნაკებული ვიდრე მთელს სამხედ-
 რო ძალებს ერთ სხეულად თავს
 მოუყრიდა. ვლახებმა და ამათ
 იქით მყოფმა ყველა ხალხმა, რომ-
 ლებიც კლდე-კარებსა და ტყიან
 ადგილებში მოსახლეობენ, სოფ-
 ლები უკაცრიელი დატოვეს და
 ალანებისა და ჰუნებისაკენ
 მთებში გაირეკეს ყველა ჯიშის
 ცხოველი, და თვით თავიანთ
 ჯართან ერთად ცხოვრობდნენ
 მიუვალ ადგილებსა და უღრან
 ტყეებში. ხოლო ტირანი მივიდა
 რა დანუბს, დაჰყო იქ 7 დღე და
 ვერ იპოვა იქ ვერაფერი, ვერც
 კაცი, ვერც ცხოველი, ვერც საჭ-

μέσῳ μετὰ βυσσίνων καὶ κοκκίνων
 ὧν ἐφόρει πεπερονημένον ἐν τῷ
 πάλῳ. Ἴδὼν οὖν τὴν ἀπειλήν
 ταύτην ὁ τύραννος ἐξεπλάγη, καὶ
 τῇ νυκτὶ φοβηθεὶς, ἐν ἣ ἔπηξε
 τὰς σκηνάς, τάφρους ἀνήγειρε,
 καὶ ἐν μέσῳ τῶν τάφρων ἔκειτο.
 Ὁ δὲ Βλάχος ὀρθήσας καὶ τοὺς
 ὑπ' αὐτὸν καλῶς συνταξάμενος
 ἔτι σκοτίας οὔσης κατήλθε, καὶ
 τὸ δεξιὸν μέρος τοῦ φοσσάτου
 τυχὸν εἰσῆλθὲν ἐξαίφνης, καὶ
 ἕως πρῶν ὑπὲρ ἀριμίων κατέκοψε.
 Καὶ πολλοὶ τῶν Τούρκων ἀλλή-
 λους ἐφόνευσαν, ἕως οὗ ἡμέρα
 διηγύασα. Πρῶτας δὲ γενομένης
 οἱ μὲν Βλάχοι εἰς τὰς μάχους
 αὐτῶν εἰσελθόντες ἐκοιτάσθησαν,
 ὁ δὲ τύραννος ἐγερωθεὶς κατησχυ-
 μένος καὶ περάσας τὸν Δάνουβιον
 ἦγεν εἰς Ἀδριανούπολιν (343,19—
 345,20).

დაიძინეს. ხოლო სირცხვილნაჭამმა მივიდა ადრიანოპოლში.

მელი და ვერც სასმელი. რომ მიაღწია ერთ სარწყავ და კარგი მდებარეობის მქონე ადგილს, ნახა დარჭობილი აურაცხელი მარგილი [ცხედრებით] და მათ შორის მოწყული ქსოვილის სამოსლიანი ჰამზა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მარგილზე იყო აგებული. ამ საშინელების დანახვით ტირანი შეძრწუნდა, შეეშინდა ღამე იქ დაზანაკებისა და ამიტომ მოათხრევინა თხრილები და ამ ორმოების შუაში დაიძინა. ხოლო ვლახი, სანამ ჯერ კიდევ ბნელოდა, უთენია, მოულოდნელად თავს დაესხა მარჯვენა ფრთას და ვიდრე განთიადამდე აურაცხელი [მტერი] ამოჟლიტეს და თურქთა ჯარის დიდმა ნაწილმა, სიბნელის გამო, ერთმანეთი დახოცა. როცა უკვე ინათა, ვლახები თავიანთ სადგომებში შევიდნენ და

ტირანმა დატოვა დანუბი და

გიორგი სფრანძესი

გიორგი სფრანძესი¹ (Γεώργιος Σφρατζής) დაიბადა 1401 წელს კონსტანტინეპოლში. 1418 წელს მას ვხედავთ მანუილ II პალეოლოგოსის (1391- 1423) კარზე, სადაც ის მდივნის მოვალეობას ასრულებს. 1429 წელს მან დალუპვას გადაარჩინა მანუილის ვაჟი კონსტანტინე (მომავალი კეისარი კონსტანტინე XI). ამის შემდეგ სფრანძესი რიგ-რიგობით დიდ თანამდებობებზეა და წოდებებში (პროტოვესტიარიტი, პატრასის მმართველი, სელიმბრიისა და შემდეგ მისტრის გამგე). 1451 წელს კონსტანტინეპოლში ბრუნდება და დიდი ლოგოთეტის თანამდებობასაც ღებულობს.

თურქებმა რომ კონსტანტინეპოლი აიღეს (1453 წ.), სფრანძესი ტყვედ ჩავარდა, ერთი წლის შემდეგ ტყვეობიდან იხსნა თავი, პელოპონესში გაიქცა და უფლისწულ თომას² სამსახურში შევიდა (თომა პალეოლოგოსი ამ დროს პელოპონესის დესპოტი იყო). თურქებმა რომ პელოპონესიც აიღეს (1468 წ.), სფრანძესი კუნძულ კერკირაზე გაიქცა. 1478 წლის მომდევნო ხანებში იგი გარდაიცვალა.

გიორგი სფრანძესი ხშირად მოგზაურობდა თავისი მთავრობის დავალებით, როგორც ელჩი და დიპლომატი. 1424 წელს დესპანად იყო მივლინებული სულტან მურადთან (მურად II, თურქეთის სულტანი 1421 – 1451 წ.წ.); 1436 წელს თებეში იყო ტურახანთან, თურქეთის სარდალთან. 1449 წელს ის გაიგზავნა ქართლში და

¹ ბოლო ხანებამდე ის ცნობილი იყო სახელით *Φρατζής*; უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მისი ნამდვილი სახელია *Σφρατζής*. იხ. აქვე ბოლოში დართული ბიბლიოგრაფია (გვ. 48).

² მანუილ II-ს ჰყავდა ოთხი ვაჟი: იოანე (ეს არის კეისარი იოანე VIII პალეოლოგოსი, 1423 – 1448 წ. წ.), თეოდორე, თომა და კონსტანტინე (ეს არის კეისარი კონსტანტინე XI, 1449 – 1453 წ. წ.).

ტ რ ა პ ი ზ ო ნ შ ი (ალბათ, საერთო დიპლომატიური დავალებით და, კერძოდ, კეისარ კონსტანტინე XI-ისთვის საცოლეს შესარჩევად).

* *
*
*
*

გიორგი სფრანძესის სახელით ჩვენამდე მოღწეულია ორი საისტორიო ნაშრომი: ერთია უფრო პატარა მოცულობისა და მას ეწოდება სამეცნიერო ლიტერატურაში Chronicon Minus, ხოლო მეორე – Chronicon Maius.

Chronicon Minus აგვიწერს 1413 – 1478 წლების ამბებს, ესე იგი იმ ამბებს, რომელთა მონაწილე იყო თვით სფრანძესი, როგორც დიპლომატი და დიდი თანამდებობის პირი. შრომაში დღიურის სახით ¹ არის აღწერილი, ქრონოლოგიურის თანმიმდევრობით, როგორც ის, რაც მას პირადად და მის ოჯახს გადახდა, ისე ის, რაც მან მოგზაურობისა და დიპლომატიური მივლინების დროს იმოღვაწა. უწინარეს ყოვლისა აგვიწერს ის პალეოლოგოსების სამეფო კარის ამბებს: დაწვრილებით გვიამბობს პალეოლოგოსთა ოჯახურ ურთიერთობებზე. სფრანძესის ეს „ქრონიკა“ წარმოადგენს საუკეთესო წყაროს პალეოლოგოსთა ეპოქის ისტორიისათვის.

სფრანძესის სახელით მოღწეულია მეორე „ქრონიკაც“ – Chronicon Maius. ეს შრომა ოთხი წიგნისაგან შედგება და ეხება 1258 – 1478 წლების ისტორიას. პირველ წიგნში გადმოცემულია 1258 – 1425 წლების ამბები, ე. ი. პალეოლოგოსთა დინასტიის დამარსებლის მიხეილ VIII პალეოლოგოსის დროიდან იოანე VIII-მდე. მეორე წიგნი იოანე VIII-ის მეფობას (1423 – 1449) აგვიწერს. მესამე წიგნი განკუთვნილია ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის კონსტანტინე XI-ის დროინდელი ისტორიის აღსაწერად, ხოლო მეოთხეში გადმოცემულია ცნობები კონსტანტინეპოლის აღებიდან თურქების მიერ ვიდრე 1478 წლამდე.

მთელ ამ ისტორიას წინ უძღვის შესავალი, რომელშიც ავტორი ლაპარაკობს, თუ რა მიზანს უნდა ისახავდეს საისტორიო მწერლობა და როგორ უნდა დაიცვას მან ობიექტური პირუთვნელობა. აქვე მოგვყავს ეს „შესავალი“, რომელიც თითქმის მთლიანად გიორგი აკროპოლიტეს „ისტორიიდან“ არის ამოღებული.

¹ აკი ამ ნაშრომის რუმინელმა გამომცემელმა ვასილ გრეკუმ „მემუარები“ უწოდა სფრანძესის ხრონიკას: Georgios Sphrantzes. M e m o r i i 1401 – 1477.

Προοίμιον

Τὸ τῆς ἱστορίας χρῆσιμον καὶ πρὸ ἡμῶν οἱ πολλοὶ συγγραφέμενοι διαρίσαντο καὶ ἄπερ ἂν ἐπηλίθην εἶπεῖν, ταῦτ' ἂν¹ καὶ ἡμεῖς ἐρεῖν ἔχομεν². Τί γάρ καὶ³ εὑροίμεν καινότερον νόημα τοσσούτων ἱστορησάντων καὶ σύμπαν τῆς ἱστορίας ἀποφηναμένων ἐν τοῖς σφετέροις συγγράμμασιν; τάχα δὲ ὃ πλέον ἐκείνων ἐν τοῖς νῦν προκειμένοις ἡμῖν λέξεν ἄξιον, τοῦτό γε ἂν τῆς ἡμετέρας συγγραφῆς προβαλοῦμεθα⁴.

Τὸ δὲ ἐστὶν ὅτι καινοτέρων ἡμῖν προκειμένων πραγμάτων, ἃ μήπω τις γραφῆ παραδέδωκε⁵, καινότερον συμβαίνει εἶναι καὶ τὸ ὠφέλιμον ἐκείνων ἐν γνώσει τῶν ἀνθρώπων γεγενημένων, ἄπερ ὁ ῥέων χυδὴν λόγος οὐκ ἀληθῶς ἀποφαίνεται.

Οἱ μὲν οὖν τὰ καθ' ἡμᾶς ἱστορικῶς συγγραφέμενοι ἄλλῃ ἄλλως πεποίηται τὴν ἀρχήν· οἱ μὲν γὰρ αὐτῶν ἀπὸ τῆς τοῦ κόσμου γενέσεως ἤρξαντο, οἱ δὲ ἐξ ἀξιολόγου τινός⁶ τῆς ἀρχῆς, ἢ Περσῶν ἢ Ἑλλήνων ἢ Ῥωμαίων ἢ ἄλλου οὐτινοσοῦν τῶν⁷ ἔθνων, ἕκαστος πρὸς τὸν ἑαυτοῦ σκοπὸν τὸ οἰκεῖον καταρτιζόμενος σύγγραμμα. Καὶ ἡμῖν οὐχ ἥκιστα

შესავალი

ისტორიის სარგებლობა ჩვენზე უწინარესაც ბევრმა ისტორიკოს-მწერალმა განსაზღვრა და, რაც სათქმელი მათ გამორჩათ, იმას ჩვენ შევძლებთ და ვიტყვით. მაგრამ რას მოვიპოვებთ ჩვენ იმ აზრზე უფრო ახალს, ვიდრე ამდენმა ისტორიკოსმა გამოთქვა და თავიანთ თხზულებებში მთლიანად გამოავლინა? მაინც, რაც იმათ მიერ გამოვლენილში უფრო ღირსი იქნება თქმისა, ამას ჩვენს ისტორიას წინ წარვუშვებდვარებთ.

საქმე ის არის, რომ რადგან ჩვენ წინ გვიდევს გამოვლენა უფრო ახალი ამბებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არავის აღუწერია, ის უფრო ახალი იქნება და სასარგებლო ადამიანთა ცნობიერებაში ჩასარჩენად, რომელსაც უთავბოლოდ მომდინარე სიტყვა არა ჭეშმარიტად გამოავლენს.

ჩვენსავით ისტორიულად აღმწერნი *ამბებისა* ზოგი ასე, ზოგი სხვანაირად იწყებდა: ერთნი მათგანნი იწყებდნენ *თბრობას* დასაბამიდან ქვეყნისა, სხვები კიდევ რომელიმე ღირსშესანიშნავი ამბით იწყებდნენ, ან სპარსთა, ან ელინთა, ან რომაელთა, ან რომელიმე სხვა ტომის *ისტორიით*. თითოეული საკუთარი მიზნის მიხედვით წარმართავდა თავის

¹ ἂν+ἐκείνοις G(recu) ² ἔχομεν G ³ καὶ] ἂν G ⁴ προβαλλόμεθα G ⁵ παρέδωκε G ⁶ τινός > G ⁷ τῶν < G.

οὕτω τὰ τῆς συγγραφῆς τελευτήσεται.

Ἰὰ μὲν γὰρ ἀπαντα τὰ ἀπ' ἀρχῆς¹ γεγενημένα τῆς τοῦ κόσμου γενέσεως πολλοῖς τε καὶ πολλάκις ἐξιστορήθη οὐκ ἦν² λέγειν μοι καὶ ὡς³ πρὸς ἀλλήλους οἱ πλείους οὐ συνεφώνησαν τὰ τῶν βασιλέων συγγράφοντες, ἀλλοίως τε χωρῶν καὶ πόλεων στάσεις καὶ πολέμων συρρήξεις καὶ ἀνδραποδισμοὺς καὶ νίκας καὶ ἤττας, καὶ ὅσα τοιαῦτα σύμμικτα⁴ τοῖς καὶ ἡμᾶς⁵ κολυσχεδῶς γὰρ τὰ αὐτῶν⁶ τελούντων καὶ μηδὲ παρ' αὐτῶν ἴσως τῶν ἐνεργούντων γινωσκομένων σχολῆ γε ἂν τοῖς ἐξιστοροῦσι τὸ ἀληθές⁶ παντάπασι γενήσεται ἢ ἐπίτευξις.

Ἐκ τοῦ μόνου⁷ δὲ καὶ ὅσα τῆ κοινῆ φήμῃ γινωρίζεται, ταῦτα τὸν ἐξιστοροῦντα⁸ παραλήψεσθαι⁹ δεόν, εἰ μὴ ἀδικεῖν οὗτος εἴθελῃσαι τὴν ἀλήθειαν ὡς οἱ τοὺς ὀβλοῦς κερματίους ἐλλυμαινόμενοι ἢ καὶ παραχαράττειν βουλομένοι.

Οὔτε γοῦν πρὸς χάριν οὔτε πρὸς φθόνον, ἀλλ' οὐδὲ πρὸς

თხზულებას. ჩვენც არა ნაკლებად ამნაირადვე წარვმართავთ ისტორიას.

ყველაფერი ის, რაც ქვეყნის დასაბამიდან მოხდა ბევრის მიერ და ბევრჯელ არის მოთხრობილი, და არ არის საჭირო მე ვილაპარაკო **ამაზე**, ბევრნი ერთმანეთში არ არიან ერთსულოვანნი, მეფეთა საქმეებზე რომ მოგვითხრობენ, ქვეყნების ღელვებზე და ქალაქებში აჯანყებებზე და ომების ატეხაზე, ტყვეობებზე და გამარჯვებებზე და დამარცხებაზე რომ მოგვითხრობენ და სხვა ამგვარ ამბებზე. რამეთუ დახლართული იყო მათი მოსათხრობელი ამბები და შესაძლებელია, არც თვით მოღვაწეთათვის იყო ცნობილი, ამიტომ თვით მომთხრობელთათვის ჭეშმარიტების დადგენა ყოვლითურთ ძნელი იყო.

ის კი არა, რაც კი საზოგადო აზრის მიერ არის აღიარებული, საჭიროა ისტორიკოსმა ყური ათხოვოს, თუ არ სურს, რომ თვითონ დაამახინჯოს ჭეშმარიტება, როგორც ამას შვრებიან ისინი, რომლებიც ობოლებს (**ე. ო. მონეტებს**) აუფასურებენ ან ყალბ ფულებს სჭრიან.

არა მიკერძობა-მოწონებით, არც შურიით, არამედ არც სი-

¹ τὰ ἀπ' ἀρχῆς > G ² οὐκ ἦν] οὐχί G ³ ὡς < G ⁴ σύμμικτα] συμβαίνει G ⁵ τὰ αὐτῶν] τουτωνὶ G ⁶ τοῦ ἀληθοῦς G ⁷ μόνου] μάλλον G ⁸ τὸν ἐξιστ. < G ⁹ παραλήψασθαι G.

μισος ἢ καὶ πρὸς εὐνοίαν συγ-
γράφειν χρεῶν ἔστι τὸν συγγρά-
φοντα, ἀλλ' ἱστορίας μόνον γρά-
φειν καὶ τοῦ μὴ λήθης βυθῆρ πα-
ραδοθῆναι¹, ἦν ὁ χρόνος οἶδε γεν-
νᾶν, τὴν ἱστορίαν², μένειν δὲ ζῶ-
σάν τε καὶ λαλοῦσαν φωνήν καὶ
ἔμφυχον καὶ διαπρῦσιον κήρυκα
δι' ἀπεράντων αἰώνων³.

ძულვილით ან კეთილგანწყობით
უნდა სწეროს აღმწერელმა (*ე. ი.
ისტორიკოსმა*), არამედ მხოლოდ-
და-მხოლოდ ისტორიის გულის-
თვის, რათა დავიწყების სიღრმეს
არ მიეცეს ის, რაც დრომ წარ-
მოშვა; ხოლო ისტორია რჩება
როგორც ცოცხალი და მეტყველი
ხმა, როგორც სულისჩამბერი და
სულში-მწვდომი მაცნე უკიდო
საუკუნეთა მანძილზე.

* *
*

Ὅσως τοῖνον καὶ γὰρ Γεώρ-
γιος Φραντζῆς, ὁ χρηματίας καὶ
πρωτοβεστιάριος⁴ καὶ Γρηγόριος
τάχα μοναχός⁵, ταῦτα ἔγραψα
περὶ τῶν καὶ⁶ αὐτῶν⁷ καὶ τινῶν
μερικῶν ἀναγκαιῶν γεγονότων ἐν
τῷ τῆς ζωῆς μου χρόνῳ πρὶν
τῆς αἰχμαλωσίας ἡμῶν⁸ καὶ μετὰ
τὴν αἰχμαλωσίαν⁹.

Καὶ πρῶτον μὲν διηγησώμε-
θα περὶ τῶν ἀφορμῶν καὶ αἰτιῶν
τῆς τῶν Παλαιολόγων βασιλείας
ἐκ πρώτου βασιλευσάντος ἐκ τοῦ
γένους αὐτῶν ἄχρι τῆς ἀλώσεως
τῆς Κωνσταντινουπόλεως ὑπὸ
Τούρκων, καὶ πόσοι καὶ τίνες οἱ
υἱοὶ καὶ θυγατέρες καὶ δεσπότηαι
ἔγεννητο⁸ αὐτοῖς· καὶ τῶν γεγο-

ასევე მეც, გიორგი სვრანძეს-
მა, რომელიც სამსახურით პრო-
ტოვესტიარი შემდეგ გრიგოლ
მონაზონი შევიქენი, აღწერე ჩე-
მი დროის ამბები და ზოგიერთი
გაჭირების დროინდელი, ჩემი სი-
ცოცხლის დროინდელი, ჩვენი
ტყვეობის წინანდელი და ტყვეო-
ბის შემდეგ მომხდარი ამბები.

პირველ რიგში გიამბობთ პა-
ლეოლოგოსთა მეფობის დასაბამ-
ზე და დასაწყისზე, მათი გვა-
რის პირველი მეფიდან დაწყებუ-
ლი ვიდრე კონსტანტინეპოლის
აღებამდე თურქების მიერ, და
რამდენნი და ვინ იყვნენ ძენი და
ასულნი და თვითმპყრობელნი
მათნი; აგრეთვე ომების შესახებ

¹ παραδοθῆναι < G ² τὴν ἱστορίαν] παραδοθῆναι τ. ἰστ. G ³ πρω-
τοβεστιάριος G ⁴ μοναχός+ὁ καὶ μέγας λογοθέτης γεγονώς, πρὶν τοῦ τῶ
μοναχικῶν σχῆμα λαβεῖν G ⁵ αὐτῶν] ἑαυτῶν G ⁶ ἡμῶν < G ⁷ αἰχμ.+
καὶ ἄλλων τινῶν, ἃ εἶδον ἐγγράφως καὶ ἤκουσα G ⁸ ἐγεννήθη G.

* მთელი ეს „შესავალი“ აქამდე (აქანავ) გადმოუღია გიორგი სვრანძეს
გიორგი აკროპოლიტეს „ისტორიის“ შესავალიდან.

νόντων πολέμων ἐν τῇ Πελοπο-
νήσῳ ἀνὰ τοῖν δυοῖν ἀνταδελ-
φοῖν, τοῦ δεσποτίου κυρίου Δη-
μητρίου λέγω καὶ δεσποτίου κυ-
ρίου Θωμά, καὶ ἑτέρων ἀναγ-
καίων καὶ μνήμης ἀξίων βού-
λομαι διηγῆσασθαι.* (ed. Bonnae,
p. 3—5).

პელოპონესში ორ ღვიძლ ძმას
შორის, ვამბობ მებატონე უფალ
დემეტრეს და მებატონე უფალ
თომას შორის, და სხვა აუცილე-
ბელ და მოხსენიების-ღირს მოვ-
ლენებზე მსურს მოგითხრათ.

Chronicon Maius-ში 1413 – 1478 წლების ისტორია თითქმის მთლიანად Chronicon Minus-იდან არის გადმოღებული, ხოლო ენობრივად შეფერადებულია Maius-ისთვის დამახასიათებელი ატი-ცისტური ელემენტებით.

Chronicon Minus -ის ცნობები ავტორს შეუვსია სხვა წყაროები-დან მოტანილი მასალით, ეს წყაროებია: ნიკიფორე გრიგორასი, თეოფანეს გამგრძელებელი, ნიკიტა ხონიატე, ლაონიკე ხალკოკონდი-ლე (XV საუკუნისათვის) და სხვ.; ამათ გარდა ანტიკური პერიოდის ისტორიკოსებიც (ჰეროდოტე, სტრაბონი) არიან მოშველიებული.

უკანასკნელი წლების ისტორიოგრაფიულმა მუშაობამ ეჭვმიუ-ტანლად დაამტკიცა, რომ Chronicon Maius-ის ავტორი არ არის გიორგი სვრანძესი. მის ავტორად მიჩნეულია ცნობილი გამყალბე-ბელი მ ა კ ა რ ი მ ე ლ ი ს ე ნ ო ს ი, მონემზასიის მიტროპოლიტი, რომელსაც 1573 – 1575 წლებში სვრანძესის შრომა გადაუმუშავებია და ახალი ცნობები ჩაურთავს. მიუხედავად იმისა, რომ „დიდი ქრო-ნიკა“ სვრანძესს არ ეკუთვნის, იქ მაინც არის ისეთი მასალა, რომელიც ახალ, უცნობ დოკუმენტებს ემყარება, და ამიტომ უკუსაგ-დეები არაა.

* * *

გიორგი სვრანძესი ასახავს თავის „ქრონიკაში“ ო რ თ ო დ ო ქ-ს ა ლ უ რ მიმართულებას, იმ დროს როდესაც დეჟა რომთან უნიის მომხრეა.

მართალია, იყვნენ ისეთები, რომელნიც სვრანძესის დასავლე-თის მომხრეობას ამტკიცებდნენ და უკანასკნელ ხანებში W. Miller-მა ¹ სცადა ყურადღება მიექცია იმ ფაქტებისათვის, რომლებიც

* ეს აბზაცი G-ში უფრო ვრცელი რედაქციითაა.

¹ W. Miller, The Historians Doukas and Phrantzes: Journal of Hell. Studies, v. XLVI (1926).

თითქოს მიუთითებენ სფრანძესის კავშირზე დასავლეთთან. მაგრამ ვ. მილერის ცდამ ნაყოფი არ გამოიღო მით უმეტეს მის შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ სფრანძესს არ ეკუთვნის „დიდი ქრონიკა“, სადაც პოულობდნენ ხოლმე სფრანძესის დასავლეთის მომხრეობის მომასწავებელ ფაქტებს.

უნიას გიორგი სფრანძესი უყურებდა როგორც დასავლეთიდან დახმარების მიღების საშუალებას და არ სდებდა ამაში კონფესიურ შინაარსს. თუ უნია არ იხსნა ბიზანტია, ეს იმიტომ, რომ, სფრანძესის აზრით, ფლორენციის კრება (1439 წ.) პოლიტიკური შეცდომა იყო, ვინაიდან სწორედ ეს გახდა მიზეზი თურქების აგრესიისა: ფლორენციის კრებამ შეაგულიანა თურქები კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ დაძრულიყვნენ, ვინაიდანე ბიზანტიისა და დასავლეთის კავშირში ისინი დიდ საფრთხეს ხედავდნენ თავისი საქმეებისათვის.

* *
*

იმ ცნობებს შორის, რომლებიც მოიპოვება გიორგი სფრანძესის „მემუარებში“, ჩვენს ყურადღებას იპყრობს, პირველ ყოვლისა, ის მასალა, რომელიც ეხება სფრანძესის მოგზაურობას იბერიასა და ტრაპიზონში. 1449 წლის ოქტომბერში – წერს ავტორი – «ჩემი ბატონის (ე. ი. კეისარ კონსტანტინე XI-ის) მიერ გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან (ე. ი. გიორგი VIII-სთან), რომელსაც ჩვენში უწოდებენ „რექს“ (rex) და ტრაპეზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან (ე. ი. იოანე IV კომნენოსთან, ტრაპიზონის მეფესთან) ბრწყინვალე საჩუქრებით და დიდი ძღვენით: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერ-მონაზონები და მონაზონები, მაგალობელ-მომღერალნი და ექიმები...» (იხ. ქვემოთ, გვ. 49).

სფრანძესი თვითონ წერს, რომ ამ ელჩობის მიზანი იყო დანათესავება. კონსტანტინე XI-ს უნდოდა შეერთო ქართლის მეფის გიორგი VIII-ის ასული. «წავედი მე იმ მხარეში დამძახლების მიზნით – გვიამბობს ავტორი, თუ იმ ორი ოჯახიდან (ე. ი. იბერიის ან ტრაპიზონის ოჯახიდან) რომელს უფრო მოვიწონებდი. [მე ჩამოვედი საცოლეების გასასინჯად და კეისარმა მე მომანდო იმის არჩევა, თუ ორი დიდებულის ოჯახიდან რომელს ჩავთვლიდი უფრო სასურველად საქორწინო კავშირისათვის]» (იხ. ქვემოთ გვ. 53).

რომ უფრო საღად შევხედოთ სფრანძესის ამ ცნობებს და მისი მოგზაურობის რეალური დანიშნულება გამოვიცნოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

1. სვრანძესი იგზავნება კონსტანტინეპოლიდან იბერიასა და ტრაპიზონის სამეფოში იმ წლებში (1449 – 1451), როდესაც ოსმალოს თურქი ზედ კონსტანტინეპოლის ზღურბლთან არის მომდგარი. ჯერ კიდევ 1446 წელს სულტანმა მურადმა (მურად II) ალყა შემოარტყა პატრასს, აქედან იგი წავიდა თებეში და 60.000 ტყვე-ქრისტიანი წაასხა. სეფეწულები თეოდორე და თომა, სულტანს ეახლნენ და აღუთქვეს ხარაჯა, რაც პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას უდრიდა. ბიზანტიის მდგომარეობა უიმედო იყო (იხ. დ. Φ. Успенский и й, История Виз. Имиерии, т. III, стр. 776).

2. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია, რომ თავისი ძმის, იოანე VIII-ის გარდაცვალების შემდეგ (1448 წ.) ტახტზე ასული კონსტანტინე XI საქართველოში აგზავნის ელჩად გიორგი სვრანძესს მხოლოდ იმიტომ, რომ საცოლვე შეურჩიოს.

3. ოსმალთა საშიშროების თავიდან აცდენის მიზნით ხომ ბიზანტია დასავლეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა. უნიატურმა მოლაპარაკებამ დასავლეთთან ნაყოფი ვერ გამოიღო და თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარების იმედი დასავლელი სახელმწიფოების მხრით საბოლოოდ უნდა გამქრალიყო. და ამ დროს ფართო შემადგენლობის ელჩობის გაგზავნა იბერიაში და ტრაპიზონში (*ე. ი. ქართული სამყაროს სახელმწიფოებში*) უთუოდ პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა. და ჩვენ უსაფუძვლოდ არ მიგვაჩნია თ. უსპენსკის მიერ გაკვრიტ ნათქვამი: „Франзи был отправлен в Грузию и Трапезунт, чтобы искать для своего монарха подходящую невесту; с ним поехала большая свита, духовенство и даже музыканты, чтобы произвести впечатление на восточные дворы. К о с т а н т и н у нужны были и деньги, и политические связи“ (Φ. Успенский, 778).

* *
*

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი:

Georgius Phrantzes, Joannes Cananus, Joannes Anagnostes,
rec. J. Bekker 1838.

Migne: PG 156 (1866) 637 – 1022.

Georgios Sphrantzes, *Ἰστορικὴ εὐαγγελία καὶ ἐπιστολὴ εἰς τὸν ἰσχυρὸν τῆς ἑλλάδος ἀβασίαν*, cum Pseudo-Phrantzes in appendice sive Macarii Melissenii Chronicon 1258 – 1481. Ex recensione Basilii Grecu, Eucuresti 1966. Georgios Sphrantzes. Memorii.

სფრანძესის ტექსტის ახალი გამოცემა

Byzantino Slavica 1967, 2, გვ. 447 ბეჭდავს E. Stanesescu-ს.
ინფორმაციას Vasil Grecu-ს მიერ 1966 წელს გამოცემულ სფრან-
ძესის ტექსტზე სერიაში Scriptorum Byzantini V.

რეზენზენტი წერს:

„ეს კრიტიკული გამოცემა არის მესამე, რომელსაც გვამღევეს V. Grecu იმავე სერიაში დუკას და კრიტობულე იმბროსელის შემდეგ. ავტორი (რევენზიისა) თვლის, სხვა მკვლევრებთან ერთად, რომ ქრონისტის სახელია Sphrantzes და არა Phranthes და აგრეთვე, რომ ამ ნაწარმოებს ნაკლებად აქვს ხასიათი „ქრონიკისა“ და უფრო აქვს ხასიათი „მემუარებისა“, წარმოშობილი თანამედროვე დაკვირვებიდან, რომელიც მაშინვე იქმნა გადატანილი ქალაქზე. გამომცემელი იზიარებს სხვა მკვლევართა შეხედულებებს და თვლის, რომ მხოლოდ ეს „მემუარები“ (ე. ი. Chronicon Minus) არის ავთენტური და ნამდვილად ეკუთვნის სფრანძესს, იმ დროს როდესაც Chronicon Maius არის ყ ა ლ ბ ი და შექმნილია მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში და მისი ავტორია Makarios Melissenos, მონემბასიის მიტროპოლიტი.

„ეს კრიტიკული გამოცემა განხორციელებულია გიორგი სფრანძესის „მემუარების“ ტექსტისათვის, პირველად არის გამოყენებული ყველა ის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ამ ტექსტს, რიცხვით ხუთი (Ottonianus Graecus, Vallicelianus CLXXII, Taurinensis 246) და Barberinianus Graecus 175 et 166).

„იმავე გამოცემაში გამოქვეყნებულია აგრეთვე ტექსტი Chronicon Maius-ისა, მაგრამ თავიდან არის აცილებული შესწორება შეუსაბამოებათა და წინააღმდეგობათა, წინა გამომცემელთა მანერა. ამ ტექსტისათვის გამოყენებულია ორი ხელნაწერი (Ambrosianus P. 123 sup. და Taurinensis B – II – XV).

„ამ კრიტიკულ გამოცემას თან ახლავს თარგმანი რუმინულ ენაზე, ინდექსი ბერძნული ტექსტისთვის და მეორე ინდექსი რუმინული ტექსტისათვის; ახლავს აგრეთვე რამდენიმე მთავარი ხელნაწერის ფოტო-რეპროდუქცია“.

თუ რა მუშაობა ჩაუტარებია მ ა კ ა რ ი მ ე ლ ი ს ე ნ ო ს ს „დიდ ქრონიკაში“ „მცირე ქრონიკიდან“ ცნობების შეტანის დროს, ნათლად გვიჩვენებს ამ ორი ტექსტის შედარება.

Chronicon Minus

Τῇ γάρ ιδ^η τοῦ Ὀκτωβρίου μηνός τοῦ αὐτοῦ ἔτους ἐστάλην ἐγὼ εἰς τε τὸν τῆς Ἰβηρίας μέπεν, ἦγον βασιλέα Γεώργιον, καὶ τὸν βασιλέα Τραπεζούντος κύρ Ἰωάννην τὸν Κομνηνὸν μετὰ χαρίτων ἀξιολόγων καὶ παρασκευῆς ὅτι πολλῆς καὶ καλῆς, μετὰ ἀρχοντοπούλων καὶ στρατιωτῶν καὶ ἱερομονάχων καὶ ψαλτῶν καὶ ἱατρῶν καὶ τεχνιτῶν κρατούντων καὶ ὄργανον· οἳ καὶ ἤκουον ὄνομα μὲν αὐτό, τί δὲ ἐστίν, οὐκ εἶδον καὶ ἐπιθυμοῦσαν ἰδεῖν καὶ ἀκούσαι οἱ Ἰβηρες. Καὶ διὰ τοῦτο καὶ συνέτρεχον ἐκ τῶν περάτων αὐτῆς δὴ τῆς Ἰβηρίας, ἵνα ἀκούσωσιν αὐτοῦ (ed. V. Grecu 74, 15-23).

Ἀπῆλθον δὲ διὰ συμπεθέριον, ὅπου ἄρα με φανῆ ἐκ τῶν δύο γενῶν. Ἐδέησεν οὖν, ἵνα διὰ τὸ ἀναίτιόν μου πλέον δηλώσω τῇ αὐθέντῃ μου τῇ βασιλείῃ τὰ καλὰ ἀμφοτέρων τῶν μερῶν καὶ τὰ ἐναντία· καὶ πάλιν, ὡσάν ἐρίσει. Καὶ ἐστειλα γραφάς μετὰ ἀνθρώπων, καὶ πάλιν ἄλλους ὁ αὐθέν-

Chronicon Maius

Τῇ δὲ τετάρτῃ τοῦ Ὀκτωβρίου μηνός τοῦ αὐτοῦ ἔτους ἐστάλην ἐγὼ παρὰ τοῦ αὐθέντου μου καὶ βασιλέως πρὸς τὸν Ἰβηρίας κύρ Γεώργιον μέπεν, ὃ παρ' ἡμῖν ῥήξ λέγεται, καὶ πρὸς τὸν βασιλέα Τραπεζούντος κύρ Ἰωάννην τὸν Κομνηνὸν μετὰ θώρων ἀγλαῶν καὶ πολλῆς παρασκευῆς, μετὰ ἀρχόντων καὶ στρατιωτῶν καὶ ἱερομονάχων καὶ μοναχῶν καὶ ψαλτῶν μουσικῶν καὶ ἱατρῶν καὶ τινῶν κρουόντων ὄργανα καὶ ἕτερα εἶδη μουσικά. Καὶ ἐλθόντες εἰς Ἰβηρίαν ὑπὸ πάντων ἐδέχθημεν μετὰ χαρᾶς καὶ κρουμένων τῶν μουσικῶν εἰδῶν καὶ ὄργανων, πάντες οἱ ἐκεῖθεν ἔτρεχον ἰδεῖν καὶ ἐθαύμαζον λέγοντες, ὅτι ἠκούομεν περὶ τούτων, ἀλλ' αἰσθητῶς ὡς τὰ νῦν οὐκ εἶδομεν οὔτε ἠκούσαμεν. Οὐχὶ μόνον ἀπὸ τῆς Ἰβηρίας πόλεως, ἀλλὰ καὶ ἐκ τῶν πέριξ αὐτῆς καὶ περάτων ἔτρεχον ἰδεῖν καὶ ἀκούσαι, ὅτι τὸ ὄνομα αὐτῶν ἠκουον, τί δὲ ἐστίν, οὐκ ἐγίνωσκον (ed. Grecu 350, 22—33).

Ἀπῆλθον οὖν ἐγὼ ἐν ἐκείνῃ τῇ τόπῃ ἐνεκεν συμπεθέριου, ὅπου δ' ἄρα μοι φανήσεται ἐκ τῶν δύο γενῶν. Ἐἶδει οὖν, ἵνα καὶ μετὰ γραμμιατος, διὰ τὸ ἀναίτιόν μου πλέον, δηλώσω τῇ βασιλείῃ τὰ καλὰ ἀμφοτέρων τῶν μερῶν.

Chronicon Minus

της μου ἀπολογησάμενος· καὶ ἐρχόμενοι περὶ τὴν Ἀμισὸν ἐναυάγησαν. Καὶ ἕως οὗ νὰ μάθῃ τοῦτο ὁ αὐθέντης μου ὁ βασιλεὺς νὰ στείλῃ ἄλλους, διεβίβασα εἰς τὰ μέρη ἐκεῖνα χρόνους β' παρὰ ἡμέρας λ'.

Εὐρισκομένου μου οὖν ἐκεῖσε κγ^η Μαρτίου μηνὸς τοῦ αὐτοῦ ἔτους τέθνηκεν ἢ ἐν μακαρίᾳ τῇ λήξει γενομένη αἰοδιμος καὶ ἀγία δέσποινα, ἢ διὰ τοῦ θεοῦ καὶ ἀγγελικοῦ σχήματος μετονομασθεῖσα Ὑπομονὴ μοναχὴ· καὶ ἐτάφη εἰς τὴν μονὴν τοῦ Παντοκράτορος πλησίον τοῦ μακαρίτου καὶ αἰοδιμου βασιλέως καὶ ἀνδρὸς αὐτῆς (ed. V. Green 74—76,5).

Καὶ τὸν Φεβρουάριον τοῦ νθ^{ου} ἔτους ἀπέθανεν ὁ ἀμηρὰς ὁ Μουράτης. Καὶ τοῦτο οὐκ ἀκούσαντός μου εἰς τὴν Ἰβηρίαν, ὡς ἦλθον εἰς τὴν Τραπεζοῦντα λέγει μοι ὁ βασιλεὺς· „Ἄρχον ἀποκρισιάρη, νὰ σε εἰπωμεν καλὰ μαντάτα, μόνον νὰ μᾶς θώσῃς συγχαρίκια“. Καὶ ἀναστὰς προσεκύνησα εἰπὼν· „Νὰ ποιήσῃ ὁ θεὸς πολυχρόνιον τὴν βασιλείαν σου, ὅπου πᾶσι τρόποις εὐεργετῆς ἡμῖν καὶ θέλεις εὐεργετήσῃς καὶ νὸν τὰ καλὰ μαντάτα. Ἄμῃ ἡμεῖς τί ἄξιον ἔχομεν νὰ ἀποδώσωμεν τῇ βασιλείᾳ σου“. Καὶ λέγει μοι τὸν θάνατον τοῦ ἀμηρὰ καὶ ὅτι ἐγένετο καὶ ὁ υἱὸς

Chronicon Maius

Καὶ ἐρχόμενοι περὶ τὴν Ἀμισὸν ἐναυάγησαν. Ἐκεῖσε προσδοκῶν ἐγὼ τὴν ἀπολογία, διέτριψα ἐν ἐκείνοις τοῖς μέρεσιν ἔτη δύο καὶ ἡμέρας τριάκοντα.

Τῷδε καιρῷ τῇ κγ^η τοῦ Μαρτίου μηνὸς τοῦ αὐτοῦ ἔτους τέθνηκεν ἢ ἐν μακαρίᾳ τῇ λήξει ἢ αἰοδιμος δέσποινα Εἰρήνη, ἢ διὰ τοῦ θεοῦ καὶ ἀγγελικοῦ σχήματος μετονομασθεῖσα Ὑπομονὴ μοναχὴ. Καὶ ἐτάφη εἰς τὴν μονὴν τοῦ Παντοκράτορος πλησίον τοῦ μακαρίτου καὶ αἰοδιμου βασιλέως τοῦ συζύγου αὐτῆς (ed. V. Green 354, 4—13).

Καὶ τῷ Φεβρουαρίῳ μηνὶ τοῦ κγ^{ου} ἔτους ἀπέθανεν ὁ ἀμηρὰς ὁ Ἀμουράτης, ὁ καγὼ ἔμαθον ἔτι ὢν ἐν τῇ Ἰβηρίᾳ. Ὡς οὖν ἦλθον εἰς Τραπεζοῦντα, εἶρηκέ μοι ὁ βασιλεὺς τοιαῦδε· „Κύριε πρέσβυ, εἰπὲν σοι θέλω χρηστας ἀγγελίας, εἰ μὴ δεῖ ἀποδοῦνταί σε ἡμῖν τι δῶρον χάριτος“. Καγὼ ἀναστὰς προσεκύνησα αὐτὸν εἰπὼν· „Ὁ θεὸς μακροήμερεῦση τὴν ἀγίαν σου βασιλείαν, ὅς πολυτρόπως εὐεργετῆς ἡμᾶς· οὕτως καὶ διὰ τὰς νὸν ἀγαθὰς ἀγγελίας αὐθις εὐεργετήσῃ ἡμᾶς, ἀλλ' ἡμῖν οὐκ ἔστιν ἀντάξιόν τι ἀποδοῦναι τῇ βασιλείᾳ σου τῇ ἀγίᾳ“. Καὶ εὐθύς εἶπέ μοι περὶ

αὐτοῦ ἀσθέντης καὶ δέδιωκε πολ-
λὰ τὸν βασιλέα καὶ ἔσπερξεν, ἵνα
ἔχη καὶ τὴν ἀγάπην, ἣν μετὰ
τοῦ πατρὸς τοῦ εἶχε τὸ ὁσπίτιον
ἐκεῖνο (ed. V. Green 76, 6—15).

τοῦ θανάτου τοῦ ἀμηρά καὶ πῶς
ὁ υἱὸς αὐτοῦ ἐγένετο ἀσθέντης
καὶ πλείστας χάριτας ἐποίησε τῷ
ἀνακτι· καὶ ἡ εἰρήνη ἐπεκυρώθη,
ἀναμεταξὺ αὐτῶν τηρεῖν αὐτήν,
ὡς καὶ πρῶην μετὰ τοῦ πατρὸς
αὐτοῦ εἶχεν ὁ ἐκεῖνων οἶκος (ed.
V. Green 854, 14—25).

* *
*

პირველ რიგში, ადამიანს თვალში ეცემა ენობრივი განსხვავება „ქრონიკის“ ამ ორ ვარიანტს შორის: გიორგი სფრანძესის კუთვნილი „მცირე ქრონიკა“ ხალხურ სალაპარაკო ენას ხმარობს, ხოლო მკარნი მელისენოსის მიერ კომპილირებული „დიდი ქრონიკა“ ატიცისტური ელემენტებით ხასიათდება. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი.

1) ხალხური ენიდან არის მოტანილი ჩვეულებრივი კავშირი *να* კონიუნქტივით ნაცვლად სალიტერატურო *ἵνα*-სი:

ა) *νά μάθη τούτο ὁ ἀσθέντης μου ὁ βασιλεύς νά στείλη ἄλλους* რათა ეს შეეცყო ჩემს ბატონს მეფეს და რათა გაეგზავნა სხვები (ნაცვლად *ἵνα* სτείλη);

ბ) *Ἄρχον ἀποκρισιάρη, νά σε εἶπω μεν καλὰ μάντατα* („უფალო ელჩო, უნდა გითხრათ კარგი ამბები“ (M a i u s: εἰπεῖν σοι θέλω);

გ) *νά ἀποδώσωμεν* (M a i u s: δεῖ ἀποδοῦναι) „უნდა მოგცე შენ“.

2) ლექსიკაში:

ა) *ἀνήρ „მეუღლის“, ქმრის“ მნიშვნელობით; ἄνδρὸς αὐτῆς „მისი ქმრისა“* (Maius: τοῦ συζύγου αὐτῆς);

ბ) *χάρις „საჩუქარი“: μετὰ χαρίτων ἀξιολόγων* (Maius: μετὰ δ ὠ ρ ω ν ἀγλάων) „ბრწყინვალე საჩუქრებით“.

გ) *ἀρχοντόπουλο „ბატონიშვილი“* (Maius: μετὰ ἀρχόντων).

დ) *Ἄρχον ἀποκρισιάρη, νά σε εἶπωμεν καλὰ μαντάτα. Maius: κύριε πρέσβυ, εἰπεῖν συ θέλω χρηστάς ἀγγελίας „უფალო ელჩო, სასიხარულო ამბები მინდა გითხრა“.* ამ წინადადებაში დაპირისპირებულია ხალხური და სალიტერატურო ენის სიტყვები:

<i>ἄρχον</i> (წოდ. ბრ.)	<i>κύριε</i> (უფალო)
<i>ἀποκρισιάρη</i>	<i>πρέσβυ</i> (ელჩო)
<i>μαντάτα</i>	<i>ἀγγελίας</i> (ამბები)

კერძოდ, *μαντάτα* (μαντάτο ანუ მანდატონ) ლათინურიდან შემოსული სიტყვაა (*mandatum*) და ნიშნავს „გზავნილებას“, „დეკემას“

(გვხვდება, მაგალითად, VI საუკუნის ქრონოგრაფოსთან, იოანე მალა-ლასთან: 108,10 οἱ ἀπέπλευσαν κατὰ τὰ ἴδια μαυδᾶτα „იმათ გასცურეს თავიანთი დავალებების მიხედვით“). საგულისხმოა, რომ Sophocles-ი ამ სიტყვას თვლის ἀγγελία-ს სინონიმად (როგორც ჩვენს ტექსტშია).

γ) ἀ μ ἦ ἡμεῖς τί ἄξιον ἔχομεν νᾶ ἀποδώσωμεν (Maius: ἀ λ λ ἡμῖν οὐκ ἔστιν ἀντάξιόν τι ἀποδοῦναι „მ ა გ რ ა მ ჩვენ არაფერი გვაქვს რამ ღირსი, რომ ...მოგიძღვნათ“).

ვ) εἶχε τό ὀ σ π ῖ τ ι ο ν ἐκεῖνο (Maius: εἶχεν ὀ ἐκεῖνων ο ἰ κ ο ς).

ვ) ცალკე უნდა შევჩერდეთ გამოთქმაზე:

χρόνους β¹ παρὰ ἡμέρας λ¹ („ორი წელი 30-დღე ნაკლებ). ამას უდრის Maius-ში ἔτη δύο καὶ ἡμέρας τριάκοντα (ორი წელი და 30 დღე). აქ ჩვენ გვაქვს შინაარსობლივი განსხვავებაც: ერთი მხრით „ორ წელს აკლია 30 დღე“, მეორე მხრით (Maius) „ორი წელი და 30 დღე“.

პირველ ყოვლისა παρὰ-ს შესახებ: ახალი ბერძნულით παρὰ ἡμέρας ნიშნავს „ორი წელი 30-დღე ნაკლებ“. ძველს ბერძნულში კი ასეთი გაგება παρὰ-ს არა აქვს.

Παρὰ „ნაკლებ“-ის მნიშვნელობით პირველად გვხვდება ახალ აღთქმაში: 2 კორ. 11,24: ὑπὸ Ἰουδαίων πεντάκις τεσσεράκοντα παρὰ μίαν ἔλαβον – „ურიათაგან ხუთგზის ორმეოცსა ერთ მოკლებულ ცემად მოვიღე“ (от Иудеев пять раз дано мне было по сорока удиров без одного“).

ლიტერატურა

Г. Д е с т у н и с. Опыт биографии Георгия Франдзия: ЖМНП 287 (1893), июнь 427 – 497.

Г. Д е с т у н и с, Заметки по исправлению текстов в обеих летописях Фраидзия: ЖМНП 291 (1894), январь 1 – 11.

А. А. С т е п а н о в, Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя (Перевод и предисловие): ВВр. 7 (1953), 385 – 430.

N. J o r g a, Georges Phrantzes: Byzantion 2 (1925), 297 – 298.

Fr. D ö l g e r, Ein literarischer und diplomatischer Fälscher des 16. Jahrhunderts; Metropolit Makarios von Monembasia: Otto Glauning zum 60. Geburtstag, Leipzig 1936, 25 – 35 (in: Fr. D ö l g e r, Byzantinische Diplomatie. 1956, S. 371 – 383).

J. B. P a p a d o p u l o s, Über (Maius) und «Minus» des Georgios Phrantzes und über die Randnoten des angeblichen Pachomios: BZ 38 (1938) 323 – 331.

A. M. Rothbauer. Einige Bemerkungen zum «Chronicon Maius»: BZ 48 (1955) 293 – 296.

V. Laurent, *Σφραγτιζής* et non *Φραγτιζής*: BZ 44 (1951), 373 – 378.

V. Laurent, Sphrantzes et non Phruntzès. A nouveau! Revue des études Byz. 9 (1951), 170 – 71.

გიორგი სვრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში

III, 1. Τῇ δὲ τετάρτῃ τοῦ Ὀκτωβρίου μηνὸς τοῦ αὐτοῦ ἔτους ἐστάλην ἐγὼ παρὰ τοῦ αὐθέντου μου καὶ βασιλέως πρὸς τὸν τῆς Ἰβηρίας κύριον Γεώργιον Μέπεν, ὃς παρ' ἡμῶν ῥῆξ λέγεται, καὶ πρὸς τὸν βασιλέα Τραπεζοῦντος κύριον Ἰωάννην τὸν Κομνηνόν, μετὰ δώρων ἀγλαῶν καὶ πολλῆς παρασκευῆς, μετὰ ἀρχόντων καὶ στρατιωτῶν καὶ ἱερομονάχων καὶ μοναχῶν καὶ ψαλτῶν μουσικῶν καὶ ἰατρῶν καὶ τινῶν κρουόντων ὄργανα καὶ ἔτερα εἶδη μουσικά. Καὶ ἐλθόντες εἰς Ἰβηρίαν ὑπὸ πάντων ἐδέχθημεν μετὰ χαρᾶς, καὶ κρουομένων τῶν μουσικῶν εἰδῶν καὶ ὄργάνων πάντες οἱ ἐκεῖθεν ἔτρεχον ἰδεῖν καὶ ἐμαρμαζῶν, λέγοντες ὅτι ἠκούσαμεν περὶ τούτων, ἀλλ' αἰσθητῶς ὡς τὰ νῦν οὐκ εἶδομεν οὔτε ἠκούσαμεν. Οὐχὶ μόνον ἀπὸ τῆς Ἰβηρίας πόλεως,

III, 1. იმავე წლის ოქტომბრის თვის ოთხ რიცხვში ჩემი ბატონის მეფის მიერ ¹ გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან ², რომელსაც ჩვენში უწოდებენ «რექს», და ტრაპეზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან ³, ბრწყინვალე საჩუქრებით და დიდი ძღვენით (?) ⁴: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერმონაზონები და მონაზონები, მგალობელ-მომღერალნი და ექიმები, და ზოგიერთები, რომლებიც უკრავდნენ ორღანოზე და სხვა სამუსიკო საკრავებზე. და იბერიაში რომ მოვედით, ყველამ სიხარულით მიგვიღო, და სამუსიკო საკრავებზე და ორღანოებზე რომ ვუკრავდით, ყველამ იქ მოირბინა, საკვირველების სანახავად, და ამბობდნენ: კი გვსმენია ასეთი რამე, მაგრამ როგორც ახლა

¹ ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე XI (1449 – 1453).

² ეს არის მეფე გიორგი VIII ალექსანდრეს ძე, რომელიც მეფობდა 1446 – 1466 წლებში.

³ ტრაპეზუნტის მეფე იოანე IV კომნენოსი, მეფობდა 1447 – 1453 წლებში.

⁴ ამ ელჩობის მიზანი იყო დანათესავება: კონსტანტინე XI-ს უნდოდა შეერთო გიორგი VIII-ის ასული.

ἀλλὰ καὶ ἐκ τῶν περὶ αὐτῆς καὶ περὰ τῶν ἔτρεχον ἰδεῖν καὶ ἀκοῦσαι, ὅτι τὸ ὄνομα αὐτῶν ἦκουσον, τί δὲ ἐστὶν οὐκ ἐγίνωσκον. Καὶ ἐλθόντων πολλῶν, ἐν αὐτοῖς ἦν καὶ τις γηραιὸς ὥσει ἐτῶν ἑκατόν, καὶ τὰδε μοι διηγήσατο.

ბი რომ მოვიდნენ, მათ შორის იყო ერთი მოხუცი, დაახლოებით ასი წლისა, და შემდეგი მიაძმო.

Ἦν τοῦνομα τῷ πρεσβύτῃ Ἐφραΐμ, ὀρμώμενος ἐκ τῆς περιφήμου τῆς Ἰβηρίας πόλεως λεγομένης...

Ὅς ἐκ νεότητος αὐτοῦ ἡχμαλωτίσθη ὑπὸ βαρβάρων καὶ ἀσεβῶν τῶν ἐκεῖθεν ἐθνῶν, καὶ ἐπώλησαν αὐτόν εἰς τὰ ἐνδότερα μέρη τῶν Περσῶν.

Ὁ δὲ κύριος αὐτοῦ ἔμπορος ὦν, καὶ μετὰ ἐτέρων πολλῶν ἐμπόρων θέλοντες ἐλθεῖν κατὰ τὰ τῶν Ἰνδῶν μέρη ποιῆσαι τὴν αὐτοῖς νενομισμένην ἐμπορίαν, καὶ περιπατοῦντες ἡμέρας οὐκ ὀλίγας ἡγγισαν ἐνδον τῆς τῶν Ἰνδῶν χώρας.

Ὁ αὐτὸς Ἐφραΐμ ἐπιθυμῶν φεῦγειν τοῦ ζυγοῦ τῆς ἀρχμαλωσίας ἐζήτει εὐκαιρίαν· καὶ ἐν μιᾷ νυκτὶ πανσελήνῃ ὁ κύριος αὐτοῦ κεκοπιαικῶς ἐκ τῆς ὀδοιορίας καὶ ἕτεροι συνοδοιπόροι, αὐτὸς τῆς τύχης φορᾶ χρησάμενος ἐγερθεὶς φυγὰς ἦρχετο ἐκ τόπου εἰς τόπον, περιπατῶν ἡμέρας πολλὰς ἐν ἐρήμοις τόποις καὶ ἀβάτοις.

კარგა ხანს უდაბურსა და უვალ ადგილებში.

აგრეთვე, ყველანი, *ქალაქის* მთა-
ვანი, ერთნი ხომალდებით, ხო-
ლო სხვები ხმელეთით, რათა მი-
სულიყვნენ იბერიაში; ისინი რომ
შემდეგ მოვიდნენ ტრაპეზუნტში,
როცა ჯიქი უკვე წასულიყო,
ისინი მეფემ გალანძლა, თქვენ
ქალაქუნები ყოფილხართ, არაკა-
ცები და თქვენი სამშობლოს გამ-
ცემნიო.

სკვითები და პელაზგები

Μετὰ δὲ ταῦτα ἤλθον ἐπὶ
Μυσοὺς καὶ ἐπὶ Τριβαλλοὺς. Τὸ
δὲ γένος τοῦτο παλαιότατόν τε
καὶ μέγιστον τῶν κατὰ τὴν
οἰκουμένην ἔθνων, εἴτε ἀπὸ Ἰλλυ-
ριῶν μοίρας ἀπεσχισμένον ταύτην

ამის შემდეგ გაემართა მისიე-
ლებისა¹ და ტრიბალების წინა-
აღმდეგ. ეს ტომი არის უძველესი
და ახლანდელი მსოფლიოს ტომ-
თა შორის უდიდესი: ისინი ან
ილირიელთაგან გამოყო-

¹ მისილებად იგულისხმებიან ბულგარელები, ხოლო ტრიბალებად სერ-
ბიელები.

ἦκησε τὴν χώραν, εἶτε, ὡς ἔνιοι, ἀπὸ τῆς πέραν τοῦ Ἰστροῦ ἐπ' ἐσχάτων τῆς Εὐρώπης, ἀπὸ τε Κροατίας καὶ Προυσίων τῶν ἐς τὸν ἀρκτῶον ὠκεανὸν καὶ Σαρματίας τῆς νῦν οὕτω Ῥωσίας καλουμένης, ἕστε ἐπὶ χώραν τὴν διὰ τὸ ψυχρὸς ἀοίκητον, ἀκχεῖθεν ὠρμημένοι καὶ τὸν τε Ἰστρον διαβάντες ἐπὶ τὴν ἐς τὸν Ἰόνιον χώραν ἀφίκοντο καὶ ταύτη ἐπὶ πολὺ ἐπὶ Ἐνέτους διήκουσαν καταστρεψάμενοι ἦκησαν, εἶτε δὲ τούναντίον μᾶλλον εἶπειν ἄμεινον, ὡς ἐντεῦθεν ἀπὸ τῆς ἐς τὸν Ἰόνιον χώρας ὠρμημένον καὶ Ἰστρον διαβάντες ἐπέκεινα ἐγένοντο τῆς οἰκουμένης, οὐκ ἂν δὲ λεγόμενον ἀσφαλῶς λέγοιτο ἢφ' ἡμῶν (ed. Darkó I, 30,1—31,9; Bonnæ, 34,9-22).

ფილიპი ამ ქვეყანაში დაბინავდნენ, ან, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ისტროსის გადაღმა განაპირა ევროპიდან არიან მოსული, კროატიიდან და ჩრდილო ოკეანთან მცხოვრებ პრუსიელთაგან და სარმატიიდან, რომელსაც ამჟამად როსია ეწოდება, და ვიდრე იმ ქვეყნამდე, რომელიც სიცივეების გამო დაუსახლებელია, და იქიდან წამოსულან, ისტროსი გადმოულახავთ და იონიურ მხარეში მოსულან და აქ ვენეტთა ქვეყნამდე მოულწევიათ, დაუმორჩილებიათ და დასახლებულან, ან და შეიძლება უკეთესი იყოს და პირიქით ვთქვათ, რომ იქიდან იონიასთან მდებარე ქვეყნიდან გამოემართნენ, ისტროსი გადმოლახეს და იქიდან მოვიდნენ ამ მსოფლიოში; ვერ ვიტყვი, სწორად არის ჩვენ მიერ ნათქვამი, თუ არა.

ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ყურადღებას იპყრობს მისიელების (Μυσιί) წარმომავლობის განსაზღვრა: «ამის შემდეგ გაემართა მისიელები და ტრიბალები წინააღმდეგ. ეს ტომი არის უძველესი და ახლანდელი მსოფლიო ტომთა შორის უდიდესი: ისინი ან ილირიელთაგან გამოყოფილი ამ ქვეყანაში დაბინავდნენ...».

ცნობილია, რომ იყო ორი მისია: Moesia superior და Moesia inferior. პირველი დაახლოვებით თანამედროვე სერბიას მოიცავდა, ხოლო მეორეში შედიოდა ტრიბალების ქვეყანა და მოიცავდა დაახლოვებით დღევანდელ ბულგარეთს.

Fr. Grabler-ი ერთ-ერთ შენიშვნაში (გვ. 93, შენ. 54) მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტომს, რომელსაც ლაონიკე ხალკოკონდილე თვლის „ილირიელთაგან გამოყოფილად“, ჰეროდოტე მიიჩნევს „პელაზგებისაგან გამოყოფილად“. მართლაც, ჰეროდოტე (I, 58) წერს:

Τὸ δὲ Ἑλληνικὸν γλῶσση μὲν, ἐπεὶτε ἐγένετο, αἰεὶ κατε τῇ αὐτῇ διαχράται, ὡς ἔμοι καταφαίνεται εἶναι· ἀποσχισθὲν μὲντοι ἀπὸ τοῦ Πελασγικοῦ ἐὼν ἀσθενές, ἀπὸ μικροῦ τὸ τὴν ἀρχὴν ὀρμώμενον ἀνέγεται ἐς πληθὺς τῶν ἐθνέων, Πελασγῶν μάλιστα προσκεχωρηκότων αὐτῇ καὶ ἄλλων ἐθνέων βαρβάρων συχνῶν. Πρὸσθε δὲ ὧν ἔμοιγε δοκέει οὐδὲ τὸ Πελασγικὸν ἔθνος, ἐὼν βαρβαρὸν, οὐδαμὰ μεγάλως ἀνέγεισθαι.

ელინთა ტომი, იმ დროიდან რაც ის შეიქმნა, მუდამ ხმარობდა იმავე ენას, როგორც მე ეს მეჩვენება; ხოლო პელაზგიკურს რომ გამოეყო იყო სუსტი, და დასაწყისში რომ უმნიშვნელო იყო, შემდეგ ტომთა სიმრავლედ გაიზარდა, მას პელაზგები რომ მიეთვისნენ და სხვა ბარბაროსული ტომებიც ბევრი. წინათ ჩემის აზრით, პელაზგიკური ტომი, იყო რა ბარბაროსული, არასოდეს არ გაზრდილა დიდად.

აქ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ გამონათქვამს ἀποσχισθὲν, რაც ეხმაურება ლაონიკეს მიერ ნახმარ გამოთქმას ἀποσχισμένον, – ლაპარაკია ელინების გამოყოფაზე იმ ტომიდან, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში ცხოვრობდა. რომ დორიელები და პელაზგები ერთ დროს ერთიმეორის მეზობლად ცხოვრობდნენ, ამაზე ჰეროდოტე სხვაგანაც ამბობს (იმავე თავში 57,4). გარდა ამისა ელინების წარმომავლობაზე ბარბაროსთაგან ჰეროდოტე გადმოგვცემს I, 60-ში:

... ἐπεὶ γὰρ ἀπεκρίθη ἐκ παιτείου τοῦ βαρβάρου ἔθνεος τὸ Ἑλληνικὸν ἐὼν καὶ θεξιώτερον καὶ ἐνηθιείης ἡλιθίου ἀπηλλαγμένον μάλλον...

...რამეთუ ძველითგანვე ბარბაროსი ტომისაგან იყვნენ გამოყოფილი ელინები, რადგან არიან უფრო ნიჭიერნი და უჭკუო გულუბრყვილოებისაგან უფრო დამორებულნი...

სკვითები, ჩერქეზები და მეგრელები

III. Ἐνταῦθα πυθόμενοι Σκῦται Τεμήρηγ¹ βασιλέα ἐπὶ σφᾶς ἐπιόντα μεγάλη παρασκευῇ τὴν τε εἴσοδον ἔπεμπον στρατεύμα

სკვითებმა რომ შეიტყეს, რომ მეფე თემური მათ წინააღმდეგ მოდიოდა დიდძალი ლაშქრით. ჯარი გაგზავნეს, რათა წინასწარ

¹ Τεμήρηγ Darko, Τεμήρηγ codd.

προκαταληφθόμενους τῶν ὀρέων,
ἢ ἔμελλε Τεμήρης σὺν τῷ στρατῷ
αὐτοῦ διέναι.

Σκῆθαι μὲν οὗτοι¹ τὸ πάλαι
ἔξ μοίρας τινὰς διηρημένοι ἐνέ-
μοντο τὴν χώραν ἀπὸ Ἰστρου
ἕστε ἐπὶ τοὺς ὑπὸ τὸν Καύκασ-
σον. Νῦν δὲ γένος μὲν τι² τού-
των ἔξ τὴν Ἀσίαν γενόμενον, τὰ
πρὸς ἕω αὐτοῦ τε ἐνοικῆσαν τὴν
ἐπὶ τὰδε τῆς Ἀσίας χώραν καὶ
ἐπὶ πολλὰ τετραμμένον, Σαχα-
ταῖοι³ ἐκλήθησαν, ὑπὲρ τὴν τῶν
Περσῶν χώραν ἔξ τοὺς Σάκκας
τε καὶ Καδουσίους⁴ ἀφ' ὧν δὴ
καὶ Τεμήρηγ αὐτὸν οἶονται γεγο-
νέναι τινές.

დაეკავებინათ მთების გადმოსა-
სვლელი ზეკარები, იქ, სადაც
თემურს განზრახული ჰქონდა
თავისი ჯარი გადმოეყვანა.

ძველად ეს სკვითები, რამ-
დენიმე მოდგმად დაყოფილნი,
ფლობდნენ ქვეყანას ისტროსი-
დან მოკიდებული ვიდრე კ ა ვ-
კ ა ს ი ის მხარეებამდე. ხოლო
ამჟამად მათი ერთი გვარი აზიაში
არის მოსული; ისინი დასახლე-
ბულან აღმოსავლეთით აზიის
ქვეყანის ადგილებში და აქედან
ბევრს მხარეს მოსდებიან; ისინი
სახატეებად² იწოდებიან და სპარ-
სელთა ქვეყნის ზემოთ **დამკვიდ-
რებულან** საკებისა და კადუსიე-
ბის მეზობლად; სწორედ ამათგან
არის წარმოშობილი თემური,
როგორც ზოგიერთები ფიქრობენ.

¹ Fr. Grabler-ი ურთავს შენიშვნას: „სახელი «სკვითები» ბიზანტიელ მწე-
რალთა შრომებში (ისევე როგორც ანტიკური პერიოდის თხზულებებში) ბევრი
სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება (ხან ის აღნიშნავს «გუთებს» ან სხვა გერმა-
ნულ ტომებს, ხან «რუსებს») და ყოველთვის საჭიროა ანტიკურ ცნობებთან დაკავ-
შირებით იქნეს ის გაგებული. აქ (ლაონიკე ხალკოკონდილეს „ისტორიის“ ამ ადგი-
ლას) იგულისხმებიან «თათრები» და მითითება იმაზე, რომ თათრები და მონღო-
ლები მონათესავენი არიან, თუმცა თემურის მონღოლებმა ჩინგიზ-ხანის დიდი თათ-
რული სახელმწიფოს ნაშთები გაანადგურეს, უმართებულო არ უნდა იყოს“. (Europa
im XV. Jahrhundert von Byzantinern gesehen. Graz, 1954, გვ. 91).

² μὲν τι] v. l. μὲν τοι, Darko: μέντοι.

³ Fr. Grabler-ის შენიშვნით: „ამ სიტყვაში (Σαχαταῖοι) იმალება სახელი
„ჩაღათაი“ (Dschagatai), დასავლეთ-თურქესტანული ტომების სახელწოდება“
(გვ. 91). ჩვენის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ჩინგიზ-ყაენის შვილი „ჩაღათა“;
«ჩინგიზ-ყაენსა ცოლნიცა მრავალნი ესხნეს და შვილნიცა. და უზუცესის ცოლის
სეინჯისაგან ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუბის, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ
უწოდდეს, მეორე ჩ ა ღ ა თ ა, მესამე ოქროფა, მეოთხე თული» (ქ. ცხ. II [1959],
168,6)... «ხოლო მეორესა შვილსა ჩ ა ღ ა თ ა ს მისცა ლაშქარი და უიღურთა ქუე-
ყანა სამარყანამდე და ბუხარა ვიდრე აღმუთის ქუეყანამდე, ვგონებ ესე არს თურანი»
(ქ. ცხ. II [1959], 181,7), ვფიქრობთ ამას ეხმაურება ლაონიკე ხალკოკონდილეს
მიერ აღწერა „სახატელების“ მიწაწყლისა.

⁴ Καδουσίους Darko, Καδδαίους codd.

Ἔστι δὲ τοῦτο γένος ἄλκι-
μόν τε τῶν κατὰ τὴν Ἀσίαν
καὶ πολεμικώτατον, καὶ σὺν ταύ-
τοις λέγεται Τεμύρης τὴν ἡγε-
μονίαν τῶν ἐν τῇ Ἀσίᾳ παραλα-
βεῖν, πλὴν Ἰνδῶν. Οἱ δὲ λοιποὶ
Σκύθαι κατὰ ταῦτό φρονοῦσι τε
καὶ ὑφ' ἐνὶ ἄρχονται βασιλεῖ,
κατὰ Οὐρδῶν τὴν καλουμένην
ἀγορὰν τὰ βασιλεία ποιούμενοι,
ἀποδεικνύμενοι σφίσι βασιλέα γέ-
νους τε ὄντα τοῦ βασιλείου τὸ
Παλαιότατον (ed. Darkó I 120,8-24; Bonnae 128,21 – 129, 14).

Σαρμάται δὲ φωνῇ διαχρῶν-
ται παραπλησίᾳ τῇ Ἰλλυριῶν
τῶν ἐς τὸν Ἴόνιον παροικούντων
ἔστε¹ ἐπὶ Ἐνετούς. Ὅποτέροι
τούτων παλαιότεροι, καὶ τὴν ἐτέ-
ρων ὁπότεροι: τούτων χώραν ἐπι-
νέμονται, ἢ Ἰλλύριοι ἐπέκεινα
τῆς Εὐρώπης διαβάντες Πολανίαν
τε καὶ Σαρματίαν ᾤκησαν, ἢ
Σαρμάται δὲ ἐπὶ τὰδε τοῦ Ἰστ-
ρου γενόμενοι τὴν τε Μυσίαν²
καὶ Τριβαλλῶν χώραν καὶ δὴ καὶ
Ἰλλυριῶν τῶν πρὸς τὸν Ἴόνιον
ἄχρι δὴ Ἐνετῶν ᾤκησαν, οὐτε
ἄλλου τινὸς ἐπιθήμην τῶν πα-
λαιωτέρων διεξιόντος, οὐτ' ἂν
ἔχοιμι πάντῃ ὡς ἀληθῆς διασημή-
νασθαι.

ერთი ძველი დროის მწერალთაგან, და არც მაქვს ამაზე ჭეშმარიტი წარმოდგენა.

ეს ტომი არის მამაცი აზიის ტომთა შორის და ყველაზე უფრო უკეთესი მეზრძოლი და ამბობენ, რომ თემურმა მათი შემწეობით მოიპოვა ჰეგემონობა აზიის ხალხებში, გარდა ინდებისა. დანარჩენი სკვითებიც იმავე განწყობილებისა არიან და მათ ერთი მეფე მართავს; სამეფო *ქალაქი* მოაწყეს ეგრეთწოდებულ ურდოში და მეფედ ინიშნავენ უძველესი სამეფო გვარიდან.

სარმატები იყენებენ ენას, რომელიც ჰგავს ენას ილირიელებისას, რომლებიც იონიური ზღვის გასწვრივ ცხოვრობენ ვიდრე ვენეტებამდე. თუ რომელი ამ ორი ხალხიდან უფრო ძველია და რომელი ამ ორი ხალხიდან ამ ქვეყანაში დამკვიდრდა *უფრო ადრე*, ილირიელები ევროპის გადაღმიდან გადმოსულნი პოლანიაში და სარმატიაში დასახლდნენ, თუ სარმატები ისტროსის ამ ნაპირას მოვიდნენ და მესია და ტრიბალების ქვეყანა დაიკავეს, განსაკუთრებით ილირიელთა მიწები იონიურ ზღვის გასწვრივ მდებარე ვიდრე ვენეტების ქვეყანამდე, – ეს მე ვერ შევიტყე ვერც

¹ ἔστε Darko, ἔσ τούς codd.

² Μυσίαν ...Τριβαλλῶν χώραν – იგულისხმება ბულგარეთი და სერბების ქვეყანა

Ἐπάνειμι δὲ ἐπὶ Σκύθας τοὺς νομάδας, ὃ δὴ γένος μέγιστόν τε καὶ ἰσχυρόν καὶ γενναϊότατόν ἐστιν, οἷον οὐδενὶ τῶν κατὰ τὴν οἰκουμένην ἔθνων παραβάλλειν, ἂν μὴ πολλαχῆ ἀνὰ τὴν οἰκουμένην κατὰ τὴν Ἀσίαν καὶ Εὐρώπην ἐσκαδασμένον ἄλλη τε τῆς αὐτῶν βασιλείας ἠκίστη, ὡς τῆ ἐπιδρομῇ τὰ πολλὰ χρησάμενον· ἣ δὲ χώρα ἡρέσκετο, ταύτη ἐν ἀπολειφθῆν ἠκῆσεν.

Εἰ μὲν οὖν ἐφρόνει κατὰ τὰδε, τὴν αὐτὴν ἐνοικοῦν χώραν, καὶ ἄφ' ἐνὶ γένοιτο βασιλεῖ, οὐδένας οἱ τῶν ἐν τῇ οἰκουμένη ἐνίσταντο ἂν, ὥστε μὴ συνομολογεῖν αὐτῷ. Νῦν δὲ ἀπανταχῆ τῆς Ἀσίας ἐπινεμόμενον καὶ ἐν τῇ Εὐρώπῃ, ἐπὶ τῇ Θράκῃ τε καὶ ἐς τὸν Βόσπορον ἐνοικοῦν, ἀπῆκισταί τῆς σφῶν αὐτῶν βασιλείας τῆς ἐς τὸ Οὐρδάν. Οἱ μὲν οὖν ἐς τὸν Βόσπορον τὴν ταύτην χώραν ἐπινεμόμενοι καὶ τὴν ὁμορον λεηλατοῦντες, τὴν τε Τζαρκᾶσων καὶ Μιγκρελίων καὶ Σαρματῶν, καὶ ἀνδράποδα ὡς πλείστα ἀγόμενοι ἐπὶ τὸν Βόσπορον, ἐπὶ Καφᾶν πόλιν καὶ ἐς τὴν Μαυώτιδα καλουμένην λίμνην ἀπάγοντες, ὀλίγου τε αὐτὰ ἀποδιδόμενοι τοῖς τε Ἑνέτων καὶ Ἰανυῶν ἐμπόροις, οὕτω δὴ βιοτεύουσι (ed. Darkó I 126, 1—127, 4).

კვლად დავუბრუნდეთ მომთაბარე სკვითებს. ეს არის უდიდესი ტომი, ძლიერი და უაღრესად კეთილშობილი; მისი მსგავსი არ არის მსოფლიოში მოსახლე არც ერთი ტომი; ყველგან მსოფლიოში კი არ სახლდებოდა აზიასა და ევროპაში გაბნეული და თავისი სამეფოს გარეთ, ლაშქრობების დროს მრავალ ქვეყანაში ყოფილან; რომელ ქვეყანაშიც მოეწონებოდა მათ, იქ რჩებოდნენ და სახლდებოდნენ.

თუ თანხმობა არის, ამ ქვეყანაში ცხოვრობენ და ერთი მეფის ბატონობით არიან, მთელ მსოფლიოში არავინ იქნება ამ ხალხის წინააღმდეგი, ისე რომ მას არ დაემორჩილოს, ხოლო ამჟამად ისინი ყველგან აზიაში მოდებულნი არიან და ევროპაშიც, თრაკიაში და ბოსპორის მხარეში სახლობენ, როგორც თავიანთი სამეფოს, ურდოს, მოახალშენენი. ბოსპორის მხარეში რომლებიც ცხოვრობენ, ისინი არბევენ მეზობელ მხარეს ჩერქეზებისას და მეგრელებისას და სარმატებისას, აუარებელი მონები მიჰყავთ ბოსპორში, კავას ქალაქში და ეგრეთწოდებულ მეოტიდის ტბისკენ მიჰყავთ, იაფად ჰყიდიან მათ ვენეტებსა და გენუელებს და ასე, ირჩენენ თავს.

იბერიის სპილენძი

IX. Ἡ δὲ χώρα αὕτη τοῦ Ἰσμαήλεω¹ ἀρχεται μὲν ἀπὸ τῆς ἐς τὸν Πόντον Ἡρακλείας πόλεως τοῦ βασιλέως, διατείνει δὲ διὰ τοῦ Πόντου ἐς τὴν Παφλαγόνων χώραν καὶ ἐπὶ τὴν Τουργούτεω² χώραν, ὀβλιωτάτη δὲ οὖσα πρόσδοτον ἔχει ἐς τὰς εἴκοσι μυριάδας χρυσίου τοῦ ἔτους στατήρας. Χαλκὸν δὲ, ὡς καὶ ἄλλοιφίμοι τοῦ λόγου, φέρει ἡ χώρα αὕτη μόνη τῶν ἐν τῇ Ἀσίᾳ, χαλκὸν δὲ κάλλιστον μετὰ γέτον Ἰβηρίας χαλκόν, ἀφ' οὗ δὴ προσήει τῷ βασιλεῖ ἐπέτειος φόρος χρυσίου πάντε μυριάδες στατήρων (ed. Darkó, II 242, 6-14).

IX. ისმაილის ეს ქვეყანა იწყება ირაკლიდან, პონტოში რომ არის მეფის ქალაქი, გადაჭიმულია პონტოს გავლით ვიდრე პაფლაგონთა ქვეყანამდე და ტურგუტის მხარემდე, უაღრესად მდიდარია და შემოსავალი აქვს წლიურად დაახლოებით ორასი ათასი სტატერი ოქროთი. ხოლო სპილენძს, როგორც ეს მე სხვაგანაც ვთქვი, მხოლოდ ეს ქვეყანა, აზიის ქვეყნებს შორის, იძლევა იბერიის სპილენძის შემდეგ საუკეთესოს, საიდანაც მეფეს შემოუდის ყოველწლიური გადასახადის სახით ორმოცდაათი ათასი ოქროს სტატერი³.

კოლხეთი – ტრაპიზონის სამეფო

II. Μετὰ δὲ ταῦτα Παιαζήτης ἤλαυνεν ἐπὶ Σκενδέρεια τὸν τῶν Ἀρμενίων βασιλέα, καὶ ἐπὶ Ἐρτζιγγάνην πόλιν, τὰ τῶν Ἀρμενίων βασιλεία, καὶ ἐπὶ Σαμαχίην πολίχνην λεγομένην.

Λέγεται δὲ οὗτος ὁ Σκενδέρης τῶν βαρβάρων πολλῶ τῶν

II. ამის შემდეგ ბაიაზეთი გაემართა არმენიელთა მეფის სკენდერესის წინააღმდეგ, და ქალაქ ერზინჯანის არმენიელთა სამეფო ქალაქის, ასაღებად, და ეგრეთწოდებული ციხე-დაბის შემახის წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ ეს სკენდერესი აზიის ბარბაროსთა შორის ყვე-

¹ ისმაილი – სინოპის მთავარი: *ἐστρατεύετο ἐπὶ τὸν Ἰσμαήλην Σινώπης ἡγεμόνα* (ed. Darko 173, 21: „ილაშქრა სინოპის მთავრის ისმაილის წინააღმდეგ“).

² ტურგუტი – ფრიგიის მთავარი: *Τουργούτεω τοῦ τῆς Φουγίας ἄρχοντος* – სწერია ლაონიკეს „ისტორიის“ II წიგნში (ed. Darko I, 60, 4 – 5).

³ ჩვენთვის არ არის ცნობილი სხვა წყაროები შესახებ „იბერიის სპილენძის“ სახელგანთქმულობის შესახებ.

κατὰ τὴν Ἀσίαν ἀνδρειότατος
καὶ τὰ ἐς πόλεμον τόλμη τε καὶ
ῥώμη σώματος γενέσθαι: οὐδὲν δὲ
δευτέρον, ὡς ἐπιόντων ποτὲ αὐτῆ
τῶν Ἀσσυρίων πολλάκις ἔργα
ἀποδείξασθαι ἄξια λόγου, τρεψά-
μενος τοὺς ἐναντίους σὺν ὀλίγοις
τοῖς ἀμφ' αὐτόν.

Τοῦτον δὲ τὸν Σκενθέρεα, ὡς
ἀπήχθετο τῆ ἑαυτοῦ γυναικί,
συλλαβοῦσα αὐτόν σὺν τῇ παιδί
διαχρήσασθαι: καὶ τὴν βασιλείαν
κατέχειν. Ἐπὶ τοῦτον δὲ Παια-
ζήτης ἐλάσας τὴν τε Ἑρτζιγγά-
νην πόλιν πολιορκῶν παρεστή-
σατο καὶ τὸν παῖδα Σκενθέρεω
εἶχεν ἐν φυλακῇ.

Μετὰ δὲ ταῦτα τοὺς τε Τζα-
νίδας¹ καταστρεψάμενος, οἱ
κατέχουσι τὰ τῆς Κολχίδος
ἐπὶ Ἄμαστριν πόλιν καθήκοντα,
ἤλαυνεν ἐπὶ Καραϊλούκη τὸν
Λευκαμινᾶν Σαμαχίης ἡγεμόνα,
καὶ ἐπεξελθόντα σὺν τῇ ἑαυτοῦ
στρατιᾷ μάχῃ ἐκράτησε, καὶ ἐπο-
λιόρκει Σαμαχίην πόλιν. Καὶ ὡς
οὐδὲν προσχώρει ἢ τῆς πόλεως
αἴρεσις, ἀπεχώρησεν ἀπαγαγὼν
τὸν στρατόν, καὶ ἐπανέστησεν ἐπ'
οἴκου (ed. Darkó I 58,21 — 59,15).

ლაზე უფრო მეტად გამოირჩეო-
და როგორც უმამაცესი; ომში
გაბედული შემართებით და სხეუ-
ლის ძლიერებით სხვა ვერავინ
შეედრებოდა; ასირიელები რომ
ოდესღაც მას უტევდნენ, მას ხში-
რად გამოუჩენია მოხსენების ღირ-
სი საქმეები, მოწინააღმდეგეებიც
უკუუქცევია მცირეოდენი, მის
გარშემო მყოფი მეომრებით.

ეს სკენდერესი შეიზიზღა მის-
მა მეუღლემ, რომელმაც შეიპყრო
იგი ვაჟითურთ, მოაკვდინა და
სამეფო ხელში ჩაიგდო. ამ სკენ-
დერესის წინააღმდეგ გაემართა
ზაიაზეთი, ქალაქ ერზინჯანსაც
ალყა შემოარტყა და დაიმორ-
ჩილა, ხოლო სკენდერესის ვაჟი
დაატუსაღა.

ამის შემდეგ დაიმორჩილა ჭა-
ნიდები, რომლებსაც უჭირავთ
კოლხიდის ადგილები ვიდრე
ქალაქ ამასტრისამდე, გაემართა
შემახიის ერისთავის ყარაიუ-
ლუკ ლეკვამნას წინააღმდეგ, თა-
ვისი ჯარით ჩაუარა მას, ბრძო-
ლით დაიპყრო და ქალაქ შემა-
ხიას ალყა შემოარტყა. მაგრამ
რადგან ვერაფერს გახდა და ქა-
ლაქი ვერ აიღო, უკან დაიხია
თავისი ჯარით და შინ დაბრუნდა.

¹ τζαπνίδας codd., Τζανίδας Darkó. ამ „ჭანიდებს“ იხსენიებს მიქელ პანა-
რეტოსი 1358 წლის ქვეშ: «მოვიდა ტრაპიზონში ბევრი თურქი. წინამძღოლობდნენ
მათ ეზინკელი ახის აინაზბეგი და ზაიბურთელი მაჰმად ევკეპტარისი და ამიდელთა-
გან თურალი-ბეგი პოსდოგანისი, და მათთან ერთად ჭ ა ნ ი დ ე ბ ი (Τζαინίδες ||
Τζაიპνίδες) (გეორგიკა VII, გვ. 184).

თემურლენგი იბერიაში

III. Τοῦ δὲ ἐπιγενομένου φέ-
ρους στρατιᾶν ὡς μεγίστην συλ-
λέξας, καὶ ἐπὶ Αἴγυπτον ἐν γῆ
ἔχων στρατεύεσθαι, μετὰ¹ δὲ
συστρέφας, ἤλαυνεν ἀνθὶς ἐπὶ
Σκύθας, σταθμούς ἐλαύνων ὡς
μεγίστους.

Καὶ ἐφῆθη τε δὴ ἐσβαλὼν ἐς
τὴν Σκυθικήν, καὶ συνέμιξε μοίρα
τινὶ αὐτοῦ ἐπὶ τὴν ἔφοδον ἐπι-
γενομένοις, καὶ συμβαλὼν αὐτῇ
ἐτρέψατο. Οὐ μόντοι γε ἀπεγέ-
νετο, ὅ τι καὶ ἄξιον λόγου, ἐν
ταύτῃ τῇ συμβολῇ.

Οἱ γὰρ Σκύθαι μέγιστον δὴ
τοῦτο ἔχουσιν ἀγαθόν· ἐν τῇ
τροπῇ συστρεφόμενοι ἀνθὶς ἐλαύ-
νουσιν ἐπὶ τοὺς πολεμίους, οὐδὲν
τι κατὰ τὴν τροπὴν χαλεπὸν
ὑφιστάμενοι, μετὰ δὲ, ὡς ἐπὶ
τὸν βασιλέα Σκυθῶν ἤλασε, πα-
ρετάξατό τε εἰς μάχην, καὶ οἱ
Σκύθαι νυκτὸς ἀπεχώρουσιν ὥστε
σταδίους εἴκοσι καὶ ἑκατόν.

Ὡς δὲ ἐπῆει Τεμήρης, διημι-
ρεύων ἐπήλαυνε, νυκτὸς ἀνθὶς
ἀπεχώρουσιν οἱ Σκύθαι, ὥστε δὴ
ταῦτα ποιούμενος ἔκαμνε τῷ Τε-
μήρῃ ὁ στρατός, καὶ προσκα-

III. ზაფხული რომ დადგა,
დიდძალი ჯარი შეკრიბა *თემურმა*
და ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქ-
რობა გადაწყვიტა, ხოლო შემ-
დეგ გეგმა შეცვალა და კვლავ
სკვითების წინააღმდეგ გაემართა
დიდ-დიდი სვლებით.

სწრაფად თავს დაესხა სკვი-
თებს და შეიჭრა სკვითიკეში,
იქვე მის ერთ განაყოფს შეეჯახა,
რომელსაც მისასვლელების დაც-
ვა ჰქონდა დავალებული, შეებრ-
ძოლა და აიძულა უკუ-წასვლა.
ამ შეტაკების დროს ისეთი არა-
ფერი მომხდარა სამარცხვინო,
რომ ღირდეს ლაპარაკი.

რამეთუ სკვითებს ერთი ასე-
თი უდიდესი სიკეთე ჰქონდა: ოტე-
ბულნი უკან ბრუნდებიან და
კვლავ მიემართებიან მტრის წი-
ნააღმდეგ, და ოტებულნი არავი-
თარ საფრთხეს არ ეძლევიან;
შემდეგ კი, როგორც კი სკვითთა
მეფეს მიაღწია (*თემურლენგმა*)
მან დარაზმა (*თავისიანები*) სა-
ბრძოლველად, და სკვითებმა ლა-
მით უკან დაიხიეს დაახლოვებით
ასოცი სტადიონით.

როცა თემური დაედევნა და
მთელი დღე სდია, სკვითებმა ლა-
მით კვლავ უკან დაიხიეს, ასე
რომ ამის კეთებაში თემურს ჯა-
რი დაეღალა. და ამით იძულე-

¹ აქ მეტა ნახმარია როგორც ზმნისართი (იხ. ასეთი შემთხვევები ჰომეროსის პოემებში).

λείτο ἐς μάχην τῶν Σκυθῶν βασιλείᾳ.

Μετὰ δὲ ταῦτα στρατοπεδεύσάμενος ἐς τὴν ὑστεραίαν παρατάξατο κατὰ Ἰλας. Τεμύρης δὲ παρετάσσετο ἐπὶ πολὺ τὸ βῆθος, ἔχων ἐπὶ τὸ δεξιὸν Χαϊδάρην σὺν τοῖς Μασσαγέταις, ἐπὶ δὲ τὸ ἐνώπιον τὸν παῖδα αὐτοῦ Σαχροῦχον¹ σὺν τοῖς Πέρσαις τε καὶ Ἀσσυρίοις, καὶ Χαταίων, ὅσοι εἶποντο.

Ἐπεὶ δὲ συνέμισγον ἀλλήλοις τὰ στρατεύματα καὶ ἐμάχοντο, μάχης τε καρτερᾶς γενομένης οὐδὲν τι πλεόν ἔσχον οἱ Σκύθαι. Μετὰ δὲ, ὡσάμενοι εἶχοντο τοῦ ἔργου ἐντονώτερον οἱ Σκύθαι, οὐδ' ὡς ἐτρέψαντο τὸν Τεμύρεω στρατὸν, ἀπετράποντο, καὶ ἀπέβαλον ἐν ταύτῃ τῇ μάχῃ οὐκ ὀλίγους. Ὑστερον μὲντοι, ὡς οὐδὲν ἔπρασσον οἱ Σκύθαι μαχόμενοι τῇ Τεμύρεω στρατῷ, ἤλαυνον ἐς τὸ πρόσω ἐχόμενοι, ὡς ἐντὸς τῆς χώρας τοὺς πολεμίους ἀποληφόμενοι.

Ὁ μὲντοι Τεμύρης συστραφεὶς ἤλαυνέ τε αὐτὸς τὰ ἔμπροσθεν γινόμενος, καὶ πῶς ἔφθη ἐς τὸν Τάναϊν ἀφικόμενος. Μετὰ δὲ ταῦτα ἐς τὴν Ἰβηρίαν τὴν

ბულმა თემურმა ბრძოლაში გამოიწვია სკვითთა მეფე.

ამის შემდეგ მეორე დღეს **სკვითთა** მეფემ დაიბანაკა და რაზმეულებად დააწყო **თავისი ჯარი**. ხოლო თემურმა შორს სიღრმეში განაწყო **ჯარი**, მარჯვნივ ჰყავდა ჰაიდარი მასაგეტების ჯარით, ხოლო მარცხნივ თავისი ვაჟი შარუხი¹, რომელსაც ახლდნენ სპარსელები და ასირიელები, და ხატაელთაგან ვინც თემურს ახლდნენ.

ხოლო როდესაც ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ და ბრძოლა დაიწყო, ბრძოლა ფიცხელი იყო, სკვითებმა ბევრი ვერაფერი გააწყვეს. ხოლო შემდეგ, თითქოს დადევნებას აპირებენო, სკვითები ცხარედ შეუდგნენ საქმეს, მაგრამ ვერ აოტეს თემურის ჯარი და უკუ-იქცნენ, და ამ ბრძოლაში არა მცირედნი დაჰკარგეს. შემდეგ, მაინც, რახან ვერაფერი გააწყვეს სკვითებმა თემურის ჯართან ბრძოლაში, გაემართნენ და მტრის ზურგში მოყვნენ, რათა ქვეყნის შიგნით მოწინააღმდეგეები უკან მოეტოვებინათ.

ამიტომ თემურმა (**რომელიც მიუხვდა მტრის ოინებს**) გეგმა შესცვალა, თვით საპირისპირო მხარეს გავიდა და მტერს დაასწრო და ტანაისთან მივიდა, ამის

¹ თემურლენგის ვაჟს შარუხს იცნობენ ძველი ქართველი მატრიანეები: «(თავადი ესაია) შეეხუეწა ძესა ლანგ-თემურისსა შარუხს» (ქ. ცხ. II [1959], 335,26); «მამინ შეეწყალა ძესა მას ლანგ-თემურისსა შარუხს, და მივიდა რა მამასა თვსსა თანა, დიდად შემწე ექმნა» (იქვე, გვ. 46,29).

ἐν τῇ Ἀσίᾳ ἀφικόμενος ἀπεχώ-
ρει διὰ τῆς Κολχίδος, τὸν
Φάσιν αὐτοῦ διαβάς ποταμόν,
τὸν ἀπὸ Καυκάσου ῥέοντα ἐπὶ
Εὐξείνου πόντον. Ἑσβαλῶν δὲ ἐς
τὴν Ἀρμενίων χώραν ἀπήλαυνεν
ἐπὶ Χεσίης¹. Ἐπεπράγει δὲ οὗτω
αὐτοῦ τὸ στρατεύμα ἐς τὴν ἐπὶ
Σκυθiais ταύτην ἔλασιν.

Ἐπὶ δὲ τρίτῳ ἔτει παρασκευ-
ασάμενοι οἱ Σκυθαι ὡς ἀμυνόμε-
νοι βασιλέα Τεμήρηγ, ἡλασάν τε
καὶ ἐπέδραμον χώραν τὴν ὑπὲρ
τοῦς Ἀσσυρίους.

Ἐπρεσβεύετο μὲν οὖν ὕστε-
ρον περὶ σπονδῶν πρὸς τε τὸν
βασιλέα τοῦ Οὐρῶν καὶ πρὸς
σύμπασαν τὴν ἀγοράν, ἐπιγαμίαν
τε ὑπισχνούμενος, καὶ σπονδὰς τε
ἐποιήσαντο, ἐφ' ἣ ἕξουσ τε καὶ
φίλους εἶναι ἀλλήλοις (ed. Dar-
kó I 128, 24—130, 17).

შემდეგ მივიდა იბერიაში
(აზიაში რომ არის)² და კოლ-
ხიდის გზით დაიხია, იქ გადა-
ლახა მდინარე ფაზისი, რომე-
ლიც კავკასიონიდან გამომდინა-
რეობს ევქსინის პონტოსაკენ. შე-
იჭრა არმენიელთა ქვეყანაში და
სწრაფად გაემართა ხესიაში¹. ასეთ
ვითარებაში ჰყავდა იქ ჯარი
სკვითების წინააღმდეგ ამ ლაშქ-
რობის დროს.

ხოლო მესამე წელს სკვითები
მოემზადდნენ, რათა შური ეძიათ
თემურ მეფის მიმართ, შეუტყეს
და თავს დაესხნენ ქვეყანას, რო-
მელიც ასირიელების ზემოთ
არის.

შემდეგ ზავის სათხოვნელად
მოციქულები გაიგზავნენ ურდოს
მეფესთან და მთელ კრებულთან
და ჰპირდებოდა დანათესავება-
საც, და ზავიც შეკრეს, რომლი-
თაც ისინი ერთმანეთის მოკავ-
შირეებად და მეგობრებად ითვლე-
ბოდნენ.

კოლხეთი – ტრაპიზონის სამეფო

Τότε δὲ βασιλεὺς παραλαβὼν
τὴν Ἰσμαήλειω τοῦ Σκενδέρειω
χώραν ἔετο ὁμόσει ἐπὶ Χασάνην τὸν
μακρὸν καὶ ἐπὶ Κολχίδα, ὡς
καθαίρησων βασιλέα τῆς Τραπε-

მაშინ მეფემ აიღო ისმაილის,
სკენდერესის შვილის, ქვეყანა და
მაშინვე გაემართა ჰასან გრძელის
წინააღმდეგ და კოლხიდის
წინააღმდეგ, რათა დაემხო ტრაპე-

¹ ხელნაწერებში სწერია *χεσίης*, Darkó-მ შეასწორა (სხვაგანაც რამდენჯერმე გვხვდებოდა); ერთ ადგილას (L 119,2) ის წერს: „აზიაშია ეს ქალაქი, თუ ასირიის ქვეყანაში, ან მიდიელთა მხარეში, ვერ დავადგინეო“, სამიუბელში კი უწოდებს Kesch. თვით ტექსტში (I 119,15) ამბობს, რომ ის სამარყანდის მიდამოებშია.

² ავტორი საჭიროდ თვლის განმარტოს: „მივიდა იბერიაში, აზიაში რომ არისო“, რადგან იცის, რომ არის მეორე იბერიაც, ისპანიაში, რომელსაც ის რამდენიმე ადგილას იხსენიებს.

ζούοντος, δε επιτηδείως ἔχων τὸν Χασάνην καὶ συνήθης γενόμενος, καὶ μᾶλλον ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ βασιλεὺς Ἰωάννης, καὶ αὐτὸς βασιλεὺς Δαβὶδ ἐξέδοτο ἐς γάμον θυγατέρα Ἰωάννου καὶ Δαβὶδ ἀνεψιᾶν Χασάνη τῇ μακρῇ.

Καὶ προσεδεῖτο βασιλεὺς Δαβὶδ τὸν Χασάνην διαπράξασθαι¹ ἐς τὸν βασιλέα Μεχμέτην τοῦ λοιποῦ μὴ ἀπάγειν τὸν φόρον τῆς Τραπεζούοντος πρὸς αὐτόν, ἀλλὰ ζητῶν μᾶλλον ἀποχαρίσασθαι τῇ Χασάνη βασιλεὺς Μεχμέτης.

Οἱ μὲν οὖν Χασάνειοι πρέσβεις ἐς βασιλέα ἀφικόμενοι διελέγοντο μὲν καὶ ἄλλα ὑπερηφανῆ, ἐν δὲ ὀλίγῃ καὶ τότε ἠξίουσαν, σφίσι αὐφειθῆναι τὸν τῆς Κοιλιθίου χώρας φόρον. Τούτους μὲν οὖν ἀπέπεμψε βασιλεὺς ἐπαπειλήσας, ὡς τοῦ λοιποῦ εἴσονται οὐκ εἰς μακράν, ὅτου δέοι τοῦ βασιλέως προσδεῖσθαι (ed. Darkó, II 243,9-28).

Τὸ δὲ ἐντεῦθεν² ἦδη ἐπορεύετο ἐπὶ Τραπεζούοντα καὶ κατὰ βασιλείῳ Δαβὶδ, δε τελευτήσαντος τοῦ βασιλέως τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ Ἰωάννου, καὶ καταλειφθέντος αὐτῇ ἐγγόνου ἑνός, ἐπαγόμενος τοὺς Καβασιτάνους³ ἄρ-

ზუნტის მეფე, რომელიც მეგობრულად იყო ჰასანთან განწყობილი, განსაკუთრებით კი მისი ძმა მეფე იოანე; და თვით მეფე დავითმა მიათხოვა იოანეს ასული და დავითის ძმისწული ჰასან გრძელს.

და დავით მეფემ სთხოვა ჰასანს ეშუამდგომლა მეხმეტ მეფის წინაშე, რომ ტრაპეზუნტს აღარ ეძლია მისთვის ხარკი, მაგრამ უფრო მეტად რომ მეხმეტ მეფეს ჰასანისათვის წყალობა არ მოეკლო.

სხვათა შორის, ჰასანის ელჩები მეფესთან რომ მივიდნენ, ქედმაღლურად დაუწყეს ლაპარაკი, სთხოვეს აგრეთვე ისიც, რომ კოლითის ქვეყნის ხარკი მათთვის გადაეცა. მეფემ ისინი გაისტუმრა და დაემუქრა: „ამიერიდან შორს ნუ ივლით, როდესაც მეფის დახმარება იქნება საჭირო“.

აქედან უკვე ის გაემართა ტრაპეზუნტისაკე დავით მეფის წინააღმდეგ, რომელმაც მისი ძმის იოანე მეფის გარდაცვალების შემდეგ (რომელსაც ერთი შვილი-შვილი დარჩა), კავასიტელები, ტრაპეზუნტის გარშემო მცხოვ-

¹ აქ ხელხაწერები უმატებენ Χασάνην, რაც Darkó-ს ზედმეტად მიაჩნია.

² აქედან ვიდრე სიტყვებამდე ἐνίας δ' ἐν τινι ὀλίγῃ καιῶν καὶ ὑπανδρεῦσατο (გვ. 117 ბოლომდე) Darkó-ს ინტერპოლაციად მიაჩნია. ვ. გ რ ე კ უ არ ეთანხმება დარკოს (l. e. 208).

³ კავასიტებზე იხ. ზემოთ გვ. 95, შენ. 6.

χόντας τῶν περὶ τὴν Τραπεζοῦντα Μεσογαλδῶν¹ κατέσχε τὴν βασιλείαν καὶ ἐβασίλευεν, ἀδικήσας τὸν ἀνεψιὸν αὐτοῦ τετραετὴ ὄντα.

Ὁ μόντοι στόλος ἄρας ἀπὸ Σινώπης, ἐπεὶ ταύτην προεδουλώσαντο, ἐπορεύετο ἐν δεξιᾷ ἔχων τοὺς Καππάδοκας, καὶ ἀφικόμενος ἐς τὴν πόλιν Τραπεζοῦντα τὰ τε προάστεια ἐνέπρησε, καὶ ἐπολιόρχει τὴν πόλιν ἐπὶ ἡμέρας τριάκοντα ὄσο.

Μετὰ δὲ ταῦτα ἐπελαύων ἐπήγει βασιλεὺς. Προελάνων δὲ Μαχουμιούτης ἐς Τραπεζοῦντα, καὶ αὐτὸς που σκηνώσας ἐν τῇ λεγομένῃ Σκυλολίμνῃ, καὶ λόγους προσφέρων πρὸς τὸν αὐτοῦ ἐξάδελφον Γεώργιον πρωτοβεστιάριον, ἔλεγε πρὸς αὐτὸν εἰπεῖν τῷ βασιλεῖ Δαβίδ τὰδε.

«Βασιλεῖ Τραπεζοῦντος, γένους τοῦ Ἑλλήνων βασιλείου, βασιλεὺς μέγας τὰδε λέγει, ὡς ὄρας μὲν ὕσπιν χώραν διαπορευόμενος, ἐπειδὴ διεξῆγει, ὥστε ἐν ταῦθα γενέσθαι. Ἦν οὖν αὐτίκα τὴν πόλιν παραδῶς τῷ βασιλεῖ, καὶ χώραν μὲν σοι παρέχεται,

რებ მესოხალდეველთა მთავრები მიიერთა, სამეფო ტახტი დაიპყრო და გამეფდა; უსამართლოდ მოეპყრა თავის ოთხი წლის ძმისწულს.

ხოლო ფლოტი მოსწყდა სინოპს, როდესაც ეს უკანასკნელი დაიმორჩილეს და გაემართა; მარჯვნივ ჰყავდა კაპადოკიელები, და მოვიდა ქალაქ ტრაპეზუნტში, გადაწვა გარეუბნები და ქალაქს ალყა შემოარტყვა, ოცდათორმეტი დღის განმავლობაში.

ხოლო ამის შემდეგ მეფე გაემართა და თავს დაესხა. მახუმიტმა კი დაასწრო ტრაპეზუნტში შესვლა, იქ დაიბანაკა ეგრეთწოდებულ სკილოლიმნეში და მოლაპარაკება გამართა მის ძმისშვილთან პროტოვესტიარიოს გიორგისთან, მას ეთქვა დავით მეფისათვის შემდეგი:

„ტრაპეზუნტის მეფეს, ელინთა სამეფო გვარისას, დიდი მეფე იმას მოახსენებს: ხომ ხედავ რამხელა ქვეყანა გამოიარა, სანამ მოვიდოდა იქ, სადაც არის ახლა. თუ დაუყოვნებლივ ქალაქს გადმოსცემ მეფეს, ქვეყანაც შენ გექნება, როგორც ელინთა პელო-

¹ მესოხალდეები, ე. ი. შიდა ხალხიაში მცხოვრებნი, მათ შესახებ თ. უსპენსკისთან (История Византийской империи III (М.-Л. 1948), გვ. 742) ვკითხულობთ: „Византийские архонты, пришедшие вместе с Комнинами, встретили враждебное отношение туземного элемента грузинского (лазского) племени, имевшего в своей среде княжеские фамилии. Пришшая знать именовалась схоляриями (гвардией). туземная – месохалдиями, жившими внутри Халдии“.

ὡς καὶ τῷ Ἑλλήνων ἡγεμόνι τῆς Πελοποννήσου Δημητρίῳ εὐδαίμονίαν τε ἐβωρήσατο καὶ νήτους καὶ Αἴνον πόλιν εὐδαίμονα, καὶ ἐν ἀσφαλεὶ ὄν κάθηται εὐδαίμωνων. Ἦν δὲ μὴ πειθόμενος ἀντέχειν ἐπιέλης, ἴσθι τὴν τε πόλιν ἐξανδραποδίσαι οὐ πολλῆ ὑστερον· οὐ γὰρ ἂν ἀπαναστήσεται, μὴ ἐξελὼν πρότερον ἡμᾶς καὶ αἰσχίστῳ παραδοῦς θανάτῳ».

Ταῦτα εἰπόντος τοῦ Μαχουμούτεω, ὑπολαβὼν ὁ βασιλεὺς Κολχίδος ἔλεγε τοιαῦτα·

«Ἄλλ' ἡμεῖς καὶ πρότερον τὰς βασιλείας σπονδὰς οὐ παραβαίνοντες, τὸν τε ἀδελφὸν τοῦ βασιλέως πέμψαντες ἔτοιμοι ἦμεν, ἐφ' ὅτι ἂν ἄρα κελήσει βασιλεὺς, ἴσθαι αὐτίκα πειθόμενοι, καὶ νῦν τῷ ναυάρχῳ τοῦ βασιλέως τόδε ἐλέγομεν, ὡς ἂν μὴ τὴν χώραν κακῶς ποιοῦντες ληΐζωνται, ὡς, ἣν ἐπιῆ βασιλεὺς, προσχωρήσειν αὐτῷ παρεσκευάσμεθα».

Ταῦτά τε ἔλεγε, καὶ ἡξίου σπένδασθαι αὐτῷ βασιλέα, ἐφ' ᾧ τὴν τε θυγατέρα αὐτοῦ βασιλέα ἀγεσθαι καὶ χώραν αὐτῷ παρέχεσθαι, ὅσῳ ἴσῃν τὴν πρόσσπονδον αὐτοῦ τῆς χώρας ἀποδοίη τε. Ταῦτα λέγων ἡξίου σπένδασθαι.

Μαχουμούτης μὲν, ὡς ἐς τὸ στρατόπεδον ἀπήλαυε βασιλεὺς,

პონესის წინამძღოლს დიმიტრის, დიდძალი სიმდიდრეც მიანიჭა და კუნძულებიც და შემღებული ქალაქი აიზიც, და, არის რა უშიშრად, ცხოვრობს ბედნიერად. ხოლო თუ არ დაემორჩილები და წინააღმდეგობას მოინდომებ, იცოდე, რომ ქალაქს დაიმონავებს ცოტა ხნის შემდეგ; რამეთუ ის მანამ არ შეწყვეტს წინააღმდეგობას, სანამ არ მოგსპობს და სამარცხვინო სიკვდილს არ შეგამთხვევს“.

ეს რომ თქვა მახუმუტმა, კოლხიდის მეფემ შემდეგნაირად მოუჭრა სიტყვა:

„მაგრამ ჩვენ წინათაც მეფესთან დადებული ზავი არ დაგვირღვევია, მეფის ძმაც გავგზავნეთ და მზად ვიყავით, რასაც კი მეფე ბრძანებდა, მაშინვე მორჩილებით წავიდოდით; და ახლაც მეფის ნავარხს ის ვუთხარი, რომ ჩვენ ქვეყანას ცულადა არ მოჰყრობოდნენ და არ დაერბიათ, რომ, თუ მეფე ჩვენკენ გამოემართება, მზად ვართ დავნებდეთ“.

ეს თქვა და თხოვდა მეფე დაეზავებინა მასთან ისე, რომ მისი ასულიც მეფეს ცოლად ეთხოვა და ქვეყანაც მისთვის დაებრუნებინა. იმ პირობით, რომ აქ ქვეყანაზე გავლაც თანაბარი (ე. ი. თავისუფალი) იქნებოდა. ეს თქვა და დაზავებას ითხოვდა.

მახუმუტმა, როგორც კი მეფე ზანაკში გაემართა, შეხვდა მას

ὑπήντα ἀγγέλλων τὰ παρὰ τῆς πόλεως. Ἐπαρθεῖς δὲ τοῖς λόγοις τοῖσδε ὤρμητο κατὰ κράτος ἐξελεῖν τὴν πόλιν καὶ ἀνδραποδίσασθαι: ἤχθητο γάρ, ὅτι ἡ γυνὴ τοῦ βασιλέως, πρὶν ἢ ἀφικέσθαι τὸν στόλον, ἀφίκετο παρὰ τὸν ἑαυτῆς γαμβρὸν τὸν Μαμίαν προεξισύσα.

Μετὰ δὲ ταῦτα βουλευομένων οἱ ἐδόκει ἐς τὴν ξύμβασιν τοὺς ἄρκους ποιεῖσθαι, καὶ ἐγένοντο οἱ ἄρκοι τοῦ βασιλέως, μετὰ δὲ καὶ τὴν πόλιν παρελάμβανον Τραπεζοῦντα οἱ τοῦ βασιλέως νεήλυδες, ὡς ἐπέταξε βασιλεύς. Τὸν δὲ βασιλέα Τραπεζοῦντος ἐμβάντα ἐς τὰς ναῦς ἅμα τοῖς παισὶν αὐτοῦ καὶ τῇ θυγατρὶ καὶ συγγένεσιν αὐτοῦ, ἔσοι παρήσαν αὐτῷ, ἐκέλευσεν ἀποπλεῖν ἐς τὸ Βυζάντιον, ὡς αὐτίκα παρεσομένου καὶ αὐτοῦ βασιλέως διὰ τῆς ἡπείρου. Τὴν μὲν πόλιν ἐπέτρεψε τῷ ναυάρχῳ, τῆς Καλλιουπόλεως¹ ὑπάρχῳ, νεήλυδὰς τε καθίστη ἐς τὴν ἀκρόπολιν καὶ ἀζάπιδας² ἐς τὴν πόλιν.

Μετὰ δὲ ταῦτα πέμψας Χιτήρη τῆς Ἀμασίας ὑπάρχον, παρεστήσατο τὰ περὶ τὴν πόλιν χωρία καὶ τὰ περὶ τὸ Μεσοχάλδειον, Καβασιτάνων³ ὄντα τῶν

და აუწყა ყველაფერი, რაც ქალაქს ეხებოდა. ასეთ ცნობებზე დაყრდნობით გაემართა ძალით აელო ქალაქი და წარეტყვევნა; რამეთუ სწუხდა, რომ (*დავით*), მეფის ცოლი, სანამ ფლოტი მოვიდოდა, თავის სიძესთან მამიასთან წინასწარ გახიზნულიყო(!)

ამის შემდეგ, რადგან მან განბჭო ზავის დასადებად ფიცის მოწყობა, მართლაც მოხდა მეფის ფიცი, ხოლო შემდეგ ქალაქიც ხელთ იგდეს, ტრაპეზუნტი, მეფის ახლად დაქირავებულმა ჯარისკაცებმა, როგორც ეს მეფემ ბრძანა. ხოლო ტრაპეზუნტის მეფე ჩასვა ხომალდებში მისი ბავშვებით, ასულით და მისი ნათესავებით, ვინც კი იქვე იყო, და უბრძანა გამგზავრებულიყვნენ ბიზანტიონში. თითქოს მაშინვე თვით მეფეც აპირებდა ხმელეთის გზით გადასულიყო. ქალაქი ჩააბარა ნავარხს, კალიუპოლის¹ ქალაქისთავს, ხოლო დაქირავებული ჯარი ჩააყენა აკროპოლისში, აზაპიდები² კი – ქალაქში.

ამის შემდეგ გაგზავნა ამასიის ქალაქისთავი ხიტირი, რომელმაც დაიკავა ქალაქის მახლობელი ადგილები და მესოხალდიის გარეუბნები, რომლებიც ეკუთვნო-

¹ ჰელესპონტის ქალაქი Gallipoli.

² დარკოს განმარტებით: ἀζάπης (თურქული azap) ქვეითი თურქი ჯარისკაცი (იხ. Index Verborum, გვ. 342).

³ ხელნაწერებში სწორია καβαζιταίων შესწორა Tafel-მა.

ὑπάρχων, τοῦ τε πανσεβάζτου
καὶ τοῦ υἱοῦ αὐτοῦ. Καὶ ἕκαστα
προσεχώρησεν. Ὅς¹ καὶ φυλα-
κὴν ἐγκατέλειπεν, ἀναζεύξας διὰ
τῆς ἡπείρου, καὶ ἀπήλαυνε, καὶ
διὰ τῆς τῶν Ἰζανίδων χώρας
ἐχομίζετο, χώραν ἐρυμνὴν τε καὶ
ἄβατον ἐς τὰ μάλιστα. Γενόμε-
νος δὲ ἐπὶ Βυζαντίου, βασιλέα
μὲν αὐτοῦ ἐπέταξεν ἀπάγειν ἐς
Ἀθριανούπολιν, καὶ αὐτὸς οὐ
πολλῆ ὕστερον ἐχομίζετο ἐπὶ
Ἀθριανούπολιν.

Τραπεζοῦς μὲν οὕτως ἐάλω,
καὶ ἡ τῆς Κόλχων χώρα σύμ-
παισα ὑπὸ βασιλεῖ ἐγένετο, ἡγε-
μονία καὶ αὕτη Ἑλλήνων οὖσα
καὶ ἐς τὰ ἡμεῖς τε καὶ δῖαιταν
τετραμμένη Ἑλλήνων, ὥστε ἀνα-
στάτους γενέσθαι ὑπὸ τοῦδε τοῦ
βασιλέως οὐ πολλῆ χρόνῳ τοῦς
Ἑλληνας τε καὶ Ἑλλήνων ἡγε-
μόνας, πρῶτα μὲν τὴν Βυζαντίου
πόλιν, μετὰ δὲ ταῦτα Πελοπόν-
νησόν τε καὶ Τραπεζοῦντος βασι-
λέα καὶ χώραν αὐτήν.

Ταῦτα μὲν ἐς τοσοῦτον ἐγέ-
νετο· τὴν δὲ Τραπεζοῦντα ἐς
μοίρας διελόμενος, τὸ μὲν παρ'
ἑαυτῆ κρατήρησε, ποιήσας σιλι-
κταρίους² καὶ σπαχογλάνους³
ὕστερον ἐς τὰς θύρας αὐτοῦ,
τούτους κρατήσας παρ' ἑαυτὸν

და კავასიტელ იპარხოებს, ყოვ-
ლად სათნო მეფეს და მის შვილს.
და თითოეული ამათგანი მიიერ-
თა. მან მოდარაჯენი დასტოვა,
ბანაკიდან წავიდა ხმელეთის გზით
და ჭანიდების ქვეყანაზე გავ-
ლით იმგზავრა და ჩავიდა ქვე-
ყანაში, რომელიც გამაგრებული
იყო, მაგრამ მეტისმეტად ძნელ-
სავალი. ბიზანტიონთან რომ იყო,
იქ განკარგულება გასცა, რომ
მეფე ადრიანუპოლში მოეყვანათ,
და თვითონაც უფრო გვიან
ადრიანუპოლისკენ გაემართა.

ასე იქნა აღებული ტრაპე-
ზუნტი და კოლხთა მთელი
ქვეყანა მეფეს დაექვემდებარა;
იგი ელინთა წინამძღოლობის
ქვეშ იყო და ზნე-ჩვეულებით და
ცხოვრების წესებით ელინურად
იქცეოდნენ, ისე რომ ამ მეფის
მიერ მოკლე ხანში დამორჩილე-
ბულ იქმნენ როგორც ელინები
ისე ელინთა წინამძღოლები; ჯერ
ბიზანტიონის ქალაქი, შემდეგ
ამისა პელოპონესიც და ტრაპე-
ზუნტის მეფეც და თვით ქვეყანა.

აქამდე ეს ასე მოხდა. ხოლო
ტრაპეზუნტი მან ნაწილებად და-
ჰყო: ერთი ნაწილი თავისთვის
დაიტოვა და იქიდან მან სილიქ-
ტარიები და სპახოვლანები შე-
ქმნა და შემდეგ თავის კარებთან
დააყენა, მათი მომსახურეობით

¹ აქ სიტყვა დს ჩვენებითი ნაცვალსახელია.

² სილიქტარიები – Darkó ფიქრობს, რომ ეს თურქული sihhdar, siliktar
უნდა იყოს და თურქთა მეფის ცხენოსანთა გვარდიას უნდა ნიშნავდეს.

³ Darkó: თურქული sipahi oylany – თურქ ცხენოსანთა რაზმეული.

ὕπηρεσίᾳ αὐτοῦ ἕνεκα καὶ ἐς παιδικά, τὸ δὲ κατήκτισεν ἐς Βυζάντιον, καὶ τὸ ἕτερον πεποίηκεν Ἰαννιζαρίους καὶ δουλευτὰς ἐν σκευαῖς, ἐπιλεξάμενος παιῖδας ὀκτακοσίους, καὶ ἐς τὴν τῶν νεηλύδων τάξιν ἐτάξατο.

Τὴν μέντοι θυγατέρα τοῦ βασιλέως οὐκ ἠγάγετο, μετ' οὐ πολὺ δὲ ἐς τὸν κοιτῶνα μετεπέμψατο αὐτήν, σφαγιασθέντος τοῦ βασιλέως Δαβίδ, καὶ τὸν παιῖδα ἔγγονον τοῦ πρότερον βασιλέως νήπιον ὄντα εἶχε παρ' ἑαυτῷ ὁ κρατῶν. Ὁ μέντοι βασιλέως παῖς ὁ νεώτερος, Γεώργιος τοῦνομα, ὡς ἐς τὴν Ἀδριανούπολιν παρών, ἐτρέπετο ἐπὶ τὴν τοῦ Μεχμέτew φρησκείαν, καὶ ἐς τὰ ἴθιη γενόμενος τὰ ἐκείνων οὐ πολλῶ ὕστερον συνελήφθη ἅμα τῷ πατρὶ καὶ τοῖς ἀδελφοῖς ὑπὸ βασιλέως.

Καὶ γὰρ ἔπεμψε γράμματα ἢ ἀνεψιᾶ τοῦ βασιλέως, ἢ τοῦ Χασάνη γυνή, καὶ μετεκαλεῖτο ἢ τὸν τοῦ βασιλέως υἱὸν ἢ τὸν ἀνεψιὸν αὐτοῦ τὸν Ἀλέξιον τὸν ἐκ Μυτιλήνης, Κομνηνὸν ὄντα. Καὶ τὰ μὲν γράμματα ἐνεχείρισαν τῷ βασιλεῖ δηλοποιοῦντα, ὅπως εἰς ἐκ τῶν υἱῶν τοῦ βασιλέως ἢ ὁ ἀνεψιὸς αὐτοῦ, ὡς εἴρηται, ἀφίξεται πρὸς τὴν Δέσποιναν, τὴν γυναῖκα τοῦ Μακροῦ Χασάνη οὖσαν. Ἐνεχείρισε δὲ ταῦτα τὰ γράμματα ὁ πρωτοβεστιᾶριος Γεώργιος ἐπὶ τρόπῳ τάχα ἀγαθῷ, ὅπως φανήσεται ὁ

სარგებლობდა და მათდამი ტრფობით; ხოლო ერთი ნაწილი ბიზანტიონში ჩაასახლა; სხვები კიდევ იანიჩარებად და მონებად დააყენა კარავებში, და რვაასი ბიჭი შეარჩია და ახალ დაქირავებულთა რაზმში გაამწესა.

(თუმცა მეფე მოითხოვდა) მაგრამ მეფის ასული არ ითხოვა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ის მთავრის თავის საწოლში, მის შემდეგ რაც დავით მეფე მოკლულ იქმნა; მისი შვილიშვილი, რომელიც იყო წინა მეფის ნორჩი ვაჟი, თავისთან ჰყავდა. **დავით** მეფის უმცროსი ვაჟი, სახელად გიორგი, როდესაც ადრიანუპოლში იყო, მეხმეტის სარწმუნოებაზე მოიქცა, და, **თურქების** წეს ჩვეულებებზე გადასული, ცოტა ხნის შემდეგ შეპყრობილ იქმნა მეფის მიერ მამითურთ და ძმებითურთ.

დავით მეფის ბიძაშვილმა, ხასანის მეუღლემ წერილი გაგზავნა და გამოიძახა ან მეფის ვაჟი, ან მისი ბიძაშვილი ალექსი კომნენოსი მიტილენიდან. აგრეთვე წერილები ჩააბარეს მეფეს და აუწყებდნენ, რათა მეფის ერთი ვაჟთაგანი და მისი ბიძაშვილი, როგორც ითქვა, ჩამოსულიყო დედოფალთან, გრძელი ხასანის მეუღლესთან. ეს წერილი ჩააბარა პროტოვესტიარიოსმა გიორგიმ, რაც შეიძლებოდა კარგი წესით, რათა მეფე გამოჩენილიყო რაც შეიძლება კარგი სანდოობით, და, სხვათა შორის, რათა არ სმენი-

βασιλεύς εἰς πίστῳσιν ἰσῳς ἀγα-
θῆν, καὶ ἄλλῳς ἵνα μὴ ἀκουσθῆ
καὶ παρ' ἄλλῳν, ὅπῳς ὁ πρωτο-
βεστιάριος ἔκρυψε τοῦτο, φοβού-
μενος τὸν τε ἀσθῆντη τὸν μέγαν
καὶ τὸν πάσιαν Μαχουμούτη, καὶ
πάθῃ κακῳς ὁ πρωτοβεστιάριος
παρὰ τοῦ μεγάλου ἀσθῆντου. Καὶ
την πρὸς τὸν μέγαν ἀσθῆντη.

Τὰ μὲν οὖν γράμματα δεξά-
μενος ὁ βασιλεύς καὶ νόψ λα-
βῶν κατήστατο ἐς ὑποψῆαν, καὶ
αὐτοῦς συλλαβῶν τὸν τε Δαριῶ
βασιλέα καὶ τοῦς υἱοῦς αὐτοῦ
σὺν τῷ ἀνεψιῷ καθεῖρξε. Καὶ
τῆν μὲν θυγατέρα ἐς κοιτῳνα
αὐτῷ μετεπέμφατο, ἔχων δὲ αὐ-
τοῦς ἐν πέδαις, οὐ πολλῷ ὕστε-
ρον ἀπαγαγῳν ἐς Βυζάντιον διε-
χρήσατο.

Τοῦς μέντοι παιδῳς τοῦς ἀπὸ
ἄστεῳς καὶ ἀπὸ τῳν περιοίκῳν
χωρίῳν τοῦς μὲν νεήλυδῳς ταξά-
μενος κατέθετο ἐς τὸν ἑαυτοῦ
κοιτῳνα, τοῦς δ' ἄλλῳς ἐν τοῖς
ἑαυτοῦ ἐπιτηδῆμασι, τοῦς δ'
ἑτέρῳς ἀπεχαρίσατο τοῖς υἱοῖς
αὐτοῦ καὶ τοῖς ἄρχῳσι.

Τὰς δὲ κόρας τὰς μὲν ἐν τοῖς
αὐτοῦ κοιτῳσι κατέθετο, τὰς δὲ
ἀπεχαρίσατο, καὶ τινῳς ἐξ αὐτῳν
τοῖς υἱοῖς αὐτοῦ ἀπαστέλλετο,
ἑνῳς δ' ἐν τινι ὀλίγῳ καιρῳ καὶ
ὑπανδρεῦσατο (ed. Darkó II
246,19—249,31).

ლიყო სხვებისაგან, რომ პროტო-
ვესტიაროსმა ეს დამალა დიდი
ბატონის და მახუმუტ ფაშას ში-
შით, და პროტოვესტიაროს ცუ-
დი რამ შემთხვეოდა დიდი ბატო-
ნისაგან. და, აი, ამიტომ მისცა
წერილიც დიდ ბატონს.

διὰ τοῦτο δέδωκε καὶ τὸν χάρ-

წერილი რომ მიიღო მეფემ
და ჩაუკვირდა, ეჭვში ჩავარდა,
და შეიპყრო ისინი: როგორც
დავით მეფე, ისე მისი ვაჟები
ბიძაშვილითურთ დაატყვევა. და
ასულიც თავის საწოლში მიაყვა-
ნინა. ხოლო იმათ ბორკილები
დაადო და ცოტა ხნის შემდეგ
ბიზანტიონში წააყვანინა და მო-
აკვლევინა.

ყმაწვილები ქალაქიდან და
ქალაქის გარეუბნებიდან ნეილი-
დების¹ რაზმებში ჩარიცხა და
თავის საწოლში ჩააყენა, ხოლო
სხვები თავის სახელოსნოებში;
დანარჩენები კიდევ თავის ვაჟებს
და მთავრებს უწყალობა.

ხოლო გოგონები ერთნი თა-
ვის საწოლებში დაიტოვა, ხოლო
სხვები გაასაჩუქრა, ზოგიერთი
მთგანი კი თავის ვაჟებს გაუგ-
ზავნა; ზოგიერთები რაღაც მოკ-
ლე ხანში გაათხოვა კიდევ.

¹ ზემოთაც რამდენჯერმე ნახმარი იყო ეს სიტყვა და ნიშნავს „ახლად შედგე-
ნილ რაზმს“ (- νέος „ახალი“, ἔλθθ „მოსული“).

კავკასია

"Ἕλληνας μὲν οὖν ὄσα ἀποδεικνύμενοι ἔργα μεγάλα τε καὶ περιφανή, ἐπὶ μέγα ἀφίκοντο κλέος κατὰ τε ἄλλα καὶ Εὐρώπην καὶ δὴ καὶ Λιβύην, ἐπὶ Γάγγην τε καὶ Ὀκεανὸν καὶ ἐπὶ Καύκασον ἔτι ἐλκύνοντες. ἐπὶ ταῦτα δὲ προεληλυθότων ἄλλων τε πολλῶν καὶ δὴ καὶ Ἡρακλέους καὶ ἔτι πρότερον Διονύσου τοῦ Σαμέλης υἱός, καὶ πρὸς γε ἔτι Λακεδαιμονίων καὶ Ἀθηναίων, μετὰ δὲ ταῦτα Μακεδόνων τοῦ βασιλέως καὶ τὴν τούτου ὕστερον ἡγεμονίαν ἔχόντων, πολλοὶ πολλαχῆ ἕκαστα, ὡς ἐγένοντο, ἄλλοι ἐπιμνησάμενοι καὶ συνεγράψαντο (Darkó I 2,20—3,8).

თუ რა დიდი საქმეები გამოაჩინეს ელინებმა და განსაკუთრებით ჩინებული სახელი მოიხვეჭეს და სხვათა შორის, **თუ როგორ** მოედევნენ ისინი ევროპას და ლიბიას, და მოაღწიეს განგეს და ოკეანეს და **კავკასსაც**, იმ დროს როდესაც აქ წინ წამოიწივნენ ბევრნი სხვანიც. და ჰერაკლეს და მის უწინარეს დიონისე, სემელეს შვილი, და ამის გარდა ლაკედემონელი და ათენელიც, ამის შემდეგ მაკედონელთა მეფე და ვისაც მის შემდეგ ხელისუფლება ეპყრა, თუ როგორ მოხდა თითოეული ეს ამბავი – ეს მრავალ სხვას აქვს ბევრგან მოხსენებული და აღწერილი.

არაბეთი და მისი საზღვრები

III. Μετὰ δὲ ταῦτα ἐστρατεύετο ἐπὶ Ἀραβίαν. Γένος δὲ Ἀραβες μέγα τε καὶ ἔλβιον καὶ ἀνὰ τὴν Ἀσίαν οὐδενὸς τὰ εἰς εὐδαιμονίαν λειπόμενον...

Ὅμορεῖ δὲ τῆ τε Αἰγύπτου καὶ Περσῶν χώρα καὶ Ἀσσυρίων. Ἀπὸ γὰρ Κολχίδος καὶ Φάσιδος¹ χώρας ἐς τὴν θάλασσαν τὴν ἐς κοιλίην Συρίαν, ἐς τὴν Λαοδικεῖαν καλουμένην πόλιν, εἶη δ' ἂν ὁδὸς ἡμερῶν... ἀνδρὶ εὐζώνῳ περὶ διαπορευομένῳ τὴν χώραν (ed. Darkó I 111, 11—112, 3).

ამის შემდეგ (**თემურმა**) ილაშქრა არაბეთის წინააღმდეგ. არაბები წარმოადგენენ დიდსა და მდიდარ ტომს და აზიაში არავის არ ჩამოუვარდება სიმდიდრით...

ეს ქვეყანა ესაზღვრება ეგვიპტეს და სპარსელთა მიწას და ასირიელთა მიწას. კოლხეთიდან და ფასიის ქვეყნიდან ზღვისკენ, კვლისირიასთან რომ არის, ეგრეთწოდებული ქალაქ ლაოდიკეამდე იქნება დაახლოვებით ...დღის გზა მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის...

¹ Φάρους codd., Φάσιδος Darkó.

მათე ბლასტარესი

მათე ბლასტარესის (Ματθαῖος ὁ Βλαστάρης) კანონიკური ხასიათის ნაშრომი (შედგენილი 1335 წლის მახლობელ ხანებში) ცნობილია სახელწოდებით Syntagma alphabeticum (სრული ბერძნული სათაურია; *Σύνταγμα κατὰ στοιχείον τῶν ἐμπεριελημμένων ἀπασῶν ὑποθέσεων τοῖς ἱεροῖς καὶ θείοις κανόσι, ποιηθὲν τε ἅμα καὶ συντεθειὲν τῷ ἐν ἱερομονάχοις ἐλαχίστῳ Ματθαίῳ τῷ Βλαστάρῃ*).

შრომას წინ უძღვის Προθεωρία (წინასიტყვაობა), სადაც მოცემულია მოკლე ცნობები საეკლესიო კრებათა და სხვათა შესახებ. შემდეგ – ანბანურად დალაგებული კვლევაა ცალკეული საკითხებისა: Περὶ τῶν Ἀρνησαμένων („უარისმყოფელთა შესახებ“)..., Περὶ τοῦ ἀγίου Βαπτίσματος („წმ. ნათლილების შესახებ“) და სხვ. იბერიელთა შესახები ცნობა მოიპოვება თავში Περὶ ἐγγύης (de fideiussione - „თავდებობის შესახებ“).

იბერთა ეკლესია

Περὶ τοῦ Βουλγαρίας, τοῦ Κέπρου, καὶ τοῦ Ἰβήρων

Αἱ δὲ μὴ ὑποκειμένα: πατριάρχῃ τινί, ἢ τῆς Βουλγαρίας ἐστὶν Ἑκκλησία, ἣν ἐτίμησεν ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανός, ὡς ἐκ τῆς ῥηθιζομένης νεαρᾶς αὐτοῦ γνώριμον ἔσται· ἢ τῆς Κύπρου· ταύτην δὲ ἢ τρίτην σύνοδον καὶ ἢ ε' τετιμῆκασιν, ὡς αὐτίκα δὴ μάλ' α ῥηθί'σεται· ἢ τῶν Ἰβήρων, ἣν ἐτίμησε διάγνωνσις τῆς ἐν Ἀντιοχείᾳ συνόδου, ὑποκειμένην πρώτην αὐτῆ· τούτων γὰρ οἱ

ბულგარიის, კვიპროსისა და იბერიელთა ეპისკოპოზების შესახებ

შემდეგი ეკლესიები არ ექვემდებარებიან არც ერთ პატრიარქს: ბულგარიის ეკლესია, რომელსაც პატივი მიანიჭა იუსტინიანე მეფემ, როგორც ეს ცნობილია ხსენებული ნოველიდან; კვიპროსის ეკლესია: ამას პატივი მიანიჭეს მესამე კრებამ და მეექვსემ (ამის შესახებ ქვემოთ იქნება ნათქვამი ახლავე); იბერიელთა ეკლესია, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით

ἀρχιερεῖς ἵπὸ τῶν Ἰνδαυ ἐπισ-
κόπων χειροτονεῖσθαι ἐστάχθαι
(Migne PG 144, 1281).

(წინათ ის ანტიოქიას ექვემდე-
ბარებოდა): მათი მღვდელმთავე-
რები, ჩვეულებრივ, ხელთ-ისხმე-
ბოდნენ საკუთარ ეპისკოპოზ-
თაგან.

XVI საუკუნის მწერლის მათე ბლასტარესის ზემოთ მოყვან-
ილი ცნობა უნდა მომდინარეობდეს იმავე წყაროდან, რომელსაც
ემყარება თეოდორე ბალსამონი, რომელიც თავის შრომაში
(XV ტიტულის «სჯულის კანონის» კომენტარში) გადმოგვცემს „იბე-
რიის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ (იხ. აქვე ზემოთ, გვ. 17 – 20).
მათე ბლასტარესის ზემოთ მოყვანილი ტექსტი ზოგჯერ პირწმინ-
დად ემთხვევა თეოდორე ბალსამონისას.

ბალსამონი

1. ბულგარეთის არქიეპისკოპოსი პატივი აიყვანა იუსტინიანე მეფემ. წაიკითხე მე-131-ე მისი ნოველა.
2. კვიპროსის არქიეპისკოპოსი პატივი აიყვანა მესამე [მსოფლიო] კრებაში.
3. იბერიის არქიეპისკოპოსი პატივი აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ... მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს.

ბლასტარესი

- ბულგარეთის ეკლესია, რომელსაც პატივი მიანიჭა იუსტინიანე მეფემ, როგორც ეს ცნობილია ხსენებული ნოველიდან.
- კვიპროსის ეკლესია: ამას პატივი მიანიჭეს მესამე კრებამ და მეექვსემ.
- იბერიელთა ეკლესია, რომელსაც პატივი მიენიჭა ანტიოქიის კრების დადგენილებით (წინათ ის ანტიოქიას ექვემდებარებოდა).

ათონის
ივერთა მონასტრის
აქტები

ხრისობულები, სიგელ-გუჯრები,
პრაქტიკონები

* *
* *

ივერთა მონასტრის აქტების შესწავლის ისტორიიდან

აღ. ც ა გ ა რ ე ლ ს მოჰყავს (Сведения I, 63 – 67) მოკლე მიმოხილვა ივერთა მონასტრის აქტების შესწავლისა;

1) арх. С е р г и й, Иверская св. и чудотворная икона Богоматери на Афоне и списки ее в России. Москва 1879.

2) Подлинные акты, относящиеся к иверской иконе Божьей Матери, принесенной в Россию в 1648 году. Издание комиссии печатания грамот и договоров при Главном Архиве министерства иностранных дел. Москва 1879. აქ არის ივერთა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 1735 წელს არის გადმოღებული, ათონის მონაზონთა სიგელის ბერძნული დედანი და რუსული თარგმანი, იმ სიგელის, რომელიც თან ახლდა მოსკოვში 1648 წელს გაგზავნილ ხატს მეფის ალექსი მიხეილისძის და პატრიარქ ნიკონის სახელზე.

3) ივერთა მონასტრის საგანძურებში მრავალი ძვირფასი ხელნაწერები და აქტები ინახება. თუმცა ათონი მოიარეს პლ. იო ს ე ლ ი ა ნ მ ა XIX საუკ. 50-იან წლებში, ხოლო მასზე უწინარეს XVIII საუკუნეში იო ნ ა მ და ტ ი მო თ ე გა ბ ა შ ვ ი ლ მ ა, მაგრამ მათ არ დაუტოვებიათ მაინც და მაინც მნიშვნელოვანი ცნობები ათონის საგანძურებში არსებული წიგნებისა და აქტების შესახებ.

4) XVIII საუკ. ვ. ბ ა რ ს კ ი მ ორჯერ იმოგზაურა (1726 წ. და 1744 წ.) ათონზე და დაწვრილებით გაეცნო ივერთა მონასტრის წერილობით ძეგლებს. ამის შესახებ ის გადმოგვცემს თავის წიგნში: Пешехода Василия Григоровича Б а р с к о г о – Плаки-Албова, уроженца Киевского, монаха Антиохийского, путешествие к св. местам, в Европе, Азии и Африке находящимся, предпринятое в 1723 г. и оконченное в 1747 году. им самим писанное. изд. 3-ье СПб 1793 г., часть 11, стр. 591 – 593. ბ ა რ ს კ ი მ აღწერა სკევოფილაკიონი (σκειοφύλακιον „საგანძური“) ივერთა მონასტრისა მისი ხრისობულებით და სიგელებით, მეფეთა და პატრიარქთა სიგელ-გუჯრებით; აღნიშნა, რომ ივირონის ბიბლიოთეკა ათონის სხვა მონასტერთა ბიბლიოთეკებს აღემატება როგორც წიგნების რაოდენობით ისე მრავალფეროვანებით.

- 5) შემდგომი რუსი მოგზაურებიდან პირველ რიგში უნდა შევჩერდეთ არქიმანდრიტ პორფილე უსპენსკის მოღვაწეობაზე. ის დაწვრილებით აგვიწერს ივერთა მონასტრის აქტებს შრომებში;
- ა) История Афона, Киев 1877 г. (I – II).
 - ბ) Путешествие по Афон. монастырям. Киев 1877 г. (I – III);
 - გ) Указатель актов, хранящихся в обителях св. горы Афонской: ЖМНП 1847 г. LV часть.
- 6) ზოგიერთი ცნობა მოიპოვება აგრეთვე წიგნში: В. И. Григорович, Очерк путешествия по Европейской Турции. 2-ое изд. Москва 1877.
- 7) არქ. ანტონიმ ჯერ სტატიების სახით დაბეჭდა, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა: Заметка поклонника св. горы: Труды Киевской Дух. Академии, 1861 (февраль, октябрь, ноябрь) და 1862 (май, июнь). სხვათა შორის, მან გამოაქვეყნა 982 და 984 წლების სიგელების აღწერა (იხ. ქვემოთ გვ. 171).
- 8) ივერთა მონასტრის ზოგიერთი აქტების ფოტოსურათები მოიპოვება სევასტიანოვის „კრებულში“, რომელიც გამოსცა ა. ვიქტოროვმა: Собрание рукописей П. И. Севастьянова. А. Викторова, Москва 1881. აქვე უნდა მოვიხსენიოთ:
- 9) Тимофей Флоринский: Афонские акты и фотографии-чесье снимки в собраниях П. И. Севастьянова. СПб 1880.

ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა

1880 წლის ზაფხულის თვეებში ათონის მთაზე გაგზავნილი იყო პროფ. სპირიდონ ლამბროსის მეთაურობით ექსპედიცია ათონის მონასტერთა ბერძნული კატალოგის შესადგენად. ათონის 20 მონასტერთაგან ყველაზე მდიდარი ბერძნული ხელნაწერებით აღმოჩნდა ივერთა მონასტერი. სულ ყველა მონასტერში აიწერა

5766 ხელნაწერი.

აქედან ივერთა მონასტერში აღმოჩნდა

1856 ხელნაწერი.

სპ. ლამბროსის ექსპედიციის შესახებ ანგარიში მოკლედ დაბეჭდა გ. დესტუნისმა ЖМНП 1881 წ.¹. ხოლო ათონის მონასტერთა ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერების სრული კატალოგი ორ ტომად დაიბეჭდა 1895 წ. სათაურით: Catalogue of the greek Manuscripts on Mount Athos.

¹ იხ. აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი, Сведения I. გვ. 66.

ათონის მთაზე შემდეგი ოცი მონასტერი იყო:

		დაარსების თარიღი
1	αύρα	ნიკიფორე ფოკას (963 – 969) დროს
2	Βατοπέδιον	განახლებულია სხვადასხვა მეფეების დროს; დაარსებულია კონსტანტინე დიდის დროს. განახლებულია IX ს.
3	Ἰβήρων	979 წლის მომდევნო წლებში.
4	Χιλιανδάριον	ს ე რ ბ თ ა სავანე; 1198 წ. დაუარსა თვის-ტომთ სერბთა მთავარმა სტეფანე ნემანამ.
5	Διονυσίου	XIV საუკუნე
6	Κουτλουμούσιον	ასახელებენ ალექსი I კომნენოსს (1081 – 1117)
7	Παντοκράτωρ	ასახელებენ ალექსი I კომნენოსს (1081 – 1117)
8	Ξηροποτάμου	ტრადიცია მიაკუთვნებს დედოფალ პულხერიას (450 – 457)
9	Ζωγράφου	ბ უ ლ გ ა რ ე ლ ე ბ ი ს ა; ca 100 წ.
10	Δοχειαρίου	არაბთა მიერ ათონის მოსვრის (670 წ.) წინ
11	Καρακάλλου	XI საუკ. (?)
12	Φιλοθέου	ვინმე ფილოთეოსი (870 წ. მახლ.); არსენი, ფილოთეოსი და დიონისი (1046 წ. მახლობლად)
13	Σίμωνος Πέτρα	1257 წ. წმინდა სინონმა ააგო კლდეზე (πέτρας)
14	Ἅγιος Παύλος	XIV საუკუნე
15	Σταυρονικήτα	XII საუკუნე
16	Ξενοφώντος	520 წ. მახლ. იყო წმ. ქსენოფონტი.
17	Γρηγορίου	ყოველ შემთხვევაში 1046 წ. მისი წინამძღვარია ბართლომე, ბერი წმ. ნიკოლოზის ტაძრისა.
18	Ἐσφιγμένου	XI საუკუნე
19	Ρωσσικόν	ზუსტი ცნობები რა არსებობს: 1047 – 8 წელს კონსტანტინე IX-ის დროს რ უ ს ე ბ ი არ იყვნენ: ამ დროს ანტონი კიევოპეჩორიელი იყო ესფიგმენის მონასტერში.
20	Κωνσταμονίου	გადმოცემით კონსტანტინე დიდის დროს მიაწერენ დაარსებას. ვიცნობთ IX საუკ. საბუთებში.

1903 წ. გამოცა გერასიმე სმირნაკის წიგნი Το Ἅγιον ἶδιον. ამ დროს სხვადასხვა მონასტრებში ბერების რაოდენობა ყოფილა:

ლავრაში 1187
ვატოპედიონში 966
ივირონში 456
ხილიანდარიონში 385
პანტოკრატორში 548
როსიკონში 1928, მათ შორის:

1) ივერთა მონასტერში 456 კაციდან:

ქართველი იყო 48
ბერძენი „ 350
რუსი „ 48
რუმინელი „ 10

2) როსიკონში 1928 კაციდან:

რუსი იყო 1858
ბულგარელი 32
ბერძენი 38

3) ვატოპედიონში 966 კაციდან:

რუსი იყო 570
ბერძენი 366

4) ხილიანდარში 385 კაციდან:

რუსი იყო 22
ბულგარელი 92
ბერძენი 60

5) დიონისიონში 131 კაციდან

რუსი იყო 130

6) პანტოკრატორში 548 კაციდან:

რუსი იყო 435
ბერძენი 96

7) სტავრონიკიტაში 219 კაციდან:

რუსე იყო 180
ბერძენი 38

8) ზოგრაფოსში 155 კაციდან

ბულგარელი 155

აქ დაბეჭდილ, ათონის მონასტერთა სიასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ შემდეგი: როგორც ამ სიიდან ჩანს, ზემიწევნითი ცნობები ამა თუ იმ მონასტრის აგების თარიღების შესახებ არ არსებობს. ზედმეტი არ იქნება, თუ მოვიყვანთ 1959 წელს ჰ. ბეკის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში¹ თავმოყრილ ცნობებს ათონის სავანეთა დაფუძნების შესახებ.

თუ ადრე ბერ-მონაზონთა სავანეები იყო პალესტინაში, ეგვიპტეში და სირიაში (აგრეთვე წინა მცირე აზიაში), X საუკუნის ბოლოდან ბერძნული სავანეების ცენტრი უფრო და უფრო ათონზე („მთაწმინდაზე“) გადადის. თუმცა ამ მთასთან დაკავშირებულია მრავალი სხვადასხვა ლეგენდა, რომლებშიც მისი ისტორია მუდამ უფრო შორსა და შორსაა გადაწეული, მაგრამ არც კონსტანტინე დიდსა და არც თეოდოსი I-ის არაფერი აქვთ საერთო ათონის მონასტრებთან.

პირველად IX საუკუნის დასაწყისში ვხვდებით მთაწმინდაზე დაყუდებულებს, რომლებიც ნაწილობრივ ძველი სტილის ლავრებში მოიპოვებიან².

870 წელს იოანე კოლოზუს ეკუთვნის პირველი ცდა სავანის დაარსებისა.

მხოლოდ 961 წელს კრეტის დაცემასთან ერთად მრავლდება სამონასტრო სავანეები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ე. წ. **Μεγίστη Λαύρα**, რომელიც დააარსა ათანასი ათონელმა სტუდიელთა სავანის მიზამვით 963 წელს; ამ სავანემ მალე გაითქვა სახელი და ყველა არსებულ სავანეებს გადააჭარბა სიდიდითაც და გავლენითაც. უკვე 965 წელს ათანასიმ დაუდგინა ლავრას ტიპიკონი (Ἱποτάκτωρ), რომელიც სტუდიელთა მონასტრის ტიპიკონის მიხედვით ჩანს შედგენილი.

იოანე I ციმისხიმ მისცა სავანეებს საზოგადო „წესდება“ ე. წ. „ტრაგოსი“. ამ დროს მონაზონთა 58 დასახლება იყო.

კონსტანტინე IX-მ მეორე ტიპიკონი მისცა ათონის სავანეებს. მაშინ იყო უკვე 180, თვითონ ლავრაში ამ დროს 300-მდე ბერი იყო.

ალექსი I კომნენოსის დროიდან პირველი აყვავების ხანა ქრება: ზოგი უსიამოვნო შემთხვევები და ზნეობის დასუსტება თავის შედეგს იძლევა.

¹ Hans-Georg Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich. M. 1959, გვ. 213 – 220.

² მთაწმინდის შესახებ ლეგენდები დაწვრილებით დაუმუშავებია R. M. Dawkins, The monks of Athos, London 1936.

სამაგიეროდ XII საუკუნის განმავლობაში ბერძნების, ლათინთა და ქართველთა გვერდით ჩნდებიან სლავები.

1142 წლიდან დამოწმებულია რუსული მონასტერი ქსილურგუ; მისი ბერები 1169 წელს მიდიან პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ ი ს მონასტერში (ახლანდელი „როსიკონ“).

1186 წ. როსიკონში შედის სერბთა მთავრის სტეფანე ნემანიას ვაჟი და შემდეგ, **1198 წელს**, აარსებს სერბთა მონასტერს „ხ ი ლ ა ნ - დ ა რ ი ო ნ ს“ (ხოლო ეს, ხილანდარიონის მონასტერი, ჯერ კიდევ 1076 წელს იხსენიება, როგორც მცირე ბერძნული მონასტერი).

XI საუკუნის შუა წლებში ჩნდება „ზ ო გ რ ა ფ უ ს“ მონასტერი, რომელიც უფრო გვიან (ზედმიწვენილი თარიღი უცნობია) ის გახდა ბ უ ლ გ ა რ თ ა ს ა ვ ა ნ ე.

ბევრი შეიქმნა უცხოელების სავანეები, ისიც კიდევ ეს მონასტრები, მათი დედა-სამშობლოს მთავართა უხვ შემოწირულებათა წყალობით, ძალიან მდიდარნი იყვნენ და ბერძნულ სავანეებს ჩრდილავდნენ.

მაგრამ უკვე X საუკუნიდან უფრო და უფრო წამოაწინენ ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ს ა ვ ა ნ ე ე ბ ი, რომელნიც საკმაო მეტოქეობას უწევდნენ ათონზე არსებულ სხვა მონასტრებს, მცირე და დიდ სავანეებს, თვითონაც მალე დიდ მონასტრებად გვევლინებიან. ასე:

1) უკვე 956 წელს დამოწმებულია მონასტერი ქ ს ე რ ო პ ო - ტ ა მ უ, რომლის აგებას ტრადიცია მიაწერდა დედოფალ პულხერიას.

2) 985 წელს ვ ა ტ ო პ ე დ ი ს მონასტერია დამოწმებული.

3) 1010 – 1030 წლებში გეხვდება ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ი ს და დ ო - ხ ი ა რ ი უ ს სავანეები; რამდენიმე წლის შემდეგ აგრეთვე ე ს ფ ი გ - მ ე ნ უ და კ ა ს ტ ა მ ო ნ ი ტ უ (დამაარსებელია ვინმე კასტამონიდან, ე. ი. კასტამონელი, რაც გვიანდელმა ლეგენდამ კონსტამონიტუდ აქცია, ე. ი. კონსტანტინე დიდის მონასტრად მონათლა).

4) ასევე XI საუკუნეში დაარსებულია მონასტერი კ ა რ ა კ ა ლ უ, რაც კარაკალას მიაწერეს (211 – 217 წლების რომაელ იმპერატორს).

5) XII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება, თურქული სახელის მქონე მონასტერი კ უ ტ ლ უ მ უ ს ი უ. შესაძლებელია ის დაეარსებინოს იმ კუტელმიშის შთამომავალს, რომელიც XI საუკუნის შუა წლებში სელჯუკებს გამოექცა, ბიზანტიაში მოვიდა და მართლმადიდებელი ქრისტიანი გახდა.

6) XII საუკუნის შუა წლებშივე დაარსებული უნდა იყოს ს ტ ა ვ - რ ო ნ ი კ ე ტ ა ს და ფ ი ლ ო თ ე უ ს სავანეები.

7) 1367 წელს პირველად იხსენიება ს ი მ ო ნ -პ ე ტ რ ა ს სავანე. ეს უნდა იყოს სერბიელების მიერ აგებული.

8) ამავე ხანებში იხსენიება გ რ ე გ ო რ ი უ და „წმ. პ ა ვ ლ ე“; ეს უკანასკნელი შეიძლება უფრო ადრინდელი იყოს.

9) 1363 წელს დაარსებულია პ ა ნ ტ ო კ რ ა ტ ო რ ი ს სავანე. მის დამფუძნებლებად თვლიან სტრატოპედარხ ალექსის და მის ძმას იოანეს.

10) 1366 წელს დააარსა ვინმე დიონისემ, ტრაპიზონის მიტროპოლიტ თეოდოსის ძმამ, სავანე დ ი ო ნ ი ს ი უ.

*

* * *

საზოგადოდ, მონასტერთა ისტორიის უფრო ძველ საუკუნეებში თუ შევიჭრებით, ვნახავთ შემდეგს:

1) კონსტანტინე დიდის წინადროინდელ ბიზანტიაში მონასტრების არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუმცა იყო ცდები ასეთები ეძებნათ. თვით კონსტანტინესა და მის დედას ელენეს მიაწერდნენ ამათუიმ მონასტრის დაარსებას, მაგრამ IV საუკუნის ბოლომდე კონსტანტინეპოლში მონასტრის არსებობა საგულვებელი არაა.

2) უძველესია დ ო ლ მ ა ტ ო ს ი ს მონასტერი. ის დაარსებულია 382 წელს სირიელ ისააკის მიერ. ისააკს შეუერთდნენ აგრეთვე წარჩინებული კონსტანტინეპოლელები: მათ შორის გვარდიის ოფიცერი დოლმატოსი, რომლის სახელსაც ატარებდა მონასტერი.

